


ჩავით
კლდიაშვილი

თანამედროვე
საქართველოს
პერალდიკა

საქართველოს პარლამენტის
არსებული პერალდიკის
სახელმწიფო საბჭო

თბილისი
2008



**რედაქტორი
ზაქარია (ზაზა) კიკნაძე**

წიგნი წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს
სახელმწიფო პერადდიკის შესწავლის ცდას.
მოკლედ არის აღწერილი 1918-1921 წლების
დემოკრატიული საქართველოს ატრიბუტიების
შესახებ და მიმოხილულია ის პროცესები,
რომელიც მიმდინარეობდა, პრაქტიკულად, 1989
წლიდან ისტორიული დროშისა და გერ-
ბის ადდგენასთან დაკავშირებით. მასში შე-
სულია სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიისა
და პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის
შეკრებებზე, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების
კომიტეტისა და პარლამენტის სხდომათა დარბაზში
წაკითხული მოხსენებებიც.

ISBN 978-9941-0-0992-1
©დავით ქლდიაშვილი 2008

სარჩევი

შესაფალი

სტეფანოს ორბელიანის ცნობასა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს დროშის ფერის გათვალისწინებით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო დროშა წითელი (“შინდის ელფერისა”), ხოლო სამხედრო დროშა თეთრი ფერისა, მაშინ, როდესაც პირიქით უნდა ყოფილიყო; ეროვნულ-სახელმწიფო – თეთრი, ხოლო სამხედრო – წითელი.

გერბმა შეიდი მნათობი წარმართული ქართული დავთაებებიდან შეითვისა. ამასთან ერთად, ეს მნათობები გამოსახულია მეფე ვახტანგ VI-სა და ქახტოს მოურავის პაპუა ანდონიკაშვილის 1758 წლის დროშებზე. ყოველივე ამან ივანე ჯავახიშვილს საშუალება მისცა, თეთრი გიორგისთან ერთად, მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებად გამოეცხადებინა.

5 - 17

თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა

ყოფილი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩევის მიერ “გარდაქმნის” გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში იწყება მასობრივი სახალხო დემონსტრაციები და მანიფესტაციები, კავშირიდან გასვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადება-აღდგენის მიზნით. ამ პროცესებს არც საქართველო ჩამორჩა.

18 - 75

სამცხე-მცირე დროშა არ იქნა სრულყოფილად გასიმბოლოვებული საქართველოს სახელმწიფო გერბის ნიშნად, ხოლო გერბის “თეთრი გიორგი”, წმ. გიორგის პროფანირებულ სახედ მოინაოდა.

2004 წლის 25 იანვარს პრეზიდენტის ინაუგურაციის მთავარი აქტი, მის მიერ ახალი ცხოვრების დაწყების ნიშნად, ისტორიული ხუთჯვრიანი დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადების ოფიციალურ ბრძანებულებაზე ხელის მოწერა იყო.

დანართი

76 - 111

კოტე მაჟაშვილი — საქართველოს სახელწიფო გერბის საკითხი, რომელიც საკანონმდებლო პროექტის ჩვეულებრივ პროცესში იყო, მომენტის კატეგორიულის მოთხოვნით, სასწრაფოდ გადასაწყვეტი შეიქმნა... გერბის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას დაებადა ქართული ფულის შემოდების იდეასთან ერთად. ქართულ ფულს ესაჭიროებოდა რაიმე სახელმწიფოებრივი ემბლემა ანუ გერბი.

ელია შენგელაძა — საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო დროშის და გერბის შეცვლასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ განხილული იქნეს ის წერილობითი და ვიზუალური ისტორიული წყაროები, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვაღინოო გაერთიანებული საქართველოს ისტორიული დროშა.

დავით ჭუმშელიშვილი — სულ ბოლო წლებამდე ჩვენ არ ვიცოდით თუ როგორი იყო ფეოდალური ხანის ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა. ეს განპირობებული იყო, ცხადია, სათანადო წყაროა სიმწირით. ის, რაც იყო ცნობილი ამის შესახებ, ფაქტობრივად შემოიფარგლებოდა იმით, რომ ამ დროშის აღამი უნდა ყოფილიყო თეთრი ფერის, ზედ და-განილი წითელი ფერის რაღაც გამოსახულებით.

დავით ქლიაშვილი — საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არცერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია იმდენი აუთოტაჟი პრესის, ტელევიზიისა თუ სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორც სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის საკითხმა გამოიწვია.

შესავალი

1917 წლის 6 მარტს ქ. ობილისში კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის თავზე მოფრიალე რუსეთის იმპერიის შტანდარტი (ყვითელ ქსოვილზე შავი ორთავიანი არწივით), წმ. გიორგის ორდენის ლენტის (ყვითელ ქსოვილზე სამი შავი პორიზონტალური ხაზით) დროშით შეიცვალა, რომელზეც წარწერილი იყო “კავკასიის მხედრობა”. მომდევნო დღეს გუბერნატორმა პოლკოვნიკმა მანდრიკამ ხელისუფლება ადგილზე არჩეულ დროებით აღმასრულებელ კომიტეტს გადააბარა და თავად ქალაქი დატოვა. რევოლუციით ადფრთვებანებულ თბილისში წმ. გიორგის ორდენის ლენტის დროშა 18 მარტს წითელმა დროშამ შეცვალა, როცა კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა მუშაობა დაიწყო. ამ დროს, რევოლუციურად განწყობილ ხალხში წითელი ფერი გამარჯვების ფერად იყო მიჩნეული.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდობი ჩოლოეაშვილი და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდობი ნიუარაძე მისალოც დეპეშებს უგზავნიან რუსეთის დუმის თავმჯდომარეს რომიანკოს და აღნიშნავენ, რომ რუსეთმა “ქართველ ერს უფლება უნდა მისცეს განახორციელოს თვისივე ეროვნული უფლებანი პოლიტიკური ავტონომიის საფუძველზე¹“. ეს ავტონომია კი 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. რაფიელ ინგილო-ივანიცკი აღნიშნავდა, რომ “თავისუფალმა რუსეთმა უნდა მოგვანიჭოს ის, რაც მონურ რუსეთმა

¹ გვ. ხ. “ხაძართველი”, 7.03.17.



საქართველოს დროშა
1917 წლის პრილი
დაუმტკიცებელი

ძალმომრეობით გამოგვტაცა ხელიდან². ამაზე საუბრობდა 1917 წლის მარტს პეტროგრადში მცხოვრები ქართველების საერთო კრებაზე ივ. ჯავახიშვილიც.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ოფიციალურად გერმანიის მოწინააღმდეგებე იყო, უნდა ითქვას, რომ აქ ძლიერი იყო გერმანოფილური განწყობილება. ომის დასაწყისში, 1914 წელს გერმანიაში დაარსდა ქართული კომიტეტი, რომლის მიზანსაც გერმანიის დახმარებით საქართველოს გათავისუფლება წარმოადგენდა. სწორედ ამგვარი მოთხოვნით 1916 წლის 8 ივნისს ქ. ლოზანაში ერთა მესამე სამშვიდობო კონფერენციაზე, კომიტეტის თავმჯდომარე მიხაკო წერეთელი გამოვიდა, რასაც ძალიან ცუდად შეხვდნენ რუსეთის წარმომადგენლები. კონფერენციას კი თითქმის მოელი მსოფლიოს ყველა ერთა წარმომადგენლები დაესწრო. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ 1917 წლის მარტში ქუთაისისა და ობილისის სახალხო დემონსტრაციებზე აფრიალებული საქართველოს ოვითმყოფადობის სიმბოლო – ეროვნული დროშა, სწორედ გერმანიის დროშის (შავი-თეთრი-წითელი) შებრუნებული ვარიანტი (წითელი-თეთრი-შავი) იყო. ამგვარი დასკვნის საფუძველს ის გარემოებაც იძლევა, რომ 11 ნოემბრის პირველ კონგრესზე, დამსწრეთ, სწორედ ამ ფერის ლენტები ეკეთათ გულზე³. საქართველოს ეროვნული საბჭოსა


² ვა. “საქართველო”, II.03.17.

³ 90-იან წლების საზოგადოებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხმელის უძღვეს სახალხო მიმდინარე ხუსკადასხეს წარმოდგენა ჰქონდათ: “ავრატოვანო სახლის” წინამდებარები ნინო ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ პირველი რესპუბლიკის დროშის ავტორები იაკობ ნიკოლაძე და გასილ შევარდნაძე იუჯნებ. თავად დროშა წითელი, შავი და ოთხი პირი ზონგებადულური თანაბარი ზოლებისაგან შედგებოდა, რომელიც შემდეგ შეიცვალა (ვა. საქართველოს რესპუბლიკა“, 21.08.97). სახალხო-დემოკრატიული არტისტ ლილი გურამ უხტაშვილი უკრნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ საქართველოს გერბი და დროშა კარლ კაუკი თავის მენტებით შევარდნას ხელში მიაღწია სადღომისას ხელსაწყობში დაუხატა (ვა. დილის გაზირი“, I.05.99).

და ხელოვნების სექციის მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა წითელი, ოქორი და შავი მიიჩნიეს საქართველოს ეროვნულ ფერებად. მათგან შეიქმნა კიდევ საქართველოს ეროვნული დროშა, რომელიც შემდეგ, შეცვლილი ზომებით, დამოუკიდებელმა საქართველომ დააკანონა.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი სეიმში პირველად 1918 წლის 22 თებერვალს დადგა, მაგრამ მიუხედავად შიდა წინააღმდეგობებისა სეიმში 9 (22) აპრილს, შეადამის 12 საათზე, ხმათა უმრავლესობით რუსი მემარცხენე სოციალ-რევოლუციონერებისა და რუსი კადეტების წინააღმდეგ, მაინც შეძლო დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიეღო, რომლის ძალითაც ამიერკავკასია ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ევ. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობის შედგენა საგარეო საქმეთა მინისტრს აკ. ჩხენგალს მიენდო. ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ლებედინს კი კვინიტაძემ შეცვალა.

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკა დაიშალა და საღამოს 5 საათსა და 10 წუთზე ნეიტრალური საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ამ დღეს გოლოვინის პროსექტზე ეროვნული სამფეროვანი დროშები ფრიადებდა. “საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის დღეს ერთი ფრიად დამახასიათებელი ინციდენტი მოხდა – წერდა რაფიელ ინგილო, – როდესაც სასახლის აივნიდან მრავალ-ათასობით თავმოყრილ ხალხს წაუკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ცერემონიის მომწყობ კომისიის განკარგულებით სასახლის გუმბათზე წითელი დროშა შეცვლილ იქნა საქართველოს სახელმწიფო-ეროვნული დროშით და ეს იყო ამ დიადი დღის საუკეთესო საზეიმო მომენტი. მაგრამ ზოგიერთ ადამიანს ეს ფაქტი “კონტრ-რევოლუციურ გამოსვლად” მოეწვენათ და არ გასულა ერთი საათიც, რომ მათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა ძირს დაუშვეს და სამაგიეროდ ისევ აღმართეს წითელი დროშა, რომელსაც რუსული წარწერა ამჟღენებს: “Да здравствует Российское Учредительное Собрание”.....



საქართველოს აღმართი
გამოსახული
ფულის ნიშნებზე
1918 წელი



იაკობ ნიკოლაძე

„სხვა გვარ დაწესებულებებზე აღმართეთ, ბატონებო, ინტერნაციონალური დროშები, თუნდაც იმავე რუსული წარწერებით, როგორც ადგილი პქონდა საქართველოს პარლამენტის შენობაზე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ საქართველოს უზენაეს პოლიტიკურ და სახელმწიფო ებრივ დაწესებულებას ამშვენებდეს საქართველოს ეროვნული დროშა და მას ყოველი მაწანწალა ჰუსკიანი ხელებით არ ეხებოდეს“⁴.

როგორც ჩანს, 1918 წელს და შემდეგაც ქართული საზოგადოება ორ ურთიერთსაპირისპირო მხარეებს წარმოადგენდა, რომლის ერთ მხარეს წითელ დროშიანი “რეფორმატორები“ იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს ხალხში ეროვნული ოვითშეგნების გაძლიერების მომხრე პიროვნებები. აი, რას ამბობდა ეროვნული საბჭოს 16 ივნისის სხდომაზე სოციალ-რეფოლუციონერი გრიგოლ ნათაძე: “ბურჟუაზია... ძლიერ დაჩარია. აი ეცნენ ჩვენს წითელ დროშას. ერთმა ბრძანა, რომ ეს ბოლ შევიკური დროშა არისო, მეორემ, რომ იგი ზედმეტია, გინაიდან იგი არის ნაწილი ჩვენი ეროვნულ დროშისა და სხვა. მათ ავიწყდებათ, რომ წითელი დროშა არის ემბლემა რევოლუციის და დემოკრატია ამ დროშას ხელს არავის ახლებინებს, სანამ თვით არ მოისურვებს მის ჩამოხსნას“⁵.

27 ივნისის მთავრობის სხდომაზე ფინანსობ მინისტრი გ. უზრული აცხადებდა, რომ “ფულის ნახატის“ კონკურსის უიურიმ წარმოდგენილი ყველა ვარიანტი დაიწუნა. მთავრობამ, სპეციალური დადგენილებით შინაგან, ფინანსობ და განათლების მინისტრებს დაავალა ახალი პირობების შემუშავება და ახალი კონკურსის ჩატარება. სახელმწიფო გერბის მიმართ მთავრობის ამგვარმა დამოკიდებულებამ ქართული საზოგადოების უკურეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება ხელოვნების კომისიაში. მათ მოიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც წაიკითხა კიდეც მოხსენება და მიიღეს მისი

⁴ რ. იხვილო. „რომელი დროშა?“;

გახ. „საქართველო“, 31.05.18.


⁵ გახ. „ურთიერად“, 11.07.18.

წინადაღება “სახელმწიფო დერბად უნდა იყოს თეორი გიორგი შვიდი მნათობით, რადგან ეს გამოხატულება ისტორიულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის არსებობასთან⁶. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება წინამდებარების წინაშედაც. მან შესანიშნავად იცოდა მენშევიკების დამოკიდებულება რელიგიასთან (მათი თაოსნობით 1917-18 წლებში სამჯერ გამოიცა კანონი სკოლებში სადგომო რჯულის სწავლების აკრძალვის შესახებ) და ამიტომაც, გვიქრობთ, პროფესორებმა შესანიშნავ გამოსავალს მიაგნო, მითუმეტეს, რომ დროებითმა მთავრობამ რუსეთის გერბის ორთავიანი არწივის გულზე გამოსახულ წმ. გიორგის ოფიციალურად “თეორი რაინდი” უწოდა. მან განმარტა, რომ თუ თეორი გიორგის მოვაცლით სახის ირგვლივ შარავანდედს და შუბზე ჯვარს, მაშინ საგვებით აღმოიყენება რელიგიური ჩანასახი სახელმწიფო გერბზე.

საკითხი მაინც არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი და 11 აგვისტოს ხელოვნების კომისიის მასალები ეროვნული საბჭოს ფრაქციებს გადაეცა განსახილველად. ამავე დროს გაზიერი “საქართველო” გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ “სამწუხაროდ, დამტკიცდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო უფლებრივ საკითხთა გადაწყვეტაში სარგებლობს ყოველივე საზომით, გარდა ეროვნულისა... სად არის გარანტია, რომ სოციალ-დემოკრატების წყალობით ეროვნული საბჭო არ დააკანონებს დერბის ნახატს, რომელშიაც ყველა ადგილად ამოიკითხავს: “უბედური საქართველო!”⁷. 26 აგვისტოს ხელოვნების კომისიამ გერბის საკითხვის განხილვა გადადო კომისიისა და სოც. დემ. ფრაქციის შეერთებულ სხდომაზე, სადაც სასწორი თეორი გიორგის მხარეს გადაიხარა და მთავრობის ოფიციალურ თრგანოში – გაზიერი “საქართველოს რესპუბლიკა” – ქვეყნდება “სხვადასხა სახელმწიფოების დერბების“ აღწერა, სადაც ნათქვამია, რომ “ძველ გაერთიანებულ საქართველოს დერბი – თეო-



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის დროშის
ვარიანტი წარმოდგნილი
ეროვნულ საბჭოში
1918 წელი



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის დროშა
დამტკიცებული
ეროვნული საბჭოს მიერ
1918 წელი

⁶ გა. ერთობა, 09.08.18.
⁷ გა. საქართველო, 24.08.18.



ქართლის მეფე
ვახტანგ VI-ის
სახელმწიფო შინდისფრი
დროშის დეტალი
1711 წელი

რი გიორგი შვიდი მნათობით: მზე, მთვარე და
ხუთი ვარსკვლავი“⁸.

გერბმა შვიდი მნათობი წარმართული
დროის ქართული დვოაებებიდან შეითვისა.
ლეონტი მროველი წერს, რომ ალექსანდრე
მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ
მოუწოდა აზონს “პატივსცემდნენ მზეს და
მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთოა“. ამასთან
ერთად, ეს მნათობები გამოსახულია მეფე ვახტა-
ნგ VI-სა და კახეთის მოურავის პაპუა ან-
დრონიკაშვილის 1758 წლის დროშებზე. ყოვე-
ლივე ამან ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა,
თეორი გიორგისთან ერთად, მზე, მთვარე და
ხუთი ვარსკვლავი საქართველოს სახელმწიფო
სიმბოლოებად გამოეცხადებინა.

1918 წლის 2 სექტემბერს ხელოვნების
კომისიამ, კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეო-
ბით, შეიმუშავა კანონ-პროექტი “საქართველოს
რესპუბლიკის დროშისა“. ეროვნული საბჭოს 6
სექტემბრის სხდომაზე, ეროვნულ-სახელმწიფო
დროშასთან დაკავშირებით, მოხსენებით გამ-
ოვდა ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე
კოტე მაყაშვილი: “საქართველოს უძველესი
დროიდანვე ჰქონდა დროშები – აცხადებდა იგი
– რომლის აღწერილობა არსებობს ბერძნულ,
ლათინურ და სხვა ენებზე. შარშან, წინანდელ-
მა ეროვნულმა საბჭომ მოიწვია სპეციალისტე-
ბი და მცოდნე პირები და მათ მიიღეს საქართ-
ველოს დროშათ სამყეროვანი დროშა: წითელი,
თეორი და შავი. კომისიამაც ეს სამყეროვანი
დროშა მიიღო“⁹. ამასთან ერთად მომხსენებელი
აღნიშნავდა, რომ “რა თქმა უნდა, ეს დროშა
არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ რადგან
ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში
ეროვნულ ყრილობაზედ, რადგან ამ დროშის
ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდე-
ბლობა და, გარდა ამისა, ეს დროშა უკვე მოინ-
ათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგარად იგი იქცა
ისტორიად და, მე მგონია, ახლა ჩვენ ვალდებ-
ულნი ვართ, რომ კანონით დავადასტუროთ
მისი არსებობა“¹⁰.

⁸ გა. საქართველოს რესპუბლიკა, L.09.18.

⁹ გა. ურთობა, 2.06.18.

¹⁰ გა. ურთობა, 8.09.18.

ანგილიურ წყაროებში ქართული დროშები,
მართლაც ჩრდილო მთისწერება, მაგრამ,
სამწუხარისე მათ აღწერას კერსად კხვდებით.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ კანონი პროექტი დროშის შესახებ უცვლელად მიიღო და იგი სარედაქციო კომისიას გადასცა. 10 სექტემბრის კანონის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: “დროშას შეადგენს: თეორი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით. ალამი წითელი (შინდის ელფერის) შავი და თეორი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეორი ზოლები შეადგენს განის ნახევარს და სიგრძის ორ მეტეულედს”¹¹. კანონს ხელს აწერდნენ ეროვნული საბჭოს თავმჯდომრე ნ. ჩხეიძე და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჭორდანია. დამტკიცებული დროშის პროპორციას შეადგენდა 2:3-ზე, ნაცვლად 1:2-ისა, ხოლო შავთეორ ზოლს მანამდე ალმის მეოთხედი ეკავა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში კი სიტყვა “წითელი” ამოიღეს და დროშის ფერი მხელოდ “შვინდის ფერით” განისაზღვრა (მუხლი 4).

1918 წლის 7 დეკემბერს გაზეთი “საქართველო” წერდა: “შკვდრეთით აღმდგარო ეროვნულო დროშავ!.. ივერიის ხალხის ბრწყინვალე წარსულში შენი დაცვა იყო უწმინდესი გრძნობა წინაპართაოვის და შენმა ძალამ შესძღვნა მათ უკვდავი სახელი! შსოფლით ისტორიაში ამ წარსულს არას დროს არ დაივიწყებს ეს ხალხი, არასდროს არ გახდება მოდალატე შენი!”¹², ხოლო 1924 წელს ვლასა მგელაძე თავის “მოგონებებში” წერდა: “საქართველოს სამფეროვანი დროშა, რომელიც ჩვენს თავზე ცისარტყელასაგით ელგარებს... ასი წლის წინათ ქართველ ხალხს ხელიდან გაუვარდა კრწანისის ველზე, ერის სისხლით შეიღება და დროებით სამშობლოს თვალთაგან მიეფარა”¹³.

როგორც ვხედავთ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართულ საზოგადოებას წითელი (შინდისფერი) მიაჩნდა ისტორიულ დროშად, რადგან, არა ერთიანი საქართველოს, არამედ XVIII საუკუნის ქართლ-კახოვის სამეფოზე იღებდა



პაპუა ანდრონიკაშვილის
დროშის დეტალი
წმ. გორგი და მნათობები
1758 წელი

¹¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრიტული – 1918-1921, თბ. 1990, გვ. 62

¹² ხის ყოფიანი. “სალაში ეროვნულ დროშა”,
გა. “საქართველო”, 7.12.18.

¹³ ქართული ქმიერაბტული ლიტერატურა (ქ.ლ.) – “დაბრუნება”. გ. შარაძის საერთო რეალისტიკ. III, თბ. 1992, გვ. 220.



ოთხებ შარლგანი

ორიენტირს. სწორედ, ვახტანგ VI-ს ამ ცნობილი დროშის ფერი დაედო საფუძვლად 1918-1921 წ.წ. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო დროშას, რომელიც მაშინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, ერთიანი საქართველოს დროშის ფერსაც ემოხვეოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო სამფერვანი დროშის დაკანონებას, რევოლუციურად განწყობილი ქართული საზოგადოების ნაწილი უპასუყილოდ შეხვდა. ისინი, არა მარტო დროშის, არამედ საერთოდ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ და ამიტომაც 1918 წლის 1 დეკემბერს, ქვეყნის დამოუკიდებლობის 6 თვის თავის დემონსტრაციაზე წითელი დროშებით გამოვიდნენ.

1918 წლის 17 სექტემბრის საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე პოეტი კოტე მაყაშვილი აცხადებდა: ქართველი უგიორგოდ წარმოუდგენელია და ამიტომაც სამართლიანად ეძახიან უცხოელნი საქართველოს Georgia, გიორგის ქვეყნად. და მათ ძლიერ გაუკვირდებათ თუ დამოუკიდებელ საქართველოს გერბზედ არ იქნება გამოსახული ეს საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ ხალხის თვისებებისა, ბოროტების და ჩაგვრის წინაამდღევა ამხედრებული, თეორი რაინდი, სანატრელი გმირი და საქართველოს მომავლის ნათელი გზის გამკაფავი". ამასთან ერთად, კ. მაყაშვილი აღნიშნავდა, რომ "არაფერს ვიტყვი იმაზედ, თუ რატომ ახალს რამეს არ გამოვიგონებოთ ემბლემად. ოცნებას საზღვარი არა აქვს. ბევრი რამის ახალის და კარგის გამოვიგონება შეიძლება, მაგრამ ეს იმას აღნიშნავდა, რომ ჩვენ, როგორც ხალხს არავითარი ლამაზი და ძლიერი ტრადიცია არ მოგვიოდია და საეჭვო ძვირფას თვლის ძენაში დავკარგეთ მარგალიტი"¹⁴.

საქართველოს გერბის კანონ-პროექტის განხილვის დროს კაკი წერეთელმა ფრაქციის უმრავლესობის სახელით წინადადგ-

¹⁴ ქლ. გ. N5746-6, გამოაქვეყნა თ. ჯანელიძე, გახ. „კავკასიონი“, 15.07.95.

ბა შემოიტანა, რომ რესპუბლიკის გერბად ამირანის გამოსახულება ყოფილიყო. 33 სმით 16 წინადაღებ (ერთმა თავი შეიკავა) კანონ-პროექტი უცვლელად იქნა მიღებული და სარედაქციო კომისიას გადაეცა. 20 სექტემბერს, კანონი “საქართველოს რესპუბლიკის დერბისა“ წაიკითხა შალვა ამირეჯიბმა, რომლის მიხედვითაც “დერბად არის თეორი გიორგი შვიდი მნათობით“¹⁵.

ხელოვნების კომისიის დადგენილების საფუძველზე საქართველოს დემოკრატიული ოქ-სპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 12 ოქტომბერს სახელმწიფო “გერბის ნახატის კონკურსი“ გამოაცხადა. მართალია მთავრობამ კომისიის დადგენილების რვავე პუნქტი გაითვალისწინა მაგრამ პირველ პუნქტში მაინც შეიტანა პრინციპული ცვლილება და მთავარი ატრიბუტი – გველგშაპი ამოილო, რითაც თეორ გიორგის მოწყვიტა ის მთავარი ფუნქცია, რასაც ბოროტების დათრგუნვა და მასზე გამარჯვება პქვია. “დერბზე უნდა იქნეს გამოხატული თეორი გიორგის სახე ცხენზე მჯდომარე, უგველეშაპო“¹⁶ – ეს იყო კონკურსის პირველი და უმთავრესი პირობა.

24 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი საქართველოს გერბის აღწერის კანონ-პროექტის შესახებ, აცხადებდა: “როგორც მოგეხსენებათ პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო დერბისა, მაგრამ რადგანაც გამოხატულება მისი საგსებით სწორე არ იყო, მთავრობამ დანიშნა კონკურსი და მოიწონა ერთი (შარლგამანის მიერ შესრულებული). ეს ნახატი ხელოვნების კომისიამაც მოიწონა მცირე ცვლილებებით“¹⁷. 27 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის კანონის, “აღწერილობა სახელმწიფო გერბისა“, საბოლოო რედაქცია, კვლავ შალვა ამირეჯიბმა წაიკითხა, რომელმაც აღნიშნა, რომ კანონში სიტყვა “ასალი“ შეიცვალა “ყაჯარით“. საბოლოოდ, გერ-



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის გერბი
1918 წელი



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობის
შტანდარტი
1918 წელი

¹⁵ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივივწ.-გვ.67.

¹⁶ ც. ს. ვ. ც. 1836, საქ 210.

¹⁷ გახ. “ურთობა”, 26.12.18.



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკას
გერბის შემკობის
ვარიაციები გამოსახული
ფულის ნიშნებზე
1918 - 1921 წ.წ.

ბის აღწერილობის კანონი ასე ჩამოყალიბდა:

“შვინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ
თეორი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეორ ცხ-
ენზედ.

“მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვე-
ბული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრანი.

“ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერ-
ცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხადის ფერი
ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსახე-
ამისა თეორი.

“მარცხენა მხარზედ თეორი ფარი სახიანი;
შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

“უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი;
უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა;

“ღერბის თავში რვა კუთხიანი ვერცხლის
ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მოვარე,
მარცხნივ ოქროს მზე; მოვარის და მზის აქეთ-
იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარ-
სკვლავი.

“ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი.
ფარის გარშემო შავი არშია, თეორწინწკლები-
ანი, ოქროს ზოლებში ჩასმული”¹⁸.

ამავე დღეს დამტკიცდა ისებ შარლემანის
მიერ შესრულებული მთავრობის შტანდარტი
და თეორი ფერის სამხედრო დროშა.

გერბის დამტკიცებამ კიდევ უფრო უარ-
ყოფითად იმოქმედა ქართველ ხელოვანებზე
და ამჟამად, დ. შევარდნაძესთან ერთად იც.
ჯავახიშვილიც აწერდა ხელს საპროტესტო
წერილს, რომელიც საქართველოს რესპუბლი-
კის პარლამენტსა და მთავრობას გაეგზავნა.
მხატვარი დავით კაგაბაძე აღნიშნავდა, რომ
გერბში არ ჩანდა ქართული სტილი. კერძოდ,
“გიორგის პირისახე, მისი საზოგადო მოხაზუ-
ლობა, მისი ხელების მოძრაობა შესრულებულია,
გარეთწოდებული, შეერთებული “მოსკოვის“

¹⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
სამართლებრივი აქტების კრებული
– 1918-1921, ივივე, გვ.177.

გერბის აღწერილობაში არ იყო მთითუბაზე „იუსტი-
გიორგის“ მაძრაობის მიმართულება. შესრულებულ გერბში
იცი მარჯვნივ პერალიურად არასწორადა წარმოდგნილი.
საინტერესოა ისიც, რომ გერბის მნათოებიდან მთვარე,
მა შენდება საზოგადოებისათვის,
სამუშალმანი საქართველოს
განსახიერება იყო.

და “ნოვგოროდის” მე-XV-XVI ს.ს. მხატვრობის რიგზე... ცხენის ქვევით კი, მოთავსებულია არაბული კამარის მსგავსი მოხაზულობა... სახელმწიფო გებრივი დერბი არის სიმბოლური გამოხატულება სახელმწიფო არსებობისა... სამწერალოდ უნდა ვთქვაო, რომ ჩვენი დერბი... არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ამ მიღებული სახით დერბის ცხოვრებაში გატარება ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლად¹⁹, ხოლო რეზო გაძაშვილი იგონებდა: “დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მენშევიკებმა კვლავ მისცეს უფლება თავის მრევლს, — ინდივიდუალურად მიეცათ ხმა, ჩვენ გავიტანეთ “ოქორი გიორგი”, მაგრამ დაგვიმახინჯეს, რასაკვირველია, და, ვეშაპის დათრგუნვის მაგიერ შუბით გმირისაგან, ვიდაც ჯამბაზი გადაიხტუნეს... გუმბათზე და შუბს ტარიდანაც მოხსნეს ჯვარი. სწორედ ესეც ნამდვილი სიმბოლო გახდა მენშევიკებისა: ბოლშევიკურ ვეშაპს ვერ მოერივნენ და დიდი სიტყვიერი ჯამბაზობით გადაიყრინდნენ, გადახტნენ სტამბოლის გუმბათებს²⁰.

ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკას საკუთარი მუსიკალური სიმბოლო — ჰიმნიც ესაჭიროებოდა. ამასთან დაკავშირებით ქართული ლაშქრის სამუსიკო საქმეთა გამგებ და ლოტბარმა, კომპოზიტორმა კორეცონერაშვილმა, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დროს დაიწყო მუშაობა. 1918 წლის 19 მაისს ქართულ კლუბში მუსიკოს-მომღერალთა ყრილობა გაიმართა, სადაც მის მიერ შექმნილი ჰიმნების რეპეტიცია და პირველი მოსმენა შედგა, ხოლო 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ ზეიმზე, სხვა მუსიკასთან ერთად “დიდებაც” აუდერდა. 2 ივნისს, კვირას, სახელმწიფო ოქატრში სხვა ჰიმნ-საგალობლებთან და რევოლუციურ მარშთან ერთად ქართულმა საზოგადოებამ “დიდებაც” მოისმინა, რომლის ტექსტიც თავად კ. ფოცხვერაშვილს ეკუთვნის:


“დიდება ზეციო კუროხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა,



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის
გერბის შემობის
ვარიაციები გამოსახული
ულის ნიშნებზე
1918 - 1921 წ.წ.

¹⁹ ქურნალი “შვიდი მნათობი”, №1, 1919.

²⁰ ქადაგი ივნისი გვ-219.



ქოტე ფოცხვერაშვილი

დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა,
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვენებას, სიხარულს,
სალამი ჰეშმარიტების
შუქ-განთიადსა“.

სელიოვნების კომისიამ “დიდების” ავტორის თხოვნა დაეკანონებინათ იგი, დიად დატოვა და ამის სანაცვლოდ მთავრობამ “ჰიმნის შეჯიბრი” გამოაცხადა.

კონკურსი 1918 წლის 25 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაიდო და 1 სექტემბერს ქართულ კლუბში ნიკ. ქართველიშვილის ლოტბარობით და დირიჟორობით ჩატარდა, რომელშიც გამარჯვებულად ნიკო სულხანიშვილის “ღმერთო, ღმერთო” გამოცხადდა. მალე, ეიურის დადგენილებით, გამარჯვებული პიმნის მუსიკა გადაპეტდა სიმებიანი ორკესტრისათვის და შესრულდა სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჩერეპნინის დირიჟორობით. 22 სექტემბერს ქართული კლუბის მამასახლისოთა საბჭომ ბენეფისი მოუწყო კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს, სადაც შესრულდა მისი პიმნი და სხვა მუსიკა.

ჰიმნი “დიდება”
ქოტე ფოცხვერაშვილის
ავროგრაფი

მიუხედავად უოველივე ამისა, პიმზი “ღმერთოდმეროო” მთავრობის მიერ არ იქნა დაკანონებული, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პიმზი. ამიტომაც იყო, რომ მასთან ერთად ოფიციალურ დღესასწაულებზე, არცოუ იშვიათად კოტე ფუცხევერაშვილის “დიდება” და ანდრია ყარაშვილის “სამშობლოც” სრულდებოდა.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნა დატოვა. მას ოფიციალურად კაპიტულაციისათვის ხელი არ მოუწერია და ევროპაში ეძებდა საკუთარ სიმართლეს, რომელსაც ვერ მიაგნო. ნოე უორდანია წერდა: “დღეს მსოფლიოში ფრიალებს ორი მოპირდაპირე დროშა – თავისუფლებისა და მონობისა. საქართველოს დროშის ადგილი მხოლოდ თავისუფლების ბანაკშია”. მართალია, დაპყრობის შემდეგ, კიდევ ცამეტი წელიწადი ფრიალებდა საქართველოს სუვერენობის ნიშანი, სამფერვანი დროშა, ევროპის ცენტრში, პარიზში, მაგრამ მას თბილისის თავზე აფრიალება უკვე დიდი ხნით აღარ ეწერა. ეს შესაძლებელი გახდა, მხოლოდ 1990 წლის 14 ნოემბერს, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობის თავზე წითელი ბოლშევიკური დროშა დაეშვა და მისი ნაკუწები დეპუტატებმა სამახსოვროდ დაირიგეს.



ნიკო სულხანიშვილი

თანამედროვე საქართველოს პერალდიკა



საქართველოს
რესპუბლიკის
გერბი და დროშა
1990 წელი

ყოფილი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩევის მიერ “გარდაქმნის” გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში იწყება მასობრივი სახალხო დემონსტრაციები და მანიფესტაციები, კავშირიდან გასვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადება-აღდგენის მიზნით. ამ პროცესებს არც საქართველო ჩამორჩა. 1988 წლიდან სახალხო გამოსვლები უფრო აქტიურ ხასიათს იძენს და დედაქალაქის ქუჩებში ჩნდება ნაირგვარი დროშები. ამ დროს განსაკუთრებით თვალშისაცემია 1918-1921 წ.წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა. იგი აღიქმებოდა, როგორც დამოუკიდებლობის სიმბოლო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მას უფრო სკეპტიკურად უყურებდა, არა იმ პოლიტიკური იმიჯის გამო, რაც მას გააჩნდა, არამედ უფრო მისი ვიზუალური მხარე იმსახურებდა ორაზროვნებას. ეს ვითარება უფრო 1989 წელს იგრძნობა და იმჟამინდელ პერიოდულ პრესაში ჩნდება სტატიები, რომლებიც მენტევიკების დროინდელ საქართველოს ეროვნულ დროშას წუნს სდებენ გარეგნული, კომპოზიციური დაუხევწაობის გამო. ამავე პერიოდში შეინიშნება ისტორიული “გორგასიან-დავითიანი” დროშისადმი მეტი სიმპათიები. იგი სხვადასხვა პარტიულ დროშებთან ერთად უფრო ხშირად ჩნდება სამფეროვანი დროშის გვერდით.

სამფეროვანი დროშა არ იქნა სრულყოფილად გასიმბოლოვებული საქართველოს სახელმწიფო გერბის გერბისთვის, ხოლო გერბის “თორი გიორგი”, წმ. გიორგის პროფანირებულ

სახედ მოინათლა. “დროშამ თავისი შეზღუდული საშუალებებით გერ გამოხატა მიახლოებითაც კი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის არსი, გერ შეიქმნა იმ ფოკუსად, სადაც თავი უნდა მოეყარა წარსულს, აწმყოსა და მომავალს ქვეყნისა” – წერდა ზურაბ კიგნაძე. ამასთან ერთად იგი აღნიშნავდა, რომ “დამოუკიდებელი საქართველოს დერბი მხედრის გამოსახულებით საბედისწერო გაუგებრობაა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო მველი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაში; მისი ისტორიის გადამწყვეტ მომენტი ეს იყო მარცხი ქართული ინტელიგენციის ცნობიერებაში, რომელიც კარგა ხნით იყო დაავადებული ურწმუნოებით და რაც უფრო უარესია, რელიგიული ნიჭილიზმით (“საქართველო”, 11.11.90). მის ვიზუალურ მხარესთან ერთად ეს იყო ის მთავარი მიზეზები, რომლის გამოც მოხდა ძეველი სიმბოლოების დაწუნება. უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის დასაწყისშიც, ძირითადად, სწორედ ამ მიზეზების გამო გაუჭირდა ქართულ საზოგადოებას ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს ატრიბუტიკის მიღება და მთავრობას მისი შეცვლისაკენ მოუწოდებდა.

შეატვარი გია ბუღაძე დემოკრატიული საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო დროშას არა პერალდიქურ, არამედ წმიდა ფერთამეტყველების გააზრებით განიხილავდა: “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, – წერდა იგი – თავისი ფერადოვნებით (ხასს ვუსვამ, ფერადოვნებით და არა ფერთა კომპოზიციური განაწილებით) უძველესი და უდრმესი ქართული კოსმოგონიის ფერადოვანი ინტერპრეტაცია გახლავთ. შეგი – ქვესპერელი – წარსული; წითელი (შინდისფერი) – სკნელი – აწმყო და ოეთო – ზესკნელი – მომავალი... შეგი – ის, რაც უნდა იყოს საფუძვლად, გადადის ზევით და კეტავს ოეთოს, ფაქტიურად, სულიერ საწყისს და მომავალს... დროშა, ფერთა ამ წყობით დიდი ბრძოლებისა და ტანჯვების – თითქმის წამების სიმბოლოდ მესახება” (“ლიტერატურული საქართველო”, 22.09.89).

სამცეროვანი დროშის ფერთამეტყველუბას შეეხო ცირა ინწკირველი თავის ვრცელ



საქართველოს
რესპუბლიკის პიმინი
1990 წელი



მიხეილ მაყაშვილი





მალხაზ ბუთხეუზი

მონოგრაფიაში “ქრისტიანული მოტივები “ვეფხისტეაოსანში”. საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიზმისათვის”, სადაც აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეროვნული დროშის სამივე ფერის სიმბოლიზმი იდენტურია... ვეფხისტეაოსნის ფერთა, საკრალურელიგიური, ქრისტიანული თეოსოფიისა და ქართული ისტორიული წყაროებით პირობადულ ფერთა სიმბოლიზმისა (“განთიადი”, 1990, №6,7,8).

1990 წლის ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები მმართველი კომუნისტური პარტიის მარცხითა და ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებით დამთავრდა. ახალმა საბჭომ 14 ნოემბრის პირველივე სესიაზე სახელმწიფო ატრიბუტიკის საკითხი განიხილა. უკვე შექმნილმა საზოგადოებრივმა აზრმა თავისი როლი ითამაშა და ახალი ატრიბუტიკა ძველის რედაქტირებული სახით იქნა მიღებული და დაკანონებული. 28 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს რეპუბლიკის ახალი რედაქტირებული დროშისა და გერბის დებულებები, რომლის მიხედვითაც 1918-1921 წლების გერბს, იმ პერიოდის ფულის ნიშნებზე დაგანილი გამოსახულების მსგავსად, დაემატა „ეროვნული ოქროსცერი ჩუქურმებით შემოსაზღვრული შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწესებული აქვს შვიდი შავარშიიანი თეორი ბოლოური ჯვარი“. სახელმწიფო დროშას კი ძველი პროპორციები შეეცვალა. ატრიბუტიკის რედაქციის ავტორი უზენაესი საბჭოს წევრი, არქიტექტორი და პერალდიკოსი მიხეილ მაყაშვილი, ხოლო მხატვარი მალხაზ ბუთხეუზი იყო. ამავე დროს ზოგიერთის აზრით, იგი არ იყო ის სიმბოლოები, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანას ეკადრებოდა. ვინაიდან ეს სიმბოლოები საზოგადოებაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა, მაშინდელი უზენაესი საბჭოს წევრების ლოგარდ ტუხაშვილისა და მიხეილ მაყაშვილის თხოვნით არსებული გერბისა და დროშის შესახებ მცირე მონოგრაფია დავწერ, რომელიც

განმარტავდა მათ წმიდა პერალდიგური და თეოლოგიური კუთხიდან. მონოგრაფია 1991 წელს ე მომზადდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მისი გამოქვეყნება მხოლოდ 1994 წლის 14 და 26 იანვარს გაზეო “ეწყებანში” მოხერხდა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შეცვლის საკითხი პირველად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს წამოწია. მიხეილ მაყაშვილმა და მამუკა გონგაძემ მაშინ პრეზიდენტის დავალებით სახელმწიფო და სამხედრო დროშების ახალი ესკიზები წარუდგინეს, სახელმწიფო დროშის ესკიზზე გამოსახული იყო წმ. გიორგის ჯვარი, რომელსაც შავი არშია (კამბა) გასდევდა, ხოლო სამხედრო დროშას წითელი ქსოვილი წარმოადგენდა თეორი სრული ჯვრით, რომელსაც, ასევე შავ-თეთრი არშია გასდევდა. ესკიზები სამი – 3/5, 5/8 და 1/2 პროპორციებით იყო წარმოდგენილი. გამსახურდიას მიერ ამ ვარიანტების განხილვის შემდეგ მის მიერ სახელმწიფო დროშის პროექტად მიღებული იქნა წითელი ქსოვილი თეორი სრული ჯვრით, რომელსაც შავი არშია პქონდა. თავად პრეზიდენტი დროშის ამ ვარიანტს ასე იაზრებდა: თეორი ჯვარი ქრისტეს განასახიერებს, რომელიც შავ ძელზეა გაკრული, ხოლო წითელი (შინდისფერი) საქართველოს დღევანდელობის მანიშნებელია. ახალი დროშის პროპორციად 3/5-ოან შეირჩა. სახელმწიფო გერბის ახალი ვარიანტი, რომელიც მხატვარ მამუკა გონგაძის მიერ იყო შესრულებული, შვიდქიმიანი ვარსკვლავის უფრო რთულ კომპოზიციას ითვალისწინებდა, მასში წმ. გიორგის გამოსახულებით. 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებულმა მოვლენებმა ბუნებრივია საკითხი შეაჩერა. მომდევნო წლის 2 იანვარს საქართველოს მთავრობის მაშინდელი ოპოზიციის ლიდერებმა თენგიზ კიბრივანმა და ჯაბა იოსელიანმა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა გამოაცხადა. შეაჩერეს კონსტიტუცია, დაითხოვეს პარლამენტი და სამხედრო საბჭო ჩამოაყალიბეს, ხოლო მთავრობის თავმჯდომარედ თენგიზ სიგუა დანიშნეს. 6 იანვარს პრ-



პრეზიდენტ
ზვიად გამსახურდიას
მიერ მოწოდებული
სახელმწიფო ახალი
გერბისა და დროშის
პროექტები
1991 წელი
ავტორები მ. მაყაშვილი
და მ. გონგაძე



ემირ ბურჯანაძე

ეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველო
დატოვა. 1992 წლის 10 მარტს გაუქმდა სამხ-
ედრო საბჭო და შეიქმნა საქართველოს რეს-
პუბლიკის სახელმწიფო საბჭო მოსკოვიდან
ახლადდაბრუნებული ედვარდ შევარდნაძის
თავმჯდომარეობით.

მიუხედავად არსებული ვითარებისა,
“გარდაქმნის” პერიოდის პირველ არასაბჭოოთა
სიმბოლოებად ქ. თბილისის პერალიკური
ნიშნები უნდა მივიჩნიოთ. 1988 წელს მხარვარ-
გრაფიკოსმა ემირ ბურჯანაძემ საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს ქალაქ თბილისის ებ-
ბლემა, დროშა და სიმბოლური გასაღების ნი-
მუშები წარუდგინა. ოუ ემბლემა, მრგალ ფარზე
დატანილი შევარდენი “თ”-ს სტილისტური
გამოსახულება კიდევ მისაღები იყო მთავრო-
ბისათვის, დროშა – ოთრ ქსოვილზე ლურჯი
ჯვრითა და მასზე ქალაქის ემბლემით, აშკარად
მიუღებელი აღმოჩნდა ათეისტური ქვეყნისათ-
ვის. საბჭოთა წყობილების დროს ჯვრიანი
დროშის გამოჩენა ნამდვილად საჭიროებას
წარმოადგენდა და ავტორის სასახელოდ უნდა
ითქას, რომ მან შეძლო მთავრობისათვის დაე-
მტკიცებინა დროშაზე ჯვრის აუცილებლობა.
ე. ბურჯანაძის განმარტებით, დროშაზე ჯვარი
არა რელიგიურ, არამედ გეოგრაფიული ას-
პექტით იქნა წარმოდგენილი, რადგან თავად
ქალაქი თბილისი დედამიწის ოთხი მხარის დე-
რძულ გადაკვეთაზეა გაშენებული. დედაქალაქი
ის დროშაზეც სწორედ ეს არის ასახული, სა-
დაც ჯვრის ცენტრში თბილისი ემბლემითაა
წარმოდგენილი და მის გარშემო შვიდი ვარ-
სკვლავით საქართველოს სიმბოლური სახეა
ნაჩვენები.

ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილი თბილი-
სის ემბლემის, დროშისა და სიმბოლური
გასაღებიდან სახალხო დეპუტატთა თბილი-
სის საქალაქო საბჭოს მე-20 მოწვევის მე-
თერთმეტე სესიის 1989 წლის 14 დეკემ-
ბრის გადაწყვეტილებით მხოლოდ ემბლემა,
როგორც თბილისის გერბი, ისე დამტკიცდა.
გადაწყვეტილების თანახმად “მიღებულ იქნას
საქალაქო საბჭოს აღამსკომის, მრჩეველთა

საბჭოს, დედაქალაქის მშრომელების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა წინადაღება და ქ. ობილისის გერბიდ დამტკიცებულ იქნას მხატვარ ემირ ბურჯანაძის მიერ წარმოდგენილი ესკიზი“. მას ხელს აწერდნენ ადამსკომის თავმჯდომარე ირ. ანდრიაძე და მდივანი ვ. ჯაფარიძე. დედაქალაქის შესახლელთან გერბი გამოისახა, ხოლო მოგვიანებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ობილისობის დღესასწაულზე მისი დროშაც გამოიფინა, თუმცა, აუცილებლობა მოითხოვს იოქვას, რომ ობილისის მერიის თავზე ეროვნულ-სახელმწიფო დროშის ქალაქის დროშით შეცვლა მაინც არ მოხდა.

ქ. ობილისის საკრებულოს 2002 წლის 24 აპრილის №34 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის სიმბოლიკა – გერბი, დროშა და სიმბოლური გასაღები. გერბი წარმოადგენდა ემბლემის რედაქტირებულ სახეს, სადაც რუსული და ინგლისური წარწერები “ТБИЛИСИ”, “TBILISI” ასომთავრულით და ნუსხა-ხუცურით შეიცვალა. აღწერილობის მიხედვით, რომელიც თავად ავტორმა შეასრულა “ობილისი გერბი, ისევე როგორც ქართული ფარი, ფორმით მრგვალია.

“დამწერლობით შექმნილი კომპოზიცია – ასომთავრული “ო“-ს ასონიშნის გრაფემით აგებული ხოსტისა და მიმინოს განზოგადებული მხატვრული ფორმა და სახელდების ასოთა თანმიმდევრობა ერთ მოლიან სიმბოლოდ აღიქმება და გამოხატავს დედაქალაქის ლეგენდის არსეს.

“გერბის ზემო ნახევარსფეროს კიდეზე განლაგებულია შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავი – სრულიად საქართველოს ცარგვალის ტრადიციული ნიშანი.

“ძირითად გამოსახულებას ეხვევა მუხის რტო – მარადიულობისა და ძლიერების სიმბოლო, რომლის ძირში იქმნება ჯვრისებული ტიხარი, სადაც ასომთავრულად (მრგვლოვანი) და ნუსხა-ხუცურად ჩაწერილია “ობილისი“.

“გერბის დერბულ დაბოლოებას წარმოადგენს წყლის თემა – ლეგენდის ლაიტმოტივი.

“ობილისის გერბი დედაქალაქის ლეგენდაზე აღმოცენებული სემანტიკური ნიშანია“.



ქალაქ ობილისის
გერბი
1989 წელი



ქალაქ ობილისის
დროშა
1989 წელი



ქალაქ თბილისის
დროშა
რედაქტირებული
2002 წელი

თბილისის დროშა “IX2 შეფარდების სწორკუთხედის ფორმისაა. ოეთრ ფერზე მკვე-
თრად ადიქმება ურთიერთგადამკვეთი ფართო
მუქი ცისფერი და შედარებით ვიწრო თქროს-
ფერი ზოლები.

“გადაკვეთის ადგილი აქცენტირებულია
გერბის გრაფიკული გამოსახულებით მუქ წი-
ოლებული ფონზე, რომლის ირგვლივ თქროსფერი
შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავია განლაგებუ-
ლი. სიბრტყეზე დერძული ზოლები პორიზონ-
ტალურის მიმართ ასიმეტრიულია, რაც ქმნის
ჯვრისებულ ფორმას.

“ზოლოთა ამგვარი ურთიერთდამოკიდებუ-
ლება სიმბოლურია.

“თბილისის ისტორიულ-გეოგრაფიულ
გზაჯვარედინზე არსებული პირველი ქართუ-
ლი ქრისტიანული ქალაქი.

“თბილისის დროშა ოთხფეროვანია: ოეთრი,
მუქი ცისფერი, თქროსფერი და მუქი წიოლელი.
ხოლო შესრულებისათვის იგულისხმება სამი
ფერი თეორ ფონზე“.

გადაწყვეტილების მიხედვით რომელსაც
ხელს აწერდა თბილისის საკრებულოს თავ-
მჯდომარე ვ. კახაძე და მდივანი ზ. გუდავაძე,
დედაქალაქის მთავრობის თავმჯდომარეს გ.
შერაძეს დაევალა წარმოედგინა სიმბოლიკის
გამოყენების წესი. ქ. თბილისის საკრებულოს
2003 წლის 13 მარტის №4-2 გადაწყვეტილებით
დამტკიცდა დედაქალაქის დროშისა და გერბის
აღწერილობის რედაქტირებული ტექსტი და
დებულებები, რომლის თანახმადაც ისინი უნდა
განთავსებულიყო

“ა) ქალაქ თბილისის მერიის შენობის თავ-
ზე – მუდმივად, აგრეთვე შენობაზე სადაც ტარ-
დება ქალაქ თბილისის საკრებულოს ან მთავ-
რობის (მერიის) სხდომები – სხდომის მთელ
პერიოდში;

“ბ) ქალაქ თბილისის რაიონული გამ-
გობებისა (დაბა წყნეთი) და ქალაქ თბილისის
მერიის საქალაქო სამსახურების შენობებზე;

“გ) თბილისობის დღესასწაულზე – ქალაქ
თბილისის მერიის დაქაემდებარებაში არსე-
ბული ადმინისტრაციული ორგანოებისა და

ქალაქ თბილისში განლაგებული სტრატეგიული დანიშნულების (რკინიგზა, აეროპორტი და სხვა) ობიექტების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების შენობებზე“.

ქართული საზოგადოების განსაკუთვნებული გააქტიურება სახელმწიფო ატრიბუტიკასთან დაკავშირებით, უკვე 1992 წელსვე შეინიშნება. პრესითა და ტელევიზიით უფრო სშირად ჩნდება განცხადებები მათი შეცვლის თაობაზე. თუმცა მათ არც დამცველები დააკლდა. ორივე მხარე საკუთარი არგუმენტებით ცდილობდა თავისი სიმართლე დაესაბუთებინა. სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის მოთხოვნა შეუქცევადი გახდა და მისი გადაწყვეტა უკვე დროის საკითხს წარმოადგენდა. პრესაში გაჩნდა წერილები, რომელმაც არსებული სიმბოლოები არაკანონიურობაშიც “ამხილა”, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი საკითხის სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტაში.

1993 წელს დებატებმა საქართველოს პარლამენტში გადაინაცვლა. 23ივნისის სხდომაზე მაშინდელმა კულტურის მინისტრმა დათო მაღრაძემ წინადაღება შეიტანა პარლამენტის წინაშე, რათა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელიც გაუძლვებოდა “ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მართებულად გადაწყვეტას”. იგი თავის პოზიციას ასე გამოხატავდა. “ჩვენს ქმედნას, ევროპაში ერთ-ერთ უძველესს, უნდა პქონოდა და აქვს კიდეც სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი ატრიბუტიკა: სახელმწოდება – “საქართველო”, დროშა – “გორგასლიან-დავითიანი”, გერბი – “კვართიან-დავითიანი”.

“უეჭველად მოსათოკია საქართველოს ისტორიის ყოველ მოსახვევზე ქვეყნისათვის ახალ-ახალი სახელმწიფო ნიშნების თხზვის ენთუზიაზმი. ამას გაუგებრობისა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დაქნინების გარდა, არაფერი მოაქვს.

“ძველი ნიშნების იგნორირება საქართველოს სახელმწიფოებრიობის იგნორირებაა.

“ჩვენს პარლამენტს აქვს პატივი, უფლება და საშუალება, დაუბრუნოს ქვეყანას ისტორიული სახელმწიფო ნიშნები (დროშა, გერბი...)


“საქართველოს სახელმწიფო დროშისა




თამარ მეფის მონეტა
XIII საუკუნე



საქართველოს
სასაზღვრო ძალების
გერბი
1998 წელი
ავტორი ქ. ბურჯანაძე



დაგით აღმაშენებლის
ორდენი
1993 წელი
ავტორი ე. ბურჯანაძე



ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენი
1993 წელი
ავტორი ე. ბურჯანაძე

და გერბის აღდგენა არის „უტყუარი გარანტია ისტორიული ტრადიციისა, დაცული იქნას ნებისმიერი აღმსარებლობის ყველა მოქალაქის უზენაესი უფლება“ (გან. „მოქალაქე“ 1.04.97).

იმავე წლის 16 დეკემბერს საქართველოს პარლამენტი იდგას დადგენილებას „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე წინადაღებების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიას (თავმჯდომარე ელდარ შენგელაია) და მეცნიერებისა და განათლების კომისიას (თავმჯდომარე რაულ კუპრავა) დაევალა შემუშავებინათ ერთობლივი წინადაღებები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობისა და მისი მუშაობის რეგლამენტის შესახებ.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი და საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში შემოდის წერილები, სადაც ახალი ეროვნულ-სახელმწიფო დროშის სხვადასხვა ვარიანტებია წარმოდგენილი. პრეზიდენტი თავად ეცნობოდა წერილებს და შემდეგ უზავნიდა კულტურის კომისიის თავმჯდომარეს ე. შენგელაიას, შემდეგი რეზოლუციით: „ბატონი ელდარ, გთხოვთ იმსჯელოთ ამ ვარიანტზეც და საერთოდ საქმე უნდა დავაჩქაროთ“. პრეზაში კი კიდევ უფრო მეტი სტატიები ჩნდება არსებულ ატრიბუტიკასთან დაკავშირებით.

1994 წლის 7 თებერვალს ხელი მოეწერა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის სპეციალურ ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“, რომელიც დასაწყისში ათი წევრით განისაზღვრა. ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუნიციპის დირექტორის მრჩეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი. სამუშაო ჯგუფის მუშაობის მიზანი იყო ახალი კონსტიტუციის შემუშავებასთან

დაკაგშირებით წარმოედგინა თავისი მოსაზრებები და პროექტები სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში. მათი ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფას თავად ქვეყნის პარლამენტი და საკონსტიტუციო კომისია საკუთარ თავზე იღებდა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფს არც სხვა სახელმწიფო ნიშნები დავიწყებია და მისი წევრი, შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი გრისტან ჩინჩილავაშვილი თავის 1994 წლის 10 მაისის წერილში ელდარ შენგალაიას მიმართ, აღნიშნავდა, რომ “ჯერ კიდევ 1990 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოვების განყოფილების მაშინდელ გამგეს შალვა ბერიანიძეს ჩავაბარე ჩემი წინადაღებები ქართული ორდენებისა და მედლების დაწესების შესახებ. ვთავაზობდი დაწესებულიყო “დავით აღმაშენებლის” I, II და III ხარისხის მხედართმთავრული ორდენი, “ილია მართლის” (ილია ჭავჭავაძის) I და II ხარისხის ორდენები (საერთ და სასულიერო პირთა დასაჯილდოვებლად), “ღირსების ორდენი” და მედლები: “მხედრული მამაცობისათვის” და “საბრძოლო დამსახურებისათვის”. დავწერე თითოეული ორდენისა და მედლის სტატუსი”.

დროთა განმავლობაში აღნიშნული რესტრიდან მთლიანად ამოვარდა “ილია მართლის” ორდენი, ხოლო “დავით აღმაშენებლის” ორდენს დარჩა ერთი ხარისხი. დამტკიცდა “ღირსების” ორდენი და მედლები: “მხედრული მამაცობისათვის” და “საბრძოლო დამსახურებისათვის”. აკადემიკოს მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძის წინადაღებით მათ დაემატა “ვახტანგ გორგასლის” I, II და III ხარისხის ორდენები (იხ. კანონი “საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ”, 24.12.96). 1998 წლის 26 ივნისს ჯილდოებს დაემატა “ოქროს საწმისის” ორდენი, უცხოელი მოქალაქეებისათვის საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურე-



ღირსების ორდენი
1993 წელი
ავტორი ე. ბურჯანაძე



ოქროს საწმინდის ორდენი
1998 წელი
ავტორი მ. გონგაძე

ბისათვის, ხოლო 2004 წელს “წმ. გიორგისა“ და “ეროვნული გმირის“ ორდენები, რომელთა ავტორიც მაჟუკა გონგაძე იყო. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო “დავით აღმაშენებლის” ორდენი პირველად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს 1998 წელს მიენიჭა, აღსაყდრების 20 წლისთავთან დაკავშირებით.

1993 წლის 15 მარტის სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით, მხატვარ ემირ ბურჯანაძის მიერ შესრულებული და შემდეგ დამტკიცებული მაკეტების საფუძველზე, თბილისის საიუველირო ქარხანას დაევალა სახელმწიფო ჯილდოების დამზადება. ამ საქმეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იმუამინდელი ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე კურირებდა.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დოზაინის განყოფილებაში მაჟუკა გონგაძისა და მიხეილ მაყაშვილის მიერ შემუშავებული ესკიზებით შექმნილი სამინისტროსა და მისი შენაგროების სხვადასხვა საბრძოლო დროშები, 1993 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილ აღლუმზე გამოიტანეს, თუმცა ისინი არ იყო დამტკიცებული და საჭირო იყო ამ საკითხის გადაწყვეტაც. სწორედ ამიტომ, 1994 წლის 19 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საბრძოლო დროშისა და სამკერდე წარჩინების ნიშნების დამდგენელი კომისიის პერსონალური შემადგენლობა და დამტკიცდება მათი სამუშაო გეგმა. კომისიას, რომელიც ცამეტი წევრისგან შედგებოდა, საქართველოს რესპუბლიკის იმუამინდელი პრემიერ-მინისტრი ითარებული იყო მათი მიზანის მიზანის შედეგად დამტკიცდა მაჟუკა გონგაძის მიერ შესრულებული სამხედრო დროშების პაკეტი.

სახელმწიფო სიმბოლოების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის პირველი შეკრება 1994 წლის 18 ოქტომბერის ჩატარდა. შეკრებაზე აღინიშნა, რომ უნდა მომხდარიყო ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა და გამოცხადებულიყო

კონგრესი საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. ჯგუფის წევრებს შორის აზრო სხვადასხვაობა გამოიკვეთა. ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ “დღეს ჩვენ გვაქვს გერბიც და დროშაც. მთავრობა ჩვენგან თხოულობს ძველის შეცვლას. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს დასაბუთებული მოსაზრება, რატომ ვცვლით დროშას. სუბიექტური მოსაზრებების გამო ვერ შევცვლით ვერც დროშას, ვერც გერბს და ვერც პიმნს” (ოქმი). აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო სამუშაო ჯგუფი ისტორიკოსებით შევსებულიყო. სხდომის დადგენილებით შემოქმედებით კავშირებს, უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას დაეგზავნათ წერილუბი სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

გაზეოთ “საქართველოს რესპუბლიკა” წერდა: “რამდენიმე დღის წინ შედგა სიმბოლიკის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა კინორეჟისორ ლანა დოლობერიძის თავმჯდომარეობით. მონაწილენი ვერ შეთანხმდნენ, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს დროშა, დერბი და პიმნი. კომისიის წევრთა უმრავლესობა ახალი სიმბოლიკის მომხრეა” (26.02.94). საკითხი არც ისე იოლი გადასაწყვეტი აღმოჩნდა. სამუშაო ჯგუფის წევრთა ნაწილი ისტორიული სიმბოლოების აღდგენის მომხრე იყო, ნაწილი კი, ახალი სიმბოლოების შექმნას უჭერდა მხარს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც არსებულის დატოვებას მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით მინისტრი დათო მაღრაძე ამბობდა: “კულტურის სამინისტრო, საპარლამენტო კომისისათან ერთად აპირებდა სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნას. მეცნიერების წინაშე დააყენებდა კონკრეტულ ამოცანას. განსაზღვრავდა, როგორი გერბისა და დროშის დირსია ისეთი ისტორიის მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, შემდეგ გამოცხადდებოდა კონკურსი” (“დრონი”, 01.03.94).

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი კულტურის კომისიის თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას მიმართ თყიციალურ



წმიდა გიორგის ორდენი
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე



ეროვნული გმირის
ორდენი
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე



Սայարտակալուս տաշքացքին
Սամօնիսէքրուս դրուժա

1999 Մայոս



Սայարտակալուս շրաբնյալու¹
գյարդուս դրուժա

1999 Մայոս



Սայարտակալուս սասանդարձ
մալցին դրուժա

1999 Մայոս

Մյերությունը Մյերը: “Սակելմիուցուա սամարտալմիյազուարյունիս Շյեսակեծ” და “Սակելմիուցու սագյուրյունիս, սակելմիուցու արյօնյունիս և սակելմիուցու վալյունիս մօմարտ սակելմիուցուա սամարտալմիյազուարյունիս Շյեսակեծ” վենիս սայրուամորուա յոնցենցույնիս մօկեցազու սայարտակալուս բայսպալույա մոյեյազուարյունի յուուցուա լեռյա սամարտալմիյազուարյունի յայսենցույնիս րուցիս. ամաստան աւսանուննազար, րում և սայենցի լու յոնցենցույնի անհերուցացի սակելմիուցուա սամարտալմիյազուարյունիս սակոտեցիս միուլուա սայրուամորուա եղալ մայուլյուցացի սակելմիուցու, սակելմիուցու արյօնյունիս և սակելմիուցու վալյունիս լոյցրութո. ամայնագ, տէքին արա եարտ վոնասվար Շյենցացյալու սայրուամորուա սամարտալուս բայմյալու միմյարաբույլու նորմուտ” (կամուսուս արյօնո).


Սայարտակալուս մյեցնույրյունիս ակացիասա დա սակելմիուցու շնուզերսիցը թո հացարդա սուցուալուցույրո გամոյուտեցի սակելմիուցու արրունակաստան դակաշմուրյուն. գամոյուտեցուա շմեցիսունամ մատու մայուլուս վոնաամթ դաց գամուույն անրու, մանու, ռուգյաս սայարտակալուս արալամյենցի թո արրունակաս մայուլա և դացյութա շմեցիսունամ դաշկուրա մեարո. ռաց մայեցի սանուցածունաս, ման սակոտես մօմարտ արայրուցարարան դամոյունցյուլյուցա գամուսա թո, տյմբա, ցորդա մյերո արրունակաս մայուլուս այցուուցյուլունաս զեր եցազա սակելմիուցու արրունակաս մեարո դաշկուրյես սայարտակալուս միջերալու յացմուրմա (ց. պանչույնու), շարնեալուսթու յացըրացուամ (ա. եօնարյունու), յօնեմաթուցրացուսթու յացմուրմա (ն. յյենու), արյօնիցյէթուրու յացմուրմա (լ. ծոյըրու), յարուցու եցազա մօմարտուս ունեցություն (ի. յանձներու), մյայսուցալյուրմա սանուցածունամ (մ. ակեմյէթյու). մատ, մոտեազնուս մայսամուսա և սայցուալյուրո վյերուցյուն մօմարտուս սիմիուլույուս մուսամթացյուցա և սամյամա յանցու դա վարյուցյուն սայուտարո որցանիսացույնիս վարմու մացյունցյունի դա վոնաացյուցյունի, րում սակուրու ալնունցու սակոտեցի հացարդա և սայուցալյուրո մայմանա կամպյէթյուրո յույրու, տյմբա

მუშაობა “გეგმაზომიერად და ზედმეტი აჩქარუბის გარეშე” უნდა წარმართულიყო.

კულტურის მინისტრის მოადგილე გ. გაბუნიამ 1994 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიის თავმჯდომარეს ელდარ შენგელაიას წარუდგინა მასალები სიმბოლიკის შესაქმნელად გამოსაცხადებელი კონკურსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი. კონკურსის ორგანიზაცია ევალებოდა კულტურის სამინისტროს ვალერი ასათიანის თავმჯდომარეობით და მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, დიზაინერთა კავშირებისა და მუსიკალური საზოგადოების მონაწილეობით. პროექტის მიხედვით გამარჯვებულთათვის ფულადი პრემიები არ იყო გათვალისწინებული.






საქართველოს
სამხედრო - საზღვაო
დროშა
1999 წელი



საქართველოს
სამხედრო - საპატიო
დალების დროშა
1999 წელი

* * *

1991 წლის 25 დეკემბერს პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა ხელი მოაწერა გადადგომას, რის შემდეგაც სსრკ ოფიციალურად დაშლილი გამოცხადდა. საქართველოს რესპუბლიკას სახელმწიფო ეროვნული საკუთარი ვალუტა სჭირდებოდა. მასზე მუშაობა, ჯერ კიდევ 1990 წელს, ეროვნული ბანკისა და ხელისუბლებისაგან მამუკა გონგაძესა და მიხელ მაყაშვილს დაუვალათ. პრეზიდენტ გამსახურდიას დროს გადაწყდა, რომ ქართულ ფულის სახელწოდება “მანეთი” იქნებოდა ორენოვანი ქართულ-აფხაზური წარწერით (ფულის ნიშნების ესკიზებიც მომზადებული იყო მ. გონგაძის მიერ), მაგრამ შემდეგ ფინანსისტის აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის აქტიურობით ქართული ფულისათვის “ლარის” სახელწოდების გადაწყვეტილება იქნა მიღებული (იყო სხვა ვარიანტებიც, მაგ.: “იბერი”). ფულის ნიშნების გამოსვლამდე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 25 სექტემბრიდან კუპონი შემოიტანა მი-



ქართული ფულის
პირველი ესკიზები
1990 წელი
ავტორები მ. გონგაძე და
მ. მაყაშვილი

მოქცევაში, რომლის გარეგნული ახალი სახე,
უკვე ბორჯდალის გამოსახულებით, 1993 წლის
4 აპრილს გამოჩნდა.

1994 წლის 5 აგვისტოს საქართველოს
რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფა-
ცაციამ დაამტკიცა საქართველოს მოქალაქის
პასპორტის დებულება და შემოიღეს ქართული
პასპორტი, ხოლო 1995 წლის 2 ოქტომბერს მი-
მოქცევაში შემოვიდა ქართული ლარის ნიშნე-
ბი, რომლებზეც სახელმწიფო გერბის – ოთრი
გიორგის ნაცვლად ბორჯდალის გამოსახულე-
ბა იქნა დატანილი. ამასთან დაკავშირებით
მისი ავტორი, მხატვარი ნოდარ მალაზონია
სამუშაო ჯგუფის 11 მარტის სხდომაზე აღნიშ-
ნავდა: “ფირმა “ბენეფისმა” ორი წლის განმავ-
ლობაში იმუშავა ახალ პასპორტზე და ფულის
ნიშანზე. საბოლოოდ დაიბეჭდა საფრანგეთში,
კერძოდ პარიზში. ქართულ დეკორზე დაყრდ-
ნობით შეიქმნა “ბორჯდალი” და გერბის ნაცვ-
ლად დაიბეჭდა პასპორტზე. მას კატეგორიული
დანიშნულება არ გააჩნია, როდესაც იქნება
ახალი გერბი დამტკიცებული, მაშინ ბორჯდა-
ლი შეიცვლება გერბით” (ოქმი). მიუხედავად
ამ განცხადებისა, საქართველოს მთავრობის
ზედა ეშელონებში თითქმის გადაწყვეტილი
იყო, რომ ქვეყნის გერბად ბორჯდალი დარჩე-
ბოდა. ქართულ პასპორტთან დაკავშირებით
ერთი კურიოსული ცაქტიც მოხდა. ერთ-ერთი
ჩინოვნიკის განცხადებით, პირველი ნიმუშე-
ბი არაბულ ყაიდაზე მარჯვნიდან მარცხნივ
იშლებოდა, რადგან, როგორც შემდეგ გაირკ-
ვა, საფრანგეთში ქართული ანბანი არაბული
წარმომავლობის ეფონათ და იგი, თითქოს მარ-
ჯვნიდან მარცხნივ იკითხებოდა. ეს შეცდომა
მაღვევე გამოსწორდა.

ბორჯდალთან დაკავშირებით ზურაბ კიბ-
ნაძე აღნიშნავდა, რომ იგი “წარმოადგენს სა-
კუთარი დერძის გარშემო მბრუნავ სვასტიკურ
ჯვარს. ფიქრობენ, რომ ამგვარად შექმნილი ეს
დინამიური ფიგურა არის სიცოცხლის, ცეც-
ლის, მზის, მარადიულობის, მარადი განახლების
სიმბოლო” (“მერიდიანი”, №3, 1997წ). სხვათა-
შორის, სწორედ ამგვარ იდეურ დატვირთვას

იოგალისწინებდნენ რევოლიციონერები, როცა 1917 წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ ფულის ნიშნებზე, ორთავიან არწივთან ერთად, სვასტიკის გამოსახულებაც დაიტანა, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობამ 1918 წლის ბონებზე ბორჯდალები მოიწონა.

უნდა ითქვას, რომ ჯვარი, სვასტიკა და ბორჯდალი ერთი სემანტიკური დატვირთვის სამი სახესხვაობადა. არქაულ ხანაში, როგორც იტყვიან, როცა მზე იყო ღმერთი, ჯვარი როგორც მისი სიმბოლო უფრო მცირე აზიაში გვხვდება. ჯვრის სვასტიკური ფორმა ძველი ინდოეთში, არიული ენობრივი ხალხებშია გავრცელებული, ხოლო, რაც შეეხება ბორჯდალს, მას უფრო სპარსული ფესვები გააჩნია. მზესთან ერთად იგი მაზდეანობის, ცეცხლთაყვანიმცემლობის სიმბოლოდაც უნდა მივიჩნიოთ, რადგან, როგორც მზეს, მასაც განსაკუთრებული გამწმენდი ძალა მიერებულდა.

ბორჯდალის ამგვარი გამოსახულება არა მარტო საქართველოში, არამედ მოელ კავკასიაში გვხდება. იგი გამოისახებოდა კერიის ქვებზე, ბუქრის ქვებზე და ცეცხლთან დაკავშირებულ ნივთებზე. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დედაბობის მორთულობაში. ამ მხრივ ირაკლი სურგულაძე ქართული, კავკასიური თუ უცხოური წყაროების განხილვისას, აღნიშნავს, რომ საქართველოში ასტრალურ სიმბოლოებს შორის, სწორედ ბორჯდალი იყო ყველაზე გავრცელებული, ხოლო მისი შინაარსის განხილვის შემდეგ ამგვარ დასკვნამდე მიდის: “მზისადმი თაყვანისცემისა და საკულტო მსახურების კვალი ქართული დედაბობის ორგამენტში შემორჩენილია ბორჯდალათი გაფორმებული წრის სახით” (ი. სურგულაძე. “ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა”, თბ. 1986, გვ. 80).

ბორჯდალი – მზის ღვთაების სიმბოლო და ზოგადად სინათლის, ცეცხლის განსახიერება, ცნობილი იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ მოელ წარმართულ მსოფლიოში. მაზდეანურ სპარსეთში ცნობილი ლომის გამოსახულებას, რომელიც შემდეგ სასანიდების დინასტიის ნიშანი გახდა, უკანა ფონზე, სწორედ



ქართული კუპინი
1992 წელი
ავტორი ე. ამაშუკელი



ქართული კუპონი
1993 წელი
ავტორი ნ. მალაზონია

ბორჯდალი პქონდა გამოსახული, რომელიც შემდეგ მზის სახით შეიცვალა. ამასთან ერთად, როგორც ი. სურგულაძე აღნიშნავს “ურჩხულის თავზე გამოსახული ბორჯდალა ჩინეთისა და იაპონიის ხალხური ხელოვნების ძეგლებზე, ისევე, როგორც რუსეთში, ცეცხლთან და ნათებასთან არის დაკავშირებული” (იქვე, გვ. 71).

ბორჯდალის მომხრეების მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ადრეული ქრისტიანული ხანიდან მოყოლებული ქართული ეკლესიების ბარელიეფებზე გვხვდება. სიმართლეა, რომ V საუკუნეში, როდესაც საქართველოში აქტიური სამონასტრო მშენებლობა იწყება, ეკლესიებზე, ჯვრებთან ერთად, ბორჯდალის გამოსახულებებსაც ვხვდებით. ამ პერიოდისათვის ეს ბუნებრივიცაა, რადგან ცნობილია, რომ ადრეულ საუკუნეებში ქართლი საარსეთის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას განიცდის, მითუმებებს, რომ საარსელები დაპყრობილ ხალხებს მაზდეანობის მიღებას აუცილებელ პირობად უყენებდნენ. ამის შემდეგ მაზდეანობამ, საქართველოში ფეხი ვეღარ მოიკიდა, რასაც არაბების მოსვლა და ქვეყნიდან საარსელოა განდევნამაც შეუწყო ხელი. ოუმცა, უნდა ითქვას, რომ მან ხალხურ შემოქმედებაში თავისი კვალი მაინც დატოვა და პირველ ქართულ ეკლესიებზე, ბურჯლალის გაჩენაც ბუნებრივია.

ბორჯდალის ამგვარი გამოსახულება, რასაც თავად ავტორმა “სიცოცხლის ხე” უწოდა, აგიზგიზებული ცეცხლის სტილის-ტური გამოსახულებაა, რომლის სხვადასხვა ვარიაციები წარმოდგენილია ძველ ქართულ ეკლესიებზე, ხოლო მისი უფრო თანამედროვე ფორმა დღევანდელი ირანის ეროვნულ დროშაზეა მოცემული. სხვათაშორის, დროშაზე ეს ნიშანი, სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა ირანის უკანასკნელმა შაჰმა, რიზა ფაჰლუვიმ რელიგიური თავისუფლება გამოაცხადა და ირანელთა ეროვნული რელიგია – ზოროასტრიზმი, იგივე მაზდეანობა, ისლამთან ერთად სახელმწიფო რელიგიის რანგში აიყვანა. თუ რა მოჰყვა ყოველივე ამას, დღეს ყველასთავის კარგად არის ცნობილი.


ამასთან დაკავშირებით ნიკო სვანიძე წერდა: “ერთ-ერთმა უცხოელმა მეცნიერმა ასეთი კითხვაც დამისვა: ამ ზოროასტრული სიმბოლოს სახელმწიფო დოკუმენტებზე აღბეჭდვა, ხომ არ ნიშნავს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის სწორებას შაპის ეპოქის ირანის პოლიტიკაზე, რადგან როგორც ცნობილია, ირანის ბოლო შაპი თანამედროვე დასავლური დემოკრატიის პრინციპებზე იყო აღზრდილი” (“კავკასიონი”, 19.02.97). ბუნებრივია, სახელმწიფო სიმბოლოდ ბორჯდალის საბოლოო დაკანონებით საქართველო შეიძლება არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.



ქართული ფულის
ნიმუშები
1995 წელი
ავტორი ნ. მალაზონია

* * *


დროთა განმავლობაში სიმბოლიკის კომისიისათვის ცხადი შეიქმნა, რომ კონკურსის გამოცხადება აუცილებლობას წარმოადგენდა, მხოლოდ საჭირო იყო დადგენა წარმოდგენილი ვარიანტები ისტორიულ სიმბოლოებს დაეფუძნებოდა თუ შეიქმნებოდა სრულიად ახალი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კოლეგია იღებს დადგენილებას: “ეთხოვთ საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო სიმბოლიკის დამდგენ კომისიას მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება და წარსულის სახელმწიფოებრივ ნიშნებზე დაყრდნობით, შეცვალის სახელმწიფო დროშა და გერბი. მასგე ეთხოვთ, აგრეთვეგამოცხადეს რესპუბლიკური სამთავრობო კონკურსი ახალი სახელმწიფო პიმის შასაქმნელად” (ბრძანება №1/2, 11.05.94). ამავე დროს გაჩნდა აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას სახელმწიფოს პრეზიდენტობა არსებული პერალდიკის კოლეგია, რომელიც სპეციალისტებით დაკომპლექტდება და იმუშავებს არა მარტო სახელმწიფო, არამედ პერალდიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხების მოსაგვარებლად.



საქართველოს
სახდვაო-სამხედრო
დროშა
1997 წელი



საქართველოს
სახდვაო-სამხედრო
ადმირალის შტანდარტი
1997 წელი



საქართველოს
დაზვერვის დეპარტამენტის
დროშა
1997 წელი


1994 წლის ნოემბერში კულტურის სამინისტრომ მოამზადა მასალები საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიების შეცვლასთან დაკავშირებული კონკურსის გამოსაცხადებლად. ამავე დროს პრესასა და ტელევიზიაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გაისამის. თანდათან იკვეთება აზრი, რომ საკითხის გადასაწყვეტად სახოგადოება არ არის მზად. საჭიროა მისი სამომავლოდ გადადება და რომ აჩქარება მიზანშეწონილი არ არის. აი, რას ამბობდა იმ დროს პარლამენტში ქ. შენგალია: “შევისწავლეთ სახოგადოებრივი აზრი. გამოკითხულთა ორი-მესამედი მხარს უჭერს სახელმწიფო პიმის, გერბისა და დროშის შეცვლას. ერთი-მესამედი კი საწინააღმდეგო მოსაზრებისაა. ერთი-მესამედი აზრის უგულვაბელყოფა არ შეიძლება” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 05.07.94). ამავე დროს ქვემო ქართლის აზერბაიჯანელ მოსახლეობაშიც ჩატარდა გამოკითხვა. საქართველოსათვის სახელმწიფო სიმბოლოდ ჯვრიანი ისტორიული დროშის ადგგენა მათვის მისაღები აღმოჩნდა, იმ მოტივით, რომ თვით მეფე დავით აღმაშენებელი სწორედ ამგვარი დროშით დადიოდა მეჩეთშიც სალოცავად და პატივს მიაგებდა მათ სარწმუნოებას.

1995 წლის ივნისში “კავკასიური სახლი” და კავკასიის მხატვართა გილდია აცხადებს კონკურს სახელმწოდებით “ახალი საქართველო – ახალი სიმბოლიკა”. კონკურსის მთავარი თემა სახელმწიფო დროშის ესკიზების წარმოდგენა იყო, რომელსაც გამოიტანდნენ პატივის მხატვართა გილდიაში 1 ოქტომბერს. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სიმბოლიკის მოსამზადებელმა სამუშაო ჯგუფმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა, იმ მოტივით, რომ ამგვარი კონკურსის მოწყობა სახელმწიფოს პრეორგატივაა. ოუმცა უნდა ითქვას, რომ გამოცხადებული კონკურსი მაინც არ შედგა, მხატვართა მხრიდან აბსოლუტურად ინერტული დამოკიდებულების გამო. საბოლოოდ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული ახალი კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით


– “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით”. ამ კანონის მიღება კი მხოლოდ 1997 წლის 14 ნოემბერს მოხდა, რომელმაც დააკანონა არსებული სახელმწიფო ატრიბუტიკა და კანონის ტექსტის მხოლოდ რედაქტირებით შემოიფარგლა.

1996 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოვიდა ელდარ შენგელაძია, რომელმაც არსებულ დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან დაკავშირებული პრობლემების რამდენიმე მხარე აღნიშნა. მან მიმოიხილა მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და შემოქმედებითი კავშირების მოსაზრებები სახელმწიფო ატრიბუტიკასთან დაკავშირებით. დასასრულს აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტიან არსებული მუდმივმოქმედი სახელმწიფო კოლეგია, რომელიც მოამზადებდა საკონკურსო პირობებს. ამასთან ერთად, ზოგიერთი ორგანიზაციის აზრით, კონკურსში, არსებულ სიმბოლიკასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. პარლამენტმა სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში ცნობად მიიღო. მისივე გადაწყვეტილებით სახელმწიფო პერალდიკის კოლეგიისა და სახელმწიფო ატრიბუტიკის კონკურსის დებულებები, ასევე სამუშაო ჯგუფის სხვა მასალები გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილებას კობა იმედაშვილის ხელმძღვანელობით.


1996 წლის გაზაფხულზე “სახალხო გაზეომა” ჩატარა საზოგადოების გამოკითხვა: “შეიცვალოს თუ არა დროშა, გერბი და ჰიმნი?” გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჰიმნის შეცვლას დაუჭირა მხარი, ხოლო დროშისა და გერბის შეცვლის მომხრეებმა, მართალია გამოკითხულთა ორი-მესამედი შეადგინა, მაგრამ მათი დამოკიდებულება საკითხისადმი მაინც ინდევფერენტული აღმოჩნდა: “ჩვენი ცხოვრება თუ გაუმჯობესდება, შეცვალონ”, “ძველს კვალიფირს ცვლიან და, აღბათ, ამასაც შეცვლიან” და სხვა.



საქართველოს სამხედრო
სეფე დროშა
2004 წელი



საქართველოს
თავდაცვის მინისტრის
შტანდარტი
2004 წელი



საქართველოს
გენერალური შტაბის
უცროსის შტანდარტი
2004 წელი



ფრანცისკო და დომინიკო
პაციგანების
რუქის დეტალი
თბილისი და მასზე
გამოსახული სუთჯვრიანი
დროშა
1367 წელი



სოერის
რუქის დეტალი
სებასტოპოლისის
(სოხუმის) დროშა
1385 წელი

სახელმწიფო ატრიბუტიების საკითხი, ახალ ფაზაში შედის. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ქვანია ქვეყნის პრეზიდენტს მიმართავს: “საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 21 მაისის ბიუროს სხდომაზე სახელმწიფო სიმბოლიების შეცვლასთან დაკავშირებით გამოითქვა აზრი სახელმწიფო სიმბოლიების კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. ბიურომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მოგმართოთ თხოვნით აღნიშნული კომისიის შექმნის თაობაზე” (№01/79, 29.05.96.). პარლამენტის ბიურო პრეზიდენტს კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის ვიცესპიკერის ელდარ შენგელიას კანდიდატურას სთავაზობდა. როგორც შემდეგ აღინიშნა კომისიის თავმჯდომარედ თავად პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უნდა ყოფილიყო და ეს ასეც მოხდა.


იმავე წლის 2 ივლისს საქართველოს პრეზიდენტოან გამართულ თაობირზე იმსჯელეს სახელმწიფო სიმბოლოების მნიშვნელობასა და მისი მომზადების საკითხზე. გადაწყვდა, რომ უახლეს მომავალში შეიქმნებოდა შესაბამისი სახელმწიფო კომისია, რომელიც კონკრეტულად შეისწავლიდა ქვეყნის სიმბოლოების მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს. კომისიას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ისტორიული მემკვიდროებით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით გაეთვალისწინებინა (“საქართველოს რესპუბლიკა”, 03.07.96.)

1996 წლის 12 აგვისტოს ხელი მოეწერა საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურ ბრძანებულებას “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის შექმნის შესახებ”. კომისიამ, რომლის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი იყო, “საქართველოს ახალი სახელმწიფო სიბოლოების შექმნის მიზნით უნდა მომზადოს და გამოაცხადოს კონკურსები, უზრუნველყოს საკონკურსო მასალების საჯარო განხილვა-გამოფენისა და მოსმენათა ორგანიზაცია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკურსის ჟიურის შემადგენლობები”. ამავე ბრძანებულების შესაბამისად “პერალდიკის

ფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფის, სახელმწიფო სიმბოლოების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, გამოყენებისა და დაცვის მიზნით” უნდა შეიქმნას პერალდიკის სახელმწიფო მუდმივმოქმედი კოლეგია. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაძე დაინიშნება.

სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის შემადგენლობა დასაწყისში 63 წევრით განისაზღვრა და შემდეგ სპეციალისტებით თანდათან გაიზარდა. 1997 წლის 13 იანვრის კომისიის სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის თავმჯდომარებით წარიმართა, ელდარ შენგელია აცხადებდა: “ჩვენი ქვეყანა უფლებამოსილია, თუნდაც სახელვლილი სახით ისტორიული დროშა აღადგინოს, ხოლო სახელმწიფო გერბს საფუძვლად დაედოს ისტორიულად არსებულ გერბში გამოყენებული პერალდიკული ნიშნები. ეს გამართლებულად მიგვაჩნია იმიტომ, რომ ყოფილი სოციალისტური სივრცის წარმომადგენელმა რესპუბლიკური წყობის ქვეყნებმა (შეა აზიის სახელმწიფოების გამოკლებით) საკუთარი ისტორიულ-ტრადიციული სახელმწიფო ატრიბუტიკა – დროშა და გერბი დაიბრუნეს” (ოქმი). ამავე დროს აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი კომისიის წევრებს აცხობს იტალიული ძმები ფრანცისკო და დომინიკო პიციგანების 1367 წლის რუკის ფაქსიმილეს, რომელიც დაიბეჭდა 1872 წელს ფ. ბრუნის წიგნში “Перипл Каспийского моря по картам XIV столетья” და გამოსახულია ისტორიული ქართული ეროვნული ე.წ. “ხუთჯვრიანი” დროშა.

სხდომის მიმდინარეობის დროს გამოიპვეთა, რომ სახელმწიფო სიმბოლიკაში საჭირო იყო ქვეყნის წინაქრისტიანული ხანის დაფიქსირება. ზოგიერთის მოსაზრებით წარმოდგენილი ისტორიული დროშა ობილისში 1330 წელს დაარსებული კათოლიკური მისიონის დროშა იყო. სხვები საერთოდ რელიგიური სიმბოლიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ, იმ მოტივით, რომ



უცნობი ავტორის
რუკის დეტალი
სამეცნიერო დროშა
XIII საუკუნე



დიეგო ომეინის
რუკის დეტალი
იმერეთის დროშა
1559 წელი



საქართველოს გერბი
შმიდა გიორგი
გახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



საქართველოს გერბი
შიქაელ მთავრანგელოზი
გახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი

საქართველოში მრავლად არიან ათეისტები თუ არაქრისტიანული რელიგიის მიმდევრები. ამასთან ერთად, მათი აზრით არ იყო ცნობილი თუ რა იყო “გორგასლიან-დავითიან” დროშაზე გამოსახული. სომხური წყარო (სტეფანოს ორბელიანი “ცხოვრება ორბელიანთა”) მხოლოდ ნიშანს ასესნებს და არა ჯვარს. ამასთან დაკავშირებით ზურაბ კიკნაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ნიშანი ჯვარს ნიშანავს და სხვა რამე არც შეიძლება ყოფილიყო, – “საერთოდ რატომ გეშინიათ ჯვრის, მისი ხომ ეშმაკებს ეშინიათ”, – აღნიშნა მან.

მიხეილ მაყაშვილმა საკუთარ გამოსვლაში შენიშნა ის გარემოება, რომ “ატრიბუტიკაში ქართული წინაქრისტიანული ხანის აღნიშნა სრულებითაც არ არის საჭირო. ამის საუკეთესო მაგალითს უდიდესი წარმართული კულტურის მქონე საბერძნეოსა და იტალიის გერბი წამოადგენს, რომელზეც ჯვარსა და ქრისტიანულ სხვა სიმბოლოებს ვხედავთ. მთ უმეტეს, არავთარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმართული სიმბოლოების დროშაზე დაფიქსირება”. ხოლო, ჩემი გამოსვლის დროს ავღნიშნე, რომ გერბისა და დროშის შექმნისას აუცილებელია საყოველთაოდ მიღებული ჰერალდიკის კანონების დაცვა, რაზეც კომპოზიტორმა ჯანსუდ კახიძემ შენიშნა – “სრულებითაც არ არის საჭირო ამ კანონების დაცვა, რადგან იგი მუდამ ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, ბეთჰოვენმა დაარღვია მუსიკის საყოველთაო კანონები და შემდეგ მისი დარღვეული კანონები გახდა კანონი.” რაზეც მივუგე: – “ყველასათვის ნათელია, რომ როდესაც სახელმწიფო პიმნის კონკურსი გამოცხადდება, კონკურსანტმა უნდა წარმოადგიოს პიმნი, დაწერილი პიმნის კანონიზაციით და არა რომელიმე სხვა ჟანრის მუსიკა, მაგალითად, სონატა, კანტატა თუ სხვა. ასევეა გერბიც, ჩვენთან უნდა შემოვიდეს გერბი და არა პეიზაჟი, ნატურმორტი ან სხვა”.


დასასრულს, კომისიის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს: “ვინც სიმბოლიკის საქმეს ხელს მოკიდებს, მან უნდა გაიზიაროს საქართველოს მრავალსაუკუნო-

ვანი ისტორია და თავად მოვიდეს კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე... ერთი კია, დროშა მარტო მომავალზე და წარსულზე არ უნდა მუშაობდეს, საქართველოს მოქალაქეობრიობის შეგნება სანამ ჩამოყალიბდება, ამას დიდი დრო დასჭირდება. ჩვენ მხოლოდ ჩვენი დონით ნუ ვიმსჯელებთ. ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებაში დროშამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ასევე ჰიმნმაც... მას, რასაც “გორგასლიან-დავითიან” დროშას ვუწოდებთ, ძალიან ლამაზია, ათას დროშაში მიიქცევს ყურადღებას, — მაგრამ მარტო ეს არ არის” (ოქმი). პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ 2000 წლისათვის დაგეგმილია საქართველოს XXIII საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის იუბილე აღინიშნოს და სასურველია ქვეყანა მსოფლიოს წინაშე ახალი ატრიბუტიკით წარსდგეს.

კომისიის სხდომის დადგენილება შემდეგნაირად განისაზღვრა: “სახელმწიფო დაკვეთა დროშასა და გერბზე განისაზღვროს შემდეგნაირად: გამოცხადდეს კონკურსი დროშასა და გერბის აღდგენაზე. საფუძველი: დროშა — “გორგასლიან-დავითიანი”, გერბი — “კვართიან-დავითიანი” (ოქმი). ამასთან დაკავშირებით სიმბოლიკის კომისიის წევრთა ერთი ნაწილი (სულ 29 ხელმოწერა) საკუთარი მოსახლებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, — “დეს ამიერკავკასია აღიარებულია ევროპული არიალის შემადგენელ ნაწილად. საქართველოს გეოპოლიტიკური და კულტურული ორიენტაციითაც იყო და არის ევროპული ციფილიზაციის ქვეყანა, რომელსაც განისაზღვრავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა აღიარების უზენაესი პრინციპები. ეს პრინციპები ქრისტიანულ წიაღშია დაბადებული... სწორედ ამიტომ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა ამ პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. საქართველოს სახელმწიფო გადამდებრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ორი-მესამედი ქრისტიანობის ნიშნით განხორციელდა. ქართული კულტურა ქვეყნის სახელმწიფო ებრიობასთან ერთად არსებოთად ქრისტიანული ციფილიზაციის მონაპოვარია.



სვანეთის დროშის
ბუნები
მიქაელ მთავარანგელოზი
XIII საუკუნე



ქართლის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



ვახეთის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი

“თუკი დღეს ჩვენ ძეგლს ვუდგამო მეფე დავით აღმაშენებელს, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების ნიშნად... სადათ არ უნდა იყოს “გორგასლიან-დავითიანი” დროშის აღდგენა. აბსურდია უარი ვთქვათ იმ დროშაზე, რომლის წინამდგვრობით შენდებოდა, ერთიანდებოდა და ძლიერდებოდა ქართული სახელმწიფო. ტრადიციული სახელმწიფო სიმბოლიკა არ უნდა ექვემდებარებოდეს ისტორიის მანძილზე ქვეყნის შიგნით სოციალურ ფორმაციათა და სახელმწიფო წყობილებისა თუ იდეოლოგიების ცვლას.

“ამრიგად, ვასკვნით: თუ დღეს საქართველომ მხოლოდ აღიდგინა – ახლად არ შეუქმნია სახელმწიფო ეპიობა, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს შუასაუკუნეებამოვლილი დროშა და გერბი, რომელთა სახე, დვინის წყალობით დღემდე შემოგვრჩა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის არჩევა, ჩვენი რწმენით, საკონკურსო წესს არ უნდა ექვემდებარებოდეს” (კომისიის არქივი).

ცნობილი აჭარელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში წერდა: “მუსულმანობა აჭარამ 1627 წლის შემდეგ მიიღო. კეთილი და პატიოსანი! მანამდე ათას ორასი წლის განმავლობაში რომელი რელიგიისანი ვიყავით?... ვინ ააგო ტბეთის, ხახულის, შატბერდის, ოშკის, იშხანის, ოპიზის ტაძრები?! მეც ვარ აჭარელი, მაგრამ ამხელა წარსულზე უარს ვერ ვამბობ!.. აბა, ნახეთ, ყურანში რას ქადაგებს ფეიდამბერი (მუკამედი – დ.კ.): “ოდეს ადამიანი გაექცეს თავის მძას, თავის დედ-მამასა... წყვდიადმა დააბნელოს” (“საქართველოს რესპუბლიკა” 16.05.96). თურქეთში გამომავალი ჟურნალ “ჩვენებურების” სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ოსმან ნური მერჯანი (იგივე ოთარ იმედაშვილი) საქართველოში ამგვარი სახის წერილს აგზავნის: “გავიგეთ, რომ საქართველოს დროშის შეცვლასთან დაკავშირებით თავი იჩინა სხვადასხვა შეხედულებებმა. გვსურს გაცნობოთ, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველები ამ დავისაგან განზე ვდგავართ. ჩვენ მივიღებთ


ნებისმიერ დოოშას, რომელსაც გამოიყენებს საქართველო. ერთადერთი, რასაც ვერ მივიღები, ეს არის საქართველოს უდრითშოდ დატოვება” (“ლიტერატურული საქართველო”, 11-18.07.97).

ფ. ხალვაშისა და ო. იმედაშვილის მოსახრებს მუსულმან ქართველთა ნაწილმა დაუჭირა მხარი, ნაწილმა კი უარყო. ფათიშ ჩევიქი (იგივე გიორგი ქეშელაშვილი) წერდა: “მე თურქეთში დაბადებულმა ქართველმა, დავიბრუნე ჩემი ძველი სარწმუნოება. ასე მოიქცევა ბევრი სხვაც, ოდონდ ამის საშუალება უნდა მივცეო და არა ხელი ვერათ” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 17.05.97). ამ საკითხთან დაკავშირებით “დღისათვის საქართველოში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ქრისტიანობასა და ისლამს შორის რელიგიურ განსხვავებულობაზე ხაზის გასმა. დროთა განმავლობაში რჯულშემწყნარებლობა ჩამოყალიბდა, როგორც ქრისტიანთა, ასევე მუსულმანთა ცნობიერებაში... ამ ორი მსოფლიო რელიგიის ურთიერთადიარებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ისლამის წმინდა ქალაქ მექაში მთავარი მეჩეთის ოთხივე მინარეთის თავზე ნახევარმთვარის ნაცვლად ჯვრის გამოსახულებებს ვხედავთ, ხოლო ქრისტიანული ეკლესიების თავზე, ჯვართან ერთად ნახევარმთვარეც ჩანს (ეს განსაკუთრებით შეინიშნება მართმადიდებლური ეკლესიების გუმბათებზე რუსეთში)” (დავით კლდიაშვილი, “საქართველოს რესპუბლიკა”, 06.08.97).


1997 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებელობის დღესასწაულზე გამართულ სამხედრო აღლუმზე, არსებულ სამფეროვან დროშასთან ერთად “ბოლნურ ჯვრებიანი” ისტორიული დროშაც გამოჩნდა. იგი მოჰქონდა, როგორც სამხედრო შენაერთების, ასევე შუა საუკუნეების დროის საბრძოლო ტანსაცმლები გამოწყობილ ქართველ ცხენოსნებს, რომელთაც დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნაში მიიღეს მონაწილეობა. ამ კომპოზიციის აგტორი ჯუნა მიქატაძე იყო. ამ ფაქტმა ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი გამოიწვია. გაზეო “საქართველოს” (12.06.97) ფურცლებზე დაიბეჭდა აკაკი ბაქრაძის წერილი,



იმერეთის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



სამცხე-საათაბაგოს გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



„გორგასლიან - დავითიანი“
დროშის
კომპოზიცია
ავტორები
ჯ. მიქატაძე და ვ. რურუა



საქართველოს გერბის
პროექტი
ავტორები
ვ. რურუა და ჯ. მიქატაძე

სადაც ავტორმა საქართველოს ისტორიული დროშა იერუსალიმის დროშად გამოაცხადა. გაზეთში მოცემული შავ-თეთრი რეპროდუქციის დროშა, თავისი კომპოზიციით, მართლაც “გორგასლიან-დავითიანის” იდენტურია, მაგრამ ფერები სხვად. კერძოდ, დიდი ჯვარი – ლურჯი, ხოლო მცირე ჯვრები – შავი. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრე აკაკი ბაქრაძეს, რომელმაც აღნიშნა კიდევ ეს ფაქტი. ასე რომ ფერების ცვლა აბსოლუტურად სხვა დროშას გვაძლევს, იგივე პრონციპით, რომ დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა სამფეროვანი ოუ ჯვრიანი დროშები ერთი და იგივე დროშად არ უნდა გამოვაცხადოთ (“საქართველოს რესპუბლიკა”, 6.08.97).

“ბაგრატოვანთა სახლის” სახელით, წინამდღლი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი წერდა: “რაგინდ საამაყო და სასიანოვნო არ უნდა იყოს ის ერთგულება, რომელსაც საზოგადოების ერთი ნაწილი იჩენს ბაგრატიონთა სამეფო დროშისა და გერბისადმი, საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა გამართლებულებულად არ მიგვაჩნია. ვთვლით, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ხალხის გამოლიანების საკითხი და ამ მიზანსვე უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო სიმბოლიკაც.


“უდავოდ შესაძლებელია გამოინახოს სახელმწიფო სიმბოლიკის ისეთი ვარიანტი, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა აღმსარებლობის ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოქალაქეთა კონსოლიდაციას. ასეთი მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებად კი ჩვენ ფართო მაშტაბის კონკურსის ჩატარება მიგვაჩნია” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 21.08.97).

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ქალბატონ ნინოს სატელეფონო საუბრის დროს განვუმარტე, რომ “ხუთჯვრიანი” დროშა არ არის ბაგრატიონების, არამედ ეროვნული დროშა. ეს კარგად ჩანს მის სახელწოდებაშიც – “გორგასლიან-დავითიანი”. მართალია, აქ “დავითიანი” დაგიოთ აღმაშენებელს აღნიშნავს, რომელიც ბაგრატიონი იყო, მაგრამ გორგასა-


ლი, როგორც ვიცით ხოსროვიანია, ამიტომ ეს დროშა ეროვნულია და არა ბაგრატიონია პირადი დროშა და იგი მუდამ იარსებებს ერის ისტორიის მანძილზე თუნდაც ბაგრატიონების გარეშე.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგების ყოფილი ოავტოდომარე ოთარ პატარიძე საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართულ დია წერილში ამბობდა: “ღრმად გულგატეხილი განვიცდი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას ჩვენი დროშის, პიმნის და გერბის ოობაზე. ეს სამი განუყრელი სიმბოლო დახასიათებაა, როგორც 26 მაისი, ჩვენი ეროვნული დირსებისა. ამ სამ სიმბოლოს მკვდრეობით აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი გახდა ჩვენ მებრძოლ წინაპრების და მშობლების დაუღალავი ლაშქრობის და დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ” (“ოვალთაი”, 24-30.09.97). თუმცა, როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს და შემდგომა კალევებმაც აჩვენეს, XX საუკუნის დასაწყისში ქართულ საზოგადოებას წითელი (შინდისუერი) მიაჩნდა ისტორიულ დროშად და დღეს მხოლოდ ამ უნგრებლივ შეცდომის გამოსწორებაა საჭირო.

პეტრი ამ დაიბეჭდა ისტორიული სიმბოლოების როგორც დამცველთა, ასევე მოწინააღმდეგეთა წერილები, ხოლო პარლამენტის ოფიციალურმა ორგანომ, – “პარლამენტის უწყებანი”, სპეციალური ნომერიც კი უძღვნა სახელმწიფო ატრიბუტიკის საკითხებს (ნახე №27-28, 05.07.97). “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლაზე მსჯელობა თანდაონან მძაფრ ხასიათს იძენს. მაგრამ ერთ პოზიციას ყველა იზიარებს: სიმბოლიკა უნდა შეიცვალოს – წერდა გაზეოთ “რეზონანსი” – სახელმწიფო ატრიბუტიკის მიღების გაჭინაურების მიზეზი, ელდარ შენგელაიას ოქმით, ისაა, რომ საფრანგეთში, ინგლისსა და იტალიაში მიპლეულია აქამდე უცნობი, მე-13-14 საუკუნეების ისტორიული მასალები... აჩქარება ამ საქმეში არ ივარგებს. უმჯობესია, ყველა მასალა შევკრიბოთ და მივიღოთ ატრიბუტიკა, რომელსაც “წყალი არ გაუვა” (24.06.97).



გურიის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



საქართველოს გერბი
მიქაელ მთავარანგელოზი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



ანჯელო დელჩერის
რუქის დეტალი
თბილისი და მასზე
გამოსახული ხუთჯერიანი
დროშა
1339 წლი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელ-დარ შენგელაიამ ლონდონის მუზეუმ “Britysh library”-ის, ვენეციის “biblioteca marchana”-ს, პარმისა და პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკებში მიაკვლია 1339 წლის ანჯელინო დელჩერტის, 1367 წლის მქები ფრანცისკო და დომინიკო პიციგანებისა და რამდენიმე დაუთარილებელ და ხელმოუწერელ რუქებსა და პორტულანებს, რომელზეც ანალოგიური დროშა ჩანს. ამ საზღვაო რუქების მკვლევარი პიეტრო ფრაბერი აღნიშნავს, რომ “მთავარი ქალაქები აღნიშნულია დამახასიათებელი მონუმენტებით, ან დროშებითა და გერბებით სხვადასხვა ფერებში... ნათელია, რომ მათ შორის უმნიშვნელოვანებია ისინი, რომელთაც დროშები აქვთ გამოსახული”, ხოლო მონიკ პელებიე პირდაპირ წერს, რომ “დროშები აღნიშნავენ დამოუკიდებელ სამეფოებს” (კომისიის არქივი).

1997 წლის 18 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი ტრადიციულ რადიოინტერვიუში, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის ორიწლისოთავს დაემთხვა, შემდეგს აცხადებდა: “ალბათ დადგა დრო, ვიფიქროთ სახელმწიფოუნდრივი სიმბოლიკის საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე, იქნებ დებატებიც საქმარისი იყოს ამასთან დაკავშირებით, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 19.08.97).

საქართველოს პარლამენტის დღისწესრიგის მიხედვით, 1997 წლის 15-17 ოქტომბრის სხდომაზე სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საკითხი უნდა გამოეტანა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე დალი აბაშიძეს, მაგრამ 19 სექტემბრის სხდომაზე პარლამენტმა საკითხი განსახილველად მომავალი წლის საგაზაფხულო სესიაზე გადაიტანა. ოუმცა 11 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა ოედო ნინიძემ წარმოადგინა ორგანული კანონ-პროექტი “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ”.

საკითხით დაინტერესდა პარლამენტარი ბესო ჯუდელი (ფრაქცია – “უდა”), რომელმაც აღნიშნა, რომ შემორჩენილია აღა-მაჭად-ხანის


შემოსევის დროინდელი დროშა და საჭიროა მასზეც ვიფიქროთ. ოუმცა შემდეგ შენიშნა, რომ ეს დროშა ქართლ-კახეთის და არა ერთიანი საქართველოს დროშაა. დეპუტატებმა საკითხის გადადება მოითხოვეს მანამ, სანამ კომისია ანგარიშით არ წარდგება პარლამენტის წინაშე. შალვა ნათელაშვილის აზრით, საჭიროა დროშიდან შავი ფერის ამოდება: “ფიროსმანის ქვეყანაა, ამდენი ლამაზი ფერის მქონე და ამ დროს დროშაზე შავი ფერია” (“ახალი თაობა”, 12.11.97). სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი დროშის შავი ფერის ამგვარი შეფასება არც თუ იშვიათი იყო პარლამენტში თუ საზოგადოებაში. ეს კი საკმაოდ კარგად აჩვენებს საზოგადოებაში პერალდიკური ზოგადი განათლების შეტანის აუცილებლობას. შავი ფერი ბაგრატიონთა – ქართველ მეფეთა საგვარეულო ფერია და მისი სემანტიკა მწუხარება, სიბრძნე და სიძველეა.

საქართველოს პარლამენტის 13 ნოემბრის სხდომაზე ელდარ შენგელაიამ აღნიშნა, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე საჭიროა არსებული ატრიბუტიების დაკანონება, თუმცა “ეს არ ნიშნავს იმას, რომ კომისია არ გააგრძელებს მუშაობას... მე მინდა გითხოვათ, რომ პრობლემა არის ძალიან როტული და ძნელი. იგი არ არის ერთი ხელის მოსმით და ერთი ხელის წაკვრით გადასაწყვეტი და დაკავშირებულია ჩვენ ისტორიასთან, რომლის გარშემოც მიმდინარეობს კვლევა-ძიება. არსებობს სახვადასხვა მიდგომა ამასთან დაკავშირებით. ყველაფერი შესაჯერებილია და იმისათვის, რომ მთელმა ერმა, მთელმა სახელმწიფომ მიიღოს თავისი ატრიბუტიკა, ამას დასჭირდება გარკვეული დრო. მე პირადად მომხსრე ვარ, რომ ჩვენ არ ვიჩქაროთ, მაგრამ სერიოზულად მოვგემზადოთ იმისათვის, რომ რასაც საბოლოოდ პარლამენტში მივიღებთ ეს იქნება მთელი სახელმწიფოსათვის და მთელი ერისათვის მისაღები” (სტენოგრამა).

1997 წლის 14 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს ორგანულ კანონებს, რომლებიც ითვალისწინებენ გერბის, დრო-



უცნობი ავტორის
რუქის დეტალი
სებასტიონისის (სოხუმი)
და მასზე გამოსახული
ხუთჯვრიანი დროშა
IV საუკუნე



ანჯელო დუდჩერის
რუქის დეტალი
სებასტიონისის (სოხუმი)
და მასზე გამოსახული
ხუთჯვრიანი დროშა
1339 წელი



სვანეთის გერბი
გახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



აფხაზეთის გერბი
გახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი

შისა და პიმის 1990 წლის 14 ნოემბერისა და 28 დეკემბრის კანონებში ცვლილებების შეტანას. ამავე დღეს საქართველოს პარლამენტი იდებს დადგენილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შემცვებისა და პერალდიკის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტში იქმნება ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელსაც სიმბოლოების კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ საქართველოს პარლამენტის წინაშე მომდევნო წლის 15 მარტს უნდა წარედგინა შესაბამისი წინადადებები. ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობა ცხრა წევრით განისაზღვრა: 1. ელდარ შენგელია (ფრაქცია “მოქალაქეთა კავშირი”), 2. გიორგი კობახიძე (“სახალხო პარტია”), 3. ლევან შენგელია (“ედკ”), 4. გურამ შარაძე (“აღორძინება”), 5. ზურაბ აბმეტელი (“იმედი”), 6. ნოდარ პეტაშვილი (“მაჟორიტარი – საქართველოს რეგიონები”), 7. გენო კალანდია (“აფხაზეთი”), 8. ვახტანგ შამილაძე (“მამული”), 9. დილარ ბახულიანი (“ლეიბორისტი”). დროთა განმავლობაში გ. შარაძე ზურაბ ცინცქილაძემ შეცვალა, ზ. აბმეტელი – ავთანდილ ტემებუჩავამ.

სამწუხაროდ, ყველაფერი უკუდმა მოხდა, რადგან ჯერ უნდა მიგვედო გერბი, საიდანაც შეიქნებოდა დროშა და პიმი. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის 30 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებებით, საქართველოს პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე ხელს აწერს დადგენილებას “საქართველოს სახელმწიფო პიმის შესარჩევი კონკურსის გამიცხადების შესახებ”. საქართველოს სახელმწიფო პიმის შესარჩევად დია კონკურსი გამოცხადდა 1998 წლის 15 იანვარიდან, რომლის ორგანიზაცია კულტურის სამინისტროს დაევალა. დამტკიცდა პიმის შესარჩევი კონკურსის პირობები და ეიურის მუშაობის წესი, კულტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კონკურსის მოსაწყობად საჭირო თანხისა და საპრემიო ფონდის ხარჯთაღ რიცხვი. დამტკიცებული პირობების მიხედვით კონკურსი გაიმართა საჯარო მოსმენით ოთხ

ტურად, სადაც ბოლო ტურში გასული ორი ნაწარმოებიდან გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიასთან ერთად. გამარჯვებული პიმნისათვის დაწესდა ფულადი პრემიები. პიმნის დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

სახელმწიფო პიმნის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ტრადიციულ რადიონინტერვიუში აცხადებდა: “სიმბოლიკის საკითხი ძალიან როგორი პრობლემაა, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ასპექტი აქვს. ამდენად ხელისუფლების წინდახედულობა და სიდინჯე სავსებით გამართლებულია. თუმცა არც მეტისმეტი დაყოვნება ეგების.

“ფართო დისკუსიას პრესის, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა, სპეციალისტოთა მონაწილეობით ის შედეგი მოჰყვა, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უკვე იზიარებს აზრს: პიმნი უნდა შეიცვალოს, თუმცა კონკურსში ეს პიმნიც მიიღებს მონაწილეობას... ვინმეს სუბიექტური აზრი განმსაზღვრელი ვერ იქნება – მთავარია საქართველომ მიიღოს პიმნი, რომელიც ეკადრება მის ისტორიას და შესანიშნავ ათასწლოვან მუსიკალურ კულტურას. უნდა შეიქმნას პიმნი, რომელსაც იმდერებს ყველა...”

“პიმნი, ღროშა, გერბი – სახელმწიფოებრიობის ისეთი ატრიბუტებია, რომელთა კულტი უნდა შეიქმნას ქვეყნაში. ამას კი სათანადო დონე სჭირდება. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს.


“ვიმეორებ: საქართველო უდიდესი მხატვრული (მათ შორის, მუსიკალური) კულტურის ქვეყნა და სახელმწიფო სიმბოლიკაც ამ კულტურის შესაბამისი და საკადრიისი უნდა ჰქონდეს. დამოუკიდებლობის დღესასწაულს საქართველო, ვიმეორებ, ახალი პიმნით შეეგებება. შესაძლოა უახლოეს მომავალში გამოცხადდეს კონკურსი სახელმწიფო გერბის შესაქმნელად, რომელშიც, რა თქმა უნდა, ამჟამინდელი გერბიც მიიღებს მონაწილეობას.

“შედარებით როგორია დროშის საკითხი, ესეც მინდა იცოდეს საზოგადოებამ. ამ პრობლემის გამო, ალბათ, კიდევ მოგვიწევს დავა. სჯობს არ ვიჩქარო და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მისაღები სიმბოლო დავაძევიდროთ”.


“ახალი, დემოკრატიული საქართველოს



ოვხეთის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



შირვანის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



რანის გერბი
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი



ქართლის მეფე
გახტანგ VI-ის დროშის
წინა და უკანა მხარე
დავით მეფსალმუნე და
მირიანისა და ნანას
გამოსახულებით
1711 წელი

სიმბოლიკა ეროვნული თანხმობის მძღავრი ფაქტორი უნდა გახდეს და “დიდი საზოგადოუბრივი შეთანხმების” ტვიფრს ატარებდეს. და სწორედ ეს მიმაჩნია დროშის, გერბის და ჰიმნის გამაერთიანებელ კეთილშობილურ მისიად” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 13.01.98).

სახელმწიფო ჰიმნის შესარჩევი კონკურსის პირობებით უკავიყოფილო გაზეთი “რეზონანსი” წერდა: “ჰიმნის მუსიკისა და ტექსტის ავტორთა გამოსავლენად შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი. უცნაურია, რომ საბოლოო სიტყვის უფლება ისევ კომისიამ დაიტოვა.

“იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები ვერ გამოვლინდება, კომისია ჰიმნს რომელიმე ავტორს საკუთარი შეხედულებისამებრ დაუკვეთავს. ანუ, ეს ნიშნავს წინასწარ განზრახულ ფინალს, რომლის მიღმა არაშემოქმედებითი ინტერესები უფრო მოიაზრება – 25 ათასი დოლარის ოდენობით.

“კონკურსის პირობებით პირველ ორ ტურში ავტორთა ანონიმურობა გარანტირებულია, ხოლო ბოლო ორ ტურში კი კენჭისყრის წინ ყველა მონაწილის ვინაობა მუდავნდება. ლოგოკურად იბადება კითხვა, – რატომ არ არის დაცული ანონიმურობა ბოლომდე? (27.01.98).

1998 წლის 25 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილმ, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების მოსამსახულებული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგალაიას სამუშაო კაბინეტში შედგა პერალდიკის სფეროში საქართველოს პარლამენტის ინტერვრაქციული ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა. სხდომას ვასწრებოდით კომისიიდან მოწმეული სტუმრები: დ. მუსხელიშვილი, მ. აფრიდონიძე და მე. დასაწყისში ელდარ შენგალაიამ სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს გააცნო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ “ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენის შემთხვევაში დროშაზე იქნებოდა ჯვარი, რასაც შესაძლოა გაურკველობა გამოეწვია აჭარისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსულმანურ მოსახლეობაში. ჩატარდა გამოკითხვა, რომლის დროს რელიგიურ უმცირესობაში გაკვირვება გამოიწვია საკითხის დაკენებამაც კი. როგორც ჩანს, დიდი როლი ითამაშა ჩვენმა ისტორიამ, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის პერიოდმა. აჭარის მოსახლეობისა და ხე-

ლმდგვანელობის დამოკიდებულება დადებითია. მათი პოზიცია ასეთია: ქრისტიანობა შემოვიდა აჭარიდან” (ოქმი).

სხდომაზე ელდარ შენგელაიამ წარმოადგინა მოხსენება ისტორიულ ქართულ ცნობიერებაში წმ. გიორგის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი ქართულ დროშაზე ჯვრის სახით გამოიხატებოდა. აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მოხსენების მიზანს შეადგენდა ნათელები შუა საუკუნეების ევროპულ რუქებსა და პორტულანებზე ქ. თბილისის თავზე აღმართული დროშის სახე, რომ იგი ნამდვილად ერთიანი საქართველოს დროინდელ “გორგასლიან-დავითიან” დროშას წარმოადგენს. ეს დებულება კიდევ უფრო განმტკიცდა ჩემი მოხსენებით, რომელიც ქართული დროშის წარმოშობისა და განვითარების გზებს შეეხო – ისტორიულად ევროპაში ჯვრიანი დროშების გაჩენის ორი გზა გამოიკვეთა, – გამოცხადებითი და მფარველობითი და ეს ორივე ასექტი საქართველოს “გორგასლიან-დავითიან” დროშაზე აისახა.

სხდომის მსვლელობის დროს პარლამენტარმა გურამ შარაძემ აღნიშნა, რომ “აქ სიუხითლეები საჭირო, თუ ვართ 1918-1921 წლების პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეები, ხომ არ დგება საკითხი მაშინდელი ატრიბუტიკის დატოვების შესახებ. მაგრამ, როგორც სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, “ამ საკითხში არავითარი წინააღმდეგობა არ არის”. მხარი დაუჭირეს არსებული სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების საფუძველზე შეიქმნას თანამედროვე სახელმწიფო ატრიბუტიკა (გერბი, დროშა).

სხდომის დადგენილების მე-3 პუნქტის მიხედვით ინტერვიუაქციული ჯგუფი თხოვნით მიმართავდა საქართველოს პრეზიდენტს, რომ 1996 წლის 12 აგვისტოს №518 ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად შეიქმნას სახელმწიფო პერალდიკის მუდმივმოქმედი კოლეგია, რომელიც “ჩელს შეუწყობს ახალი სახელმწიფო ატრიბუტიკის შექმნის პროცესს. შემდგომში მოაწესრიგებს სახელმწიფო ატრიბუტიკის გამოფენებას, მის წესს და დაცვას” (ოქმი).



იმერეთის მეფე
სოლომონ I-ის დროშის
წინა და უანა მხარე
მიქელ მთავარანგელოზ-
ისა და წმ. გიორგის
გამოსახულებით
XVIII საუკუნე



დავით III ქურაპალატის
კერცხლის მონეტა
X საუკუნე



ბოჭორმის ეკლესია
ხუთჯვრიანი კომპოზიცია
X - XI საუკუნეები

მიუხედავად ამგვარი გადაწყვეტილებისა საზოგადოების ერთ ნაწილს მაინც საკამა-თოდ მიაჩნდა ისტორიული ქართული დროშის სახე. გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” ფურცლებზე გამოქვეყნდა ისტორიკოსების პ. ზაქარაიას, მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის, ნ. შოშიაშვილის, გ. ჯამბურიას, და ო. ჯაფარიძის ერთობლივი წერილი, სადაც ივანე ჯავახ-იშვილის ცნობებზე დაყრდნობით გამოოქვეს მოსაზრება, რომ “ხუთჯვრიანი დროშის ქართუ-ლად გამოცხადების ეს პირველი მცდელობა აშკარად უსაფუძღლო ჩანს... ევროპელმა მოგზაურებმა, ალბათ არ იცოდნენ, როგორი იყო “გორგასლიან-დავითიანი” დროშა და არც აინტერესებდათ. მათ ალბათ, გამოსახეს კაორ-ლიკე ჯვარისნების დროშა თბილისთან და სოხუმთან, სადაც XIV საუკუნის დასაწყისიდან თითქმის 200 წლის მანძილზე იყო კაორლიკური საეპისკოპოები”. ამასთან ერთად ადნიშნავდნენ, რომ საქართველოს სახელმწიფო ეპისტოლის სიძეელის დასამტკიცებლად არ არის საჭირო შუა საუკუნეების დროშის აღდგენა. სახელმწიფო სიმბოლოები ისტორიული კატეგორიად და იცვლება დროში... არ არის აუცილებელი დღეს დამკვიდრებული გერბის შეცვლაც. ყოვ-ელ შემთხვევაში, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო გერბიდან XVIII ს-ში შექმნილი ბაგრატიონთა სამეფო გერბის გამოცხადება” (10.03.98).

საქართველოს ისტორიული “გორგასლიან-დავითიანი” დროშის სახის შესახებ საკითხის ამგვარი კატეგორიულობის გამო, ელდარ შენგალაია ხვდება საქართველოში წმიდა საყდრის სადესპანოს (ვატიკანის საელჩოს) პირველ მდივანს მონსინორ ამბროს მადთას, ხოლო 1998 წლის 24 მარტს მას ოფიციალური წერილით მიმართავს, სადაც განხილული იქნა ქართული დროშა ევროპის არქივებში მიკვლეული კარტოგრაფიული ნიმუშების მიხედვით. ამასთან ერთად ე. შენგალაია წერდა: “ზვენი თხოვნაა წარმოდგენილი დროშა შეუდაროთ კათოლიკური მისიის დროშებს, რომლებიც მოდგაწერ-დნენ ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში. ხომ

არ ემოხვევა ეს დროშა კათოლიკური მისიის დროშებს? განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ისტორიული დროშის შედარება XIV საუკუნის კათოლიკური მისიების დროშებთან, რადგან რუქები, რომლებზედაც ქ. თბილისის თავზე აღმართულია წარმოდგენილი დროშა, თარიღდება XIV საუკუნით” (№02/1674).

იმავე წლის 14 აგვისტოს წმიდა საყდრის სადესპანოდან მიღებულ წერილ-ინფორმაციაში ვკითხულობთ: “ვატიკანის ბიბლიოთოეკაში საქართველოს ისტორიულ დროშებთან დაკავშირებული საკითხების გულმოდგინე შესწავლის შედეგად გაირკვა შემდეგი: ...საქართველოს სახელმწიფო დროშა წარმოადგენდა ოქორ ფონზე გამოსახულ ბორდოსფერ ჯვარს, რასაც მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში, იერუსალიმის ლათინური სამეფოს პერალიკური დერბის ზეგავლენით, დაემატა კუთხებში მოთავსებული ოთხი მცირე ბორდოსფერი ჯვარი. აღნიშნული დამატება აღიქმებოდა არა რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებად, არამედ დროშის მხატვრულ-სიმბოლური კომპოზიციის შემდგომ სრულყოფად” (№1940/გ71).

გვინდა განვმარტოთ, რომ პერალიკური კანონებიდან გამომდინარე, სადაც უბრალო ცვლილებაც კი მნიშვნელოვანია, საქართველოს ეროვნულ წმ. გიორგის დროშას ოთხი მცირე ჯვარი დემატა, არა როგორც “მხატვარ-სიმბოლური კომპოზიციის შემდგომი სრულყოფა”, არამედ, როგორც ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ჩემმა კვლევებმა დაადასტურა, 1320 წელს მევე გიორგი ბრწყინვალეს მიერ წმიდა ქალაქ იურუსალიმის გასაღების მიღების გამო; თუმცა ჯვრის მკლავებს შორის ნიშნების დასმა ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში, რაც ნათლად გამოჩნდა ქართული ხელნაწერებისა და მონეტების განხილვის დროს.

საკითხი ამით არ დამთავრებულა და გ. შენგელაია 1999წ. 26 მარტს რომში დომინიკანელთა ორდენის თავს დირს მამა რაიმონდო სპიაცის წერილით მიმართავს. როგორც ცნობილია, საქართველოში 1330 წელს, პაპის იოანე



მანგლისის ეკლესია
ხუთჯერიანი კომპოზიცია
XI საუკუნე



ჩხერის ეკლესია
ხუთჯერიანი კომპოზიცია
XV საუკუნე



ხევსურული ფარდაგი
ხუთჯერიანი ქომპოზიცია
XIX საუკუნე

XXII-ს დროს დაარსებული კათოლიკული მისიონის სახელით დომინიკელთა ორდენი მოღვაწობდა და მისიის პირველი წინამდებოდი იოანე ფლორენციელი იყო. თავის მხრივ, თბილისის მისიონი სპარსეთში ქ. სულთანიაში მოღვაწე მისიონებს ემორჩილებოდა. უნდა იოქვას, რომ ზემოთ ნახსენებ რუქებზე აღნიშნულია ქ. სულთანია – “სოლდადია” და მასზე სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშა ჩანს, რაც იმის დასტურია, რომ რუქებზე თბილისის თავზე აღნიშნული დროშა საქართველოს ეროვნული დროშაა. “გთხოვთ გვაცნობოთ, – წერდა ე. შენგავლადია ლირს მამა სპიაცის – როგორი იყო მე-14 და შემდეგ საუკუნეებში დომინიკანელთა ორდერის დროშა და ემთხვევა ოუ არა მისი სახე საქართველოს ეროვნული დროშის სახეებს” (არქივი).

მამა სპიაციმ ეს საქმე სიმონ ტაგველის დაავალა, რომელმაც 30 მარტს ე. შენგავლიას შემდეგი შინაარსის წერილი – პასუხი გამოუგზავნა: “საქართველოში ნამდვილად ფუნქციონირებდა დომინიკანელთა ორდენი... როგორც ჩემთვის არის ცნობილი ამ ორდენს არასდროს პქონია საკუთარი დროშა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მოღვაწეობას თქვენს მიწაზე არანაირად შეეძლო ჩრდილი მიეკუნებინა თქვენი ეროვნული დროშისათვის” (არქივი). ჩვენი მხრიდან შეგვიძლია დავამატოთ ის, რომ დომინიკანელთა ორდენს პქონდა საკუთარი გერბი, რომელიც მათ ბეჭედზე იყო ამოტვიფრული, ხოლო დროშა კი რომის პაპისა პქონდათ, რომელიც ამ დროს წითელზე გადაჯვარედინებული ოქროს გასაღებები იყო.

ამგვარად, ამბროს მადთასა და სიმონ ტაგველის პასუხებმა, საქართველოს ეროვნული დროშის სახესთან დაკავშირებით, ყოველგვარი ქავები საბოლოოდ გააქარწყლდა.

1998 წლის 20 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით სახელმწიფო პიმნის შესარჩევი კონკურსის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად პრეზიდენტის ფონდიდან შესაბამისი თანხა გამოიყო. საქართველოს სახელმწიფო

პიმნის შესარჩევი კონკურსის უკური 33 წევრის შემადგენლობით დამტკიცდა: – ვალერი ასათიანი (კულტურის მინისტრი, თავმჯდომარე), ნოდარ გაბუნია (კომპოზიტორი, თავმჯდომარის მოადგილე), მურმან ლებანიძე (პოეტი, თავმჯდომარის მოადგილე), ვაჟა აზარაშვილი, გივი აზმაიფარაშვილი, რევაზ ამაშუკელი, მანანა ახმეტელი, ჯემალ აჯიაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ აზვანელი, ზურაბ გაიაპარაშვილი, მერი დავითაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, კობა იმედაშვილი, ანა კალანდაძე, გენო კალანდია, გიგა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, შალვა მოსიძე, მდვდელ-მონაზონი მამა შიო, გივი მუნჯიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, რევაზ ტაკიძე, მინდია უგრეხელიძე, სვეტლანა ქეცბა, ნოდარ ფალავა, თამაზ ჭილაძე, გია ჭირაქაძე, ჯემალ ჭავაშელი, თამაზ წივწივაძე და ოთარ ჯიოევი.

კონკურსში წარმოდგენილი 51 ნაწარმოებიდან 46 ორიგინალური და 5 კულტურული მექანიდრეობის გადამუშავებული ვარიანტი იყო. კონკურსის I ტური 1998 წლის 2-3 მაისს გაიმართა ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, სადაც შეირჩა ათი ნაწარმოები – 6 ორიგინალური და კულტურული მექანიდრეობიდან: ზ. ფალიაშვილის მუსიკის დამუშავებული ვარიანტი, რევაზ ლადიძის “ჩემი კარგო ქეყანა”, იაკობ ბობოენიძის “სიმღერა სამშობლოზე” და ოთარ თაქთაქიშვილის საბჭოთა საქართველოს პიმნი. II ტური შედგა 16 მაისს იმავე დარბაზში, სადაც ნაწარმოებები შესრულდა კამერული გუნდის მიერ ფორტეპიანოს თახლებით. უნდა ითქვას, რომ უკურის გადაწყვეტილებით ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოები კენჭისეურაზე არ იქნა გატანილი, იმ მოტივით, რომ მან შეასრულა თავისი ფუნქცია და საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთის კუთვნილებად იქცა.

III ტურში უკურიმ მოისმინა კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის სამი პიმნი, დევიზებით – “მოპიმნე”, “უარცხანაყანევი” და “კურანტები”, ასევე ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა – კიაზოს არია ოპერიდან “დაისი”, რომელ-




სამეგრელოს მთავრის
დადიანის გერბი
1801 წელი



აფხაზეთის მთავრის
შარვაშიძის გერბი
1895 წელი



საქართველოს გერბი
წმიდა გიორგი
რუსეთის სამეფო
“ტიტულარნიკიდან”
1672 წელი



საქართველოს გერბი
ივერიის მთა
რუსეთის სამეფო
“ტიტულარნიკიდან”
1672 წელი

იც გადაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ, დევიზით “იმანო”. III ტურში გავიდა რევაზ ლალიძის “ჩემო კარგო ქვეყანა”, მაგრამ კომპოზიტორის ოჯახის სახელით ჟიურის სხდომაზე გაკეთდა განცხადება და ნაწარმოები მოიხსნა. 1 ივლისს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ზაზა აზმანივარაშვილის დირიჟორობით შესრულებული პიმნის ვარიანტებიდან, საჯარო მოსმენის შემდეგ, IV ტურზე დაუშვეს “მოჰიმნე” და “იმანო”. თუმცა ჟიურიმ დამაკმაყოფილებლად მხოლოდ სამუსიკო ვარიანტები მიიჩნია და ტექსტებს კენჭი არ უყარა.

1998 წლის 3 ივლისს პრეზიდენტის ბრძანებულებით სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის ახალი შემადგენლობა დამტკიცდა 80 წევრის შემადგენლობით. 7 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პრეზიდენტის, კათოლიკოს-პატრიარქის, სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრთა, პარლამენტის, მთავრობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენერლობა თანდასწრებით IV ტურში გასული საქართველოს პიმნის კამერული და საგუნდო ვარიანტები შესრულდა.

უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი ვარიანტებით საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრი გურამ შარაძე 10 ივლისის პარლამენტის სხდომაზე დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა პიმნის ჟიურის მუშაობის შესახებ და ხელახალი კონკურსის ჩატარებას მოითხოვდა. “სახელმწიფო პიმნი სამხედრომ, ფეხბურთელმა, საბავშვო ბალის აღსაზრდელმა, სკოლის მოსწავლემ თუ, უბრალოდ, რიგითმა მოქალაქემ დიდი სიამოვნებით უნდა შეასრულოს. მეოთხე ტურში წარმოდგენილი პიმნების შესრულება კი პროფესიონალ მომღერალსაც გაუჭირდება,” – აღნიშნავდა იგი იმავე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე (“რეზონანსი”, 11.07.98). ჟიურის მიერ დაწუნებულ პიმნებს შორის მან ნუგზარ თუშიშვილის ვარიანტი გამოჰყო.


გურამ შარაძე ასევე აღნიშნავდა, რომ თუ დღევანდელი საქართველო 1918-21 წლებ-

ის პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ აღიარებს თავს, მაშინ საერთოდ არ იყო საჭირო საკითხის წამოწევაც, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლის მოთხოვნას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ქართველი ემიგრანტების მხრიდან. ამასთან ერთად, მან დაამატა, რომ თავად ზაქარია ფალიაშვილს პიმი არ დაუწერია და მოელი სამი წლის განმავლობაში ფეხზე ამდგარი, დიდი მოწონებით უსმენდა კოტე ფოცხვერაშვილის დიდებას. “საერთოდ, რატომ აღეძრა ამ მთავრობას პიმის, დროშის და გერბის შეცვლის სურვილი, ესეც საკითხავია. ეტყობა, ზოგიერთებს ისტორიაში ასე შესვლა მოუწადინებიათ. მაგრამ ეს ხომ ის დროშა, პიმი და გერბია, რომელზედაც საქართველოს რესპუბლიკა შეიქმნა და დაეცა, რომლის გულისოვისაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა, სულ ახალგაზრდა გოგოებმა და ბიჭებმა შესწირეს თავი” (“ალია”, 11-12.07.98). მსგავსი აზრი გამოიქვა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ აგაკი ასათიანმაც, – “საქართველომ ამ დროშით ათი ომი გადაიტანა, იუნკრები ამ დროშაში გახვეულები დაკრძალეს, იგივე დროშით გათავისუფლდა საქართველო ახლაც” (“ალია”, 16-17.07.98).

ქართულ საზოგადოებაში ახალი პიმის ვარიანტებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ძველი პიმის შეცვლა საჭიროებას არ წარმოადგენდა, თუმცა ნაწილი ნუგზარ თუშიშვილის ვარიანტს ანიჭებდა უპირატესობას, ნაწილი კი რევაზ ლადიძის “ჩემი კარგო ქვეყანას.” იყვნენ ისეობიც ვინც თარა თაქთაქიშვილის მიერ კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილ მუსიკას მიიჩნევდნენ საუკეთესოდ თუ ტექსტში სიტყვა “პარტია” შეიცვლებოდა “სამშობლოთი”. ამასთან დაკავშირებით კონკურსის მომწყობი კულტურის სამინისტრო ავრცელებს შემდეგი სახის ინფორმაციას, – “საქართველოს ახალი პიმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება გამორიცხულია... საქართველოს პიმის შერჩევაშ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საბოლოო დასკვნას



ქართლის მეცენატების
კაბენგ VI-ეს გერბი
XVIII საუკუნე



ქართლ-კახეთის
გამგებლის დავითის გერბი
1801 წელი



ქართლ-გახეთის მეფის
ერებულე II-ის
სამეფო ტახტრევანი

გამოიტანს საქართველოს სახელმწიფო პიმნის შესარჩევი კონკურსის ჟიური და საქართველოს პარლამენტი” (“რეზონანსი”, 20.07.98).

მეოთხე ტურში გასული პიმნების ვარიანტების ავტორი კომპოზიტორი-პიმნოგრაფი იოსებ კეჭაყმაძე აცხადებდა, რომ “მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი პიმნები საბოლოოდ გაიმარჯვებენ... თუმცა ერთი კი ვიცი – თანხის მიღების შემთხვევაში კველა ჩემს ოპონენტს დავპატიუებ” (“დრონი”, 11-14.07.98), ხოლო პროფესიით მათემატიკოსი და არაერთი ქართული მუსიკის ავტორი ნუგზარ თუშიშვილი ამბობდა, – “სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი პიმნის გამარჯვების შემთხვევაში, თანხას უპატრონო და გაჭირვებული ბავშვების ფონდს გადაურიცხავ” (“რეზონანსი”, 19.07.98).

საბოლოოდ პიმნის საკითხმა მდაფრი ხასიათი მიიღო და იოსებ კეჭაყმაძემ შემდეგი განცხადება გააკეთა: “მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ქართველი ხალხის უწმინდესი სიმბოლო, საქართველოს სახელმწიფო პიმნიც აქციეს პოლიტიკური ინტიგებისა და ანგარიშსწორების იარაღად. თავი წამოყვეს დემაგოგებმა, ინტრიგანებმა და ხელმოცარულმა კარიერისტებმა.

“ამ აეალ-მაყალში მონაწილეობის მიღება არ მსურს, მით უფრო, რომ პოლიტიკურ თამაშებსა და კონიუნქტურაში არასოდეს გავრეულვარ.

“ამორალურ უმცირებასა და ცილისწამუნასონ ბრძოლას არავითარი აზრი არა აქვს, ამიტომაც უარს ვამბობ ყოველგვარ ინტერვიუსა და პრესკონფერენციაზე.

“დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სახელმწიფო პიმნის ბედით გულწრფელად და უანგაროდ დაინტერესებული ადამიანები ჩემი ახსნა-განმარტების გარეშეც გაერკვევიან ჭეშმარიტებაში” (“საქართველოს რესპუბლიკა”, 25.07.98).

როგორც უპვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო პიმნის ყველა ტექსტი საკონკურსო ჟიურიმ დაიწუნა. ამასთან დაბავშირებით თამაზ გარეკველი სახოგადოებას მეტად თრიგინალუ-

რად სოსელოს (იოსებ სტალინის) “დილას” სთავაზობდა: “ტექსტის სიმცირე,— წერდა იგი — ბუნებრივი უშუალობა და კოლორიტი, მუსიკალურობა და ავტორის გინაობის ფაქტორი პიმნს აქცევს ქართველი ხალხის გულისონქმად და სიამაყედ, რომელსაც სიბერე არ უწერია.

“ერთი წუთით... წარმოვიდგინოთ საფრანგეთის პიმნი ნაპოლეონის ლექსზე, რუსეთისა ივანე მრისხანესა ან პეტრე დიდის, ან კიდევ, საბერძნეთისა და უზებეკეთის პიმნები ალექსანდრე მაკედონელისა და ოქმურ ლენგის ტექსტებზე... ასეთ ბედნიერებას ხომ ეს ქვეყნები და მრავალნი სხვანი, ვერასდროს ელირსებიან!..” (“საქართველო”, 25-11.01.99). საბოლოოდ საზოგადოებრივი აზრი თანდათან ჩაცხრა და არც სახელმწიფო სიმბოლოების კომისია შეიკრიბა პიმნთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

1999 წლის გაზაფხული სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით, ერთგვარი გააქტირებით აღინიშნა. სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის მოედგილე ელდარ შენგელაია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან საქართველოს დროშასთან დაკავშირებულ ევროპის არქივებიდან მოპოვებული მასალებით წარსდგა. პრეზიდენტმა, თავის მხრივ კმაყოფილება გამოოქვა ჩატარებული სამუშაოს გამო, თუმცა საკითხის გადაწყვეტა მაინც ბუნდოვანი დარჩა. ამის მიზეზად კი, უფრო საქართველოს მოქალაქე მაპადიანები უნდა ჩაითვალოს. 27 აპრილს ევროსაბჭოს წინ საქართველოს დროშის აღმართვის ოფიციალურ ცერემონიალთან დაკავშირებით, პარლამენტის წინაშე საქართველოს კაოლიკოს-პარტრიარქის ილია II გამოვიდა და სინანულიც კი გამოოქვა, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენა და ევროპაში მისი ოფიციალური წარდგენა. ამავე დროს, ე. შენგელია მიმოწერას ანხორციელებს რომში დომინიკანელთა ორდენის თავთან დირს მამა რაომინდო სპიაციისთან, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

პარლამენტარებმა სხვადასხვა საკითხზე საკუთარ გამოსავლებში ვერც სახელმწიფო




ქართლის მეცენატების შემცირებული სამეცნიერო კეიპტრის დებალი



ქართლის მეცენატების შემცირებული სამეცნიერო კეიპტრის დებალი



ქალაქ თბილისის გერბი
1878 წელი



ქალაქ ქუთაისის გერბი
1878 წელი



ბათუმის მხარის გერბი
1878 წელი

ატრიბუტიკის ამ გაჭიანურებულ პროცესს აუარეს გვერდი. ასე მაგ: ედპ-ს ოავმჯდომარე ირინა სარიშვილი აცხადებდა, რომ “რატომ ბჭობდენ ამდენ ხანს მეცნიერები – იყოს თუ არა ქართულ დროშაზე ჯვარი” ანალოგიური განცხადებები სხვა პარლამენტარებმაც გააკეთეს. სახალხო-დემოკრატული პარტიის ლიდერი გურამ უსტიაშვილი კი, უურნალისტებთან შეხვედრის დროს პირდაპირ ამბობდა: “არც საქართველოს გერბი და არც დროშა, რომელიც კარლ კაუციმ თავის მენშევიკ მე-გობარს რესტორანში სადილობისას ხელსაწმენდზე დაუხატა, საქართველოს ისტორიულ ტრადიციას არ გამოხატავს. გერბში წმიდა გიორგი შუბით გველეშაპს კი არ გმირავს, არამედ შუბი სადღაც პარალელურად მიდის. ჩვენ საქართველოს ისტორიული დროშისა და გერბის ადგგნას მოვითხოვთ” (“დილის გაზეთი”, 1.05.99). დღევანდველი სამფეროვანი დროშის შექმნის ამგვარ ისტორიაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მის ფერთა კომბინაციის შესახებ არავითარი საბუთი არა გვაქვს და მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ. ვფიქრობ, იგი შეიქმნა რესპუბლიკური დროშების ამერიკული ტიპის მიხედვით, სადაც დროშის ქსოვილის ზედა მარჯვენა კუთხეში განსაკუთრებული სიმბოლო-ნიშანია დატანილი.

1999 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში შედგა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის, სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიისა და იტერცონაქციული ჯგუფის წევრთა ერთიანი შეკრება, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი უძღვებოდა. მსჯელობა კვლავ ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენაზე წარიმართა, თუმცა დარბაზში გამოკიდებულმა ჯუნა მიქაელისა და ვახტანგ რურუას დროშისა და გერბის ვარიანტებმა დამსწრეთა უკამაყოფილება გამოიწვია, ხოლო თამაზ გამყრელიძემ აჭარისა და ქართველ მუსულმანთა საკითხისადმი დამოკიდებულების გათვალისწინება მოითხოვა. მიუხედავად ამისა, სხდომამ შემდეგი რეზო-

ლუცია მიიღო: “ინტერფრაქციული ჯგუფისა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის მონაწილეები თვლიან, რომ საჭიროა აღდგეს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკა;

“ამასთან ერთად, ითვალისწინებენ რა საკითხის სათუთ პოლიტიკურ და ეროვნულ მნიშვნელობას, საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკის აღდგენის პროცესს წინ უნდა უსწრებდეს ქვეყნის მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა” (ოქმი).


28 მაისს ე. შენგელაიას კაბინეტში გაიმართა პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მეორე სხდომა, რომელმაც პარლამენტის ბიუროსადმი მიმართვა მიიღო:

“საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის (სიმბოლოების) შემუშავებისა და ჰერალდიკის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პარლამენტში შექმნილმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა სხდომაზე განიხილა რა სახელმწიფო ატრიბუტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მიზანშეწონილად მიაჩნია, მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლას.

“ამასთან, ინტერფრაქციული ჯგუფი მხარს უჭერს ისტორიული, ტრადიციული სახელმწიფო ატრიბუტიკის საფუძველზე მის აღდგენას.

“ინტერფრაქციული ჯგუფი აღნიშნავს:

“საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის შექმნის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 12 აგვისტოს №518 ბრძანებულების მე-6 პუნქტის ოანახმად, ჰერალდიკის სფეროში ერთიანი სახელმწიფო სიმბოლოების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, გამოყენებისა და დაცვის მიზნით უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ჰერალდიკის მუდმივობრივი კოლეგია. ამ კოლეგიის შემადგენლობა და დებულება უნდა დამტკიცებულიყო ერთ თვის ვადაში, რაც სამწუხაროდ არ მოხდა და კოლეგია გერ შეუდგა მუშაობას. ეს კი ხელს უშლის პროფესიულ და მიზანმიმართულ



“საქართველოს სამეცნიეროს”

გერბი


რუსეთის იმპერიის

დიდი გერბიდან

XIX საუკუნე



ქართლ-კახეთის მეფის
ერეკლე II-ის გერბი
დიდ სახელმწიფო ბეჭედზე
1784 წელი



ქართლ-კახეთის მეფის
ერეკლე II-ის გერბი
მხატვარი დ. გულორდავა

საქმიანობას სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემების მოგვარებას.

“ინტერფრაქციული ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტთან არსებულ სახელმწიფო სიმბოლოების კომისიას არ განუხილავს საქართველოს სახელმწიფო პიმნის კონკურსის შედეგები და არ მიუდია სათანადო გადაწყვეტილება, რაც გადაუდებლივ აუცილებლობას წარმოადგენს.


“ზემოადნიშნულიდან გამომდინარე, ეთნოგოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს საკითხი განსახილებიდ შეიტანოს უახლესი სასესიო კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგში” (ოქმი).

1999 წლის 9 ივნისს დღის 4 საათზე საქართველოს პარლამენტმა, ვიცესპიკერის ედუარდ სურმანიძის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ატრიბუტიკის განხილვა დაიწყო. სხდომაზე რეგისტრაცია 157-მა დეპუტატმა გაიარა. დარბაზში წარმოდგენილი იყო ყველა იმ რუქებისა თუ პორტულანების ფოტოპირები, რომელიც მოძიებული იქნა ევროპის სხვადასხვა არქივებში და მასზე გამოსახული იყო ქართული დროშები. განხილვის დროს, ზოგიერთი პარლამენტარის აზრით საერთოდ არ იყო საჭირო დროშის შეცვლა, რომლის შექმნაშიც ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული (უნდა ვთქვა, რომ როგორც კვლევამ გვიჩვენა ივ. ჯავახიშვილს არავითარი მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული საქართველოს სამფეროვანი დროშის შექმნაში). ასევე აცხადებდნენ, რომ წარმოდგენილი “გორგასლიან-დავითიანი” დროშა იერუსალიმის ისტორიულ დროშას გვაგონებს და საერთოდ ვართ თუ არა მხად ახალი ატრიბუტიკის მისაღებად. პარლამენტარ თამაზ გამყრელიძის აზრით, რომელიც განსაკუთრებით იცავდა ოქსპეციურ სამფეროვან დროშას, საჭირო იყო სიმბოლიკის კომისიის მუშაობის გაგრძელება, ფიქრია ჩიხრაძემ სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომ თუ წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, კარგი იქნებოდა თუ ეს პარლამენტი ახალ ატრიბუტიკას მიიღებს. სხდომაზე მოხსენებით ელდარ შენგელაია, და-

ვით მუსხელიშვილი და დავით კლდიაშვილი გამოვედით. სიტუაციიდან გამომდინარე ელდარ შენგელაძის მივმართეთ, რომ არსებული სამფეროვანი დროშა უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლებოდა საქართველოს პარლამენტის დროშად დაგვეტოვებინა. ამაზე საუბარი მან სხდომის ბოლოსათვის გადატანა მოხოვა, თუმცა ეს საკითხი საერთოდ არ წამოწეულა. საბოლოოდ, კენჭისურა სადამოს 8 საათზე ჩატარდა. 135 სამი 1-ის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტმა ისტორიული, ტრადიციული, სახელმწიფო ატრიბუტიკის (გერბი – “კვართიან-დავითიანი”, დროშა – “გორგასლიან-დავითიანი”) აღდგენას დაუჭირა მხარი და სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლის ძალითაც “ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ორგანული კანონის პროექტი სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული, ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე”. უნდა ითქვას, რომ თუ “გორგასლიან-დავითიანი” დროშის უცვლელად აღდგენაზე იყო საუბარი, ბაგრატიონთა – “კვართიან-დავითიან” გერბში მეცნიერა პირადი ნიშნები ტერიტორიალური სიმბოლოებით უნდა შეცვლილიყო.

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულება, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო ერთი სიმბოლო – წმიდა გიორგი – გველუშაპის განმგმირავი მხედარი. ამასთან, რადგან ქრისტეს ქვართის გამოსახვა აუცილებლობას წამოადგენდა, კარგი იქნებოდა თუ მხედარი მარცხენა ხელში დაიჭერდა ფარს, რომელზეც დატანილი იქნებოდა კვართი. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1998 წელს ვესაუბრე მხატვარ გია ბუდაძეს, რომელმაც ჩემი თხოვნით, საქართველოს ეროვნულ დროშებთან ერთად, გერბის ამგვარი ვარიანტის ნახატიც შეასრულა. გია ბუდაძემ მას სახელიც კი შეარქვა – “გიორგიან-კვართიანი”.

პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ პერალდიკოსებმა მიხეილ მაყაშვილმა, მამუკა გონგაძემ, მალხაზ აფრიდონიძემ, ზაქარია (ზაზა) კიბაძემ და დავით



ქართლის მეცნიერების
შოამომაცვლების
ბაგრატიონთა გერბი
1803 წელი



ქახოთის მეცნიერების
შოამომაცვლების
ბაგრატიონ-გრუზინსკების
გერბი
1885 წელი



საქართველოს გერბის
პროექტი
ავტორი მ. გონგაძე
1999 წელი



საქართველოს გერბის
პროექტი
ავტორი ხ. კიკნაძე
1999 წელი

კლდიაშვილმა აგვისტო-სექტემბერში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ, სადაც მათ გავაცანი ჩემი აზრი სახელმწიფო გერბთან დაკავშირდებით. შევთანხმდით, რომ საჭიროა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოს პრინციპების თანახმად გერბში გაერთიანდებოდა ტერიტორიალური სიმბოლოები, ხოლო მცირე – წმ. გიორგი კვართით. პრაქტიკულად მცირე გერბს მიენიჭა შიდა სახელმწიფო საყოველდღიო ფუნქცია. გადაწყდა, რომ გერბის ნახატის ვარიანტებს მიხეილ მაყაშვილი, მამუკა გონგაძე და ზაზა კიკნაძე შეასრულებდნენ. გერბის ეს ვარიანტები წარუდგინეთ კიდეც ელდარ შენგელაის პარლამენტის მის კაბინეტში შეხვედრის დროს, რომელსაც პერალდიკოსებთან მამუკა წურწუმიას, მირიან კიკნაძესა და ოორნიკე ასათიანთან ერთად მხატვრები ჯუნა მიქატაძე და ვახტანგ რურუაც ესწრებოდნენ.

“ქართული პერალდიკის ასოციაციის” დაარსების მიზნით, საქართველოს სიმბოლიკის სახელმწიფო კომისიის წევრმა პერალდიკოსებმა, მამუკა გონგაძემ, ზაჟარია კიკნაძემ, მიხეილ მაყაშვილმა და მამუკა წურწუმიამ 1996 წელს შექმნეს საინიციატივო ჯგუფი. “ქართული პერალდიკის ასოციაცია” ოფიციალურად 2000 წელს ჩამოყალიბდა და მასში, ზემოთქმულთა გარდა, გაგწევრიანდით ასევე სიმბოლიკის სახელმწიფო კომისიის წევრი პერალდიკოსები მალხაზ აფრიდონიძე და მე და კომისიის გარეთ მოღვაწე პერალდიკოსები, ოორნიკე ასათიანი და მირიან კიკნაძე. სახელმწიფო გერბისა და დროშის კომპოზიციებისა და შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით, 1996 წლიდან მოყოლებული, ასოციაციის წევრებმა მრავალი შეხვედრა ჩავატარეთ. მთავარი მოსახრება, რომელსაც ყველა პერალდიკოსი იზიარებდა იყო, რომ ახალი გერბი შეძლებისდაგვარად ქართლ-კახეთის სამეფო გერბს დამსგავსებოდა. ასევე, ყველა პერალდიკოსი აღიარებდა გერბში წმინდა გიორგის გამოსახულების შეტანის აუცილებლობას.

უნდა იოქვას, რომ ჯერ კიდევ 1996 წელს ზაჟარია კიკნაძე თვლიდა, რომ ძველი მე-XVIII

საუკუნის გერბის ერთ-ერთი ვარიანტი, პერძოდ ერეკლე II-ის “საკაბინეტო გერბი” უცვლელი სახით უნდა აღმდგარიყო და სწორედ აქედან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდა მამუკა გონიგაძის იდეას ოქროს საწმისისა და იბერიის მთის გამოსახვის შესახებ, რომელიც ემუარებოდა ტერიტორიულ და სამართალმექვიდრეობის პრინციპს. ამ ვარიანტს მხარი დაუჭირა საეკიალისტების უმრავლესობამ (მ. მაყაშვილი; მ. წურწუმია; მ. კიკნაძე). საბოლოოდ ზ. კიკნაძემ გაიზიარა ეს მოსახრება. ზაქარია კიკნაძე თავიდანვე წმ. გიორგის მეწამულ ველზე გამოსახვას უჭერდა მხარს და ამ მოსახრებას იმით ასაბუთებდა, რომ მეწამულზე წმ. გიორგი ქართლის ძველსა და მუხრანის, ანუ ბაგრატიონია უფროსი შტოების გერბებზე გამოისახებოდა (და ახლაც გამოისახება). (ამ მოსახრებას მხარს უჭერდა ყველა ჩემსა და მაყაშვილის გარდა, რომელთაც გვსურდათ ოქროს კვართის ვერცხლის ველზე გამოსახვა, ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილის რუქაზეა აღნიშნული), თანაც ერეკლე II-ის ჭედურ “საკაბინეტო გერბზე” ის ველი, რომელზეც წმ. გიორგია გამოსახული მეწამულის აღმნიშვნელი, ჰერალდიკური დაშტრიხითაა გადმოცემული (ეს გერბი საქართველოს ისტორიის მუზეუმში ინახება). აგრეთვე გაჟღერდა ის მოსახრებაც, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოხვედრის შემდეგ, კახეთის ბაგრატიონების გერბში წმ. გიორგის ველი ოქროსფრით მხოლოდ მოსკოვის გერბისაგან განსასხვავებლად შეიცვალა. ჰერალდიკოსთა ზემოსენებული ჯგუფი საბოლოოოდ წმინდა გიორგის მეწამულ ველზე გამოსახვაზე შევთანხმდით. მამუკა გონგაძე, მირიან კიკნაძე, მიხეიილ მაყაშვილი და ზაქარია კიკნაძე, გერბის რამდენიმე ვერსიის არსებობას უჭერდნენ მხარს. ეს უნდა ყოფილიყო დიდი, საშუალო და მცირე გერბები.

მცირე გერბად იქნებოდა დაგვირგვინებული, მაგრამ უდევიზო და ფარისმგიროველების გარეშე წარმოდგენილი წმ. გიორგის გამოსახულებიანი საგერბო ფარი.


საშუალო გერბი უნდა ყოფილიყო ოთხად გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარი, რომლის პი-




საქართველოს გერბის
პროექტი
ავტორი მ. მაყაშვილი
1999 წელი




საქართველოს
მცირე გერბის პროექტი
ავტორი მ. გონგაძე
1999 წელი



საქართველოს
სამხედრო ძალების
დროშა
2004 წელი



საქართველოს
ეროვნული გვარდიის
დროშა
2004 წელი



საქართველოს
სამხედრო - საპატიო
ძალების დროშა
2004 წელი

რველ ველზეც მცირე გერბის გამოსახულება უნდა მოთავსებულიყო, ხოლო დანარჩენი სამი ველის ფიგურების თაობაზე, რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება გაჩნდა: ფარის ცენტრალურ ნაწილში მაცხოვრის კვართიანი, მცირე ფარი უნდა მოთავსებულიყო. საგერბო ფარი მცირე გერბის მსგავსად ქართული (ქართლ-კახეთის) სამეფო, “ივერიული გვირგვინით” უნდა დაგვირგვინებულიყო. ფარის მტკირთველ-წარმომდგენლებად ორი, მცენარეულ (ვაზის) ორნამენტზე მდგომი ლომი იგულისხმებოდა.

დიდი გერბის პროტოტიპი “გეორგიევსკის ტრაქტაზე” დაკიდებული ქართლ-კახეთის დიდი სახელმწიფო ბეჭდი იქნებოდა. ანუ ეს უნდა ყოფილიყო, საქართველოს შემადგენელი ძირითადი პროვინციების გერბებით გარშემორტყმული, ფარისმტკირთველების გარეშე გამოსახული საშუალო გერბი.


იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიული მოწყობა არც მაშინ და, სამწუხაროდ, არც ახლა არ არის საბოლოოდ გარკვეული. გადავწყვიტეთ, რომ ჯერ-ჯერობით დიდ გერბზე მუშაობისათვის თავი დროებით აგვერიდებინა და მხოლოდ მცირე და საშუალო გერბებით შემოფარგლულიყოვთ. ეს იდეა საქართველოს მაშინდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგალაძამაც მოიწონა.

გადაწყდა, რომ ელდარ შენგალაძიასათვის, ჩვენ ჰერალდიკოსებს საქართველოს გერბის რამდენიმე ვარიანტი უნდა წარვედგინა. საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთიან ინტენსიური კონსულტაციებისა და შეხვედრების შემდეგ შევთანხმდით, რომ “ქართული ჰერალდიკის ასოციაცია” კომისიას წარუდგენდა გერბის ხუთ ვარიანტს. გერბის ორ-ორი ვარიანტი მათუკა გონგაძემ და ზაქარია კიკნაძემ დახატეს, ხოლო მეხუთე კი მიხეილ მაყაშვილმა.


მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პარიზიდან უცხოეთში ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის კარლო ინასარიძის

1999 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ წერილს იდებს, რომელიც აღნიშნავდა: დროშის „შინდისფერი – საქართველოს თავისუფლებისათვის დადგრილი სისხლი. შავი – დაღუპულ მებრძოლთა გლოვის, ხოლო თეთრი – თავისუფლების სიმბოლოა“. თეთრი გიორგი “აერთიანებს როგორც ქრისტიან, ისევე მაჭადიან ქართველობას, თუმცა ქრისტიანობა ჩვენი მსოფლებელის ბაზა გახდა... ქართული ეროვნული საბჭოს თხოვნაა, ბატონო პრეზიდენტი, – თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის ყველაზე უფრო ძლიერი ფრაქციის, „მოქალაქეთა კავშირის“, პარტიის ლიდერმა, იმოქმედოთ, რომ ასევე ძალაში დარჩეს ჩვენი სახელმწიფო ატრიბუტიკა – დროშა, გერბი, პიმინი... ნეუ წაგვარომევს საქართველოს პარლამენტის დეპუტატები ჩვენს ეროვნულ დროშას, გერბს, პიმინს „დიდებას“!..”


ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა პრეზიდენტის წინაშე აღნიშნულმა წერილმა, მაგრამ სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხი მთელი სამი წლით შეჩერდა. ამ პერიოდში არ ცხრებოდნენ ხუთჯვრიანი დროშის მოწინააღმდეგები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თითქოსდა საქართველოს ტერიტორიაზე ხუთჯვრიანი კომპოზიციების არსებობია არ ფიქსირდება. ზაქარია კიკნაძემ ელდარ შენგელაიას წარუდგინა მირიან კიკნაძის მიერ გადაღებული ჩერის (ხარაგაულის რაიონი) კიკნაძეების საგვარეულო საძვალის, წმინდა გიორგის (ხოსიას ეკლესიად წოდებული) საფდრის ექსტერიერის რელიეფური ქვის ფოტოსურათი, რომელზეც სწორედ ხუთჯვრიანი კომპოზიციაა გამოსახული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაზე დროშის საკითხთან დაკავშირებით მიგნებული პირველი ხუთჯვრიანი კომპოზიცია გახლდათ. საქართველოში ასეთი კომპოზიციის გავრცელება შემდეგ ბოჭორმის ხუთჯვრიანი რელიეფის გამოაშვარავებამაც დაადასტურა. პერალდიკოსებმა მამუკა გონგაძემ, ზაქარია კიკნაძემ, მირიან კიკნაძემ და მიხეილ მაყაშვილმა ოპტიმალური პროპორციის დადგენის




საქართველოს
სამხედრო - სახლვაო
დროშა
2004 წელი



საქართველოს
თავდაცვის მინისტრის
შტანდარტი
2004 წელი



საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს
შტაბის უფროსის
შტანდარტი
2004 წელი



გამ. „რეზონანსი“-ის
მიერ გამოცხადებულ
კონკურსში გამარჯვებული
საქართველოს
ეროვნული დროშის
პროექტი
2001 წლის
ავტორი და ფავლენიშვილი

მიზნით დროშის ექვსი ვერსიის შეიმუშავეს. აღსანიშნავია, რომ ჰერალდიკოსთა დიდი ნაწილი მცირე ჯვრების სწორი “ბერძნული” ფორმის ჯვრებად გამოსახვას უჭერდა მხარს. ამას კი იმით ვასაბუთებდით, რომ ჩვენს ხელო არსებულ ყველა ისტორიულ რუქაზე, დროშა სწორი ჯვრებითაა წარმოდგენილი.

2001 წლის 4 მარტს გაზეომა “რეზონანსი” მკითხველს ასე მიმართა: “1995 წელს მიღებული კონსტიტუციის (მე-11 მუხლის) თანახმად “საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით”. მესამე ათასწლეული კარს მოგვადგა, მაგრამ ასეთი კანონი დღემდე არ არსებობს. ფაქტია ისიც, რომ არსებული შავ-თეორ-შინდისცერ დროშის შეცვლის თაობაზე დიდი ხანია ლაპარაკი მიმდინარეობს, ხოლო პარლამენტის მიერ... მოწონებულ ეწ. ხუთჯვრიან პროექტს მრავალი თაონებით გამოუჩნდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეოთ “რეზონანსი” ატარებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას თემაზე “XXI საუკუნის საქართველოს დროშა”.


გაზეოთ შემოსული დროშის ვარიანტებს საკვირაო ნორმებში აქვეყნებდა ავტორის მიუთიოებლად, ხოლო იმავე წლის 20 მაისის ნომერში ყველა 50 დროშის ფერადი ვარიანტები წარმოადგინა, საიდანაც გამარჯვებულად ლერი ფავლენიშვილის №22 ვარიანტი გამოაცხადა. იგი წარმოადგენდა შინდისცერ ქსოვილს წმ. ნინოს თეორი ჯვრით. თავად ავტორის განმარტებით: “წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი ნიშნავს ნათელ მომავალს, რომელიც უკიდეგანოდ შეიძლება განვითარდეს (ამიტომ ის სცილდება დროშას ზემო და ქვემო ნაწილებში). ვაზის ჯვარი მაღლამოსავით ედება ქართველთა სისხლს და ჰკურნავს მათ. ჯვრის ფრთხების ჩრდილი კი შაგბნელი წარსულია, რომელიც ადარ უნდა განმეორდეს. ამიტომ იგი შეზღუდულია თავისი ფორმით” (“რეზონანსი”, 26.05.2001).

საკითხმა წამოიწია მას შემდეგ, რაც 2002 წლის 19 ნოემბერს ქ. თბილისის საკრებულომ თბილისის მერიის შენობის თავზე სახელმწიფო დროშასთან ერთად ქალაქ თბილისის,

ევროსაბჭოსა და ისტორიული “გორგასლიან-დავითიანი” დროშის აღმართვის დადგენილება მიიღო. დადგენილებას ხელს აწერდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

აღნიშნული დადგენილებისა და თბილისის მერიის თავზე ისტორიული დროშის აღმართვის წინააღმდეგ გამოვიდა პარლამენტარი გურამ შარაძე, რომელიც აცხადებდა – “მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო: ხუთჯვრიანი თეორი დროშა არ არის ქართული... ეს დროშა იერუსალიმის სამეფოს ჯვაროსანი კათოლიკებისა გახლავთ და დღვმდე ამ წმინდა მიწის მეურვის – ფრანცისკანელთა ორდენის კუთვნილებაა... ასე რომ ის ქართული და მართლმადიდებლური კი არ არის, არამედ კათოლიკური და ჯვაროსნულია” (“ასავალ-დასავალი”, 9-15.12.2002). საკითხმა იმდენად პოლემიკურანალიტიკური ხასიათი მიიღო, რომ იანვრის თვეში ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ისტორიის ინსტიტუტში ორი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომლებმაც ისტორიულ ხუთჯვრიან დროშას დაუჭირა მხარი, ხოლო პრეზიდენტმა შევარდნაძემ სახელმწიფო დროშასთან დაკაუშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით 2003 წლის 20 იანვარს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის 103 წევრიანი ახალი შემადგენლობის დამტკიცების ბრძანებულება გამოსცა. ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა სპეციალურ კონფერენციაზე შემდეგი განაცხადა: “სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლა არის პრეზიდენტის პრეროგატივა და გთავაზობთ, იაროთ არა კომისიების შექმნის გზით, რაც იქნება საკითხის პროფანაცია, არამედ მხარი დაუჭიროთ საქართველოს პარლამენტის და თბილისის საკრებულოს ერთსულოვნად გამოხატულ ნებას. თქმებ მიერ შექმნილი მორჩილი კომისია ვერცერო შემოხვევაში ვერ ჩაანაცვლებს წარმომადგენლობით ორგანოს და არასასურველ გართულებას გამოიწვევს” (“24საათი”, 15.12.2003).

პრეზიდენტის ახალი ბრძანებულების მიხედვით სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის თავმჯდომარე გვლავ პრეზიდენტი დამტ-



საქართველოს გერბი
“სამეფო
კართიან-დავითიანი”
ვახუშტი ბაგრატიონის
ატლასიდან
1735 წელი




ქართლ-კახეთის მეფის
ერებულე II-ებ გერბული
მონეტა და ბეჭედი
XVIII საუკუნე

კიცდა, ხოლო მოადგილებად კულტურის მინისტრი სესილი გოგიძერიძე, უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი და პარლამენტარი ელდარ შენგელაია. 2003 წლის ზაფხულში პრეზიდენტის თხოვნით კულტურის სამინისტროში სესილი გოგიძერიძის სამუშაო კაბინეტში რამდენიმე შეხვედრა მოეწყო საქართველოს პერალდიკის ასოციაციის წევრებთან, რომელთაც სახელმწიფო გერბის საკუთარი ვარიანტი წარმოადგინეს. ამ შეხვედრების შედეგი ეცნობათ კომისიის მოადგილებს როინ მეტრეველსა და ელდარ შენგელაიას. რაც შეეხება დროშას, ეს საკითხი არ იქნა განხილული, გამომდინარე იქიდან, რომ პერალდიკის ასოციაცია მხარს “ხუთჯვრიან” ისტორიულ დროშას ვუჰქმდით. ამასთან ერთად, ვთვლიდით, რომ ჯერ გერბი უნდა მიეღო ქვეყნას, ხოლო შემდეგ დროშა. ამის შემდეგ 9 ივნისს კულტურის მინისტრსა და სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს სესილი გოგიძერიძეს ისტორიული “გორგასლიან-დავითიანი” ე.წ. “ხუთჯვრიანი” დროშის ადგილსამყოფელის შესახებ ვაცნობე, თურქეთის რომელ მუხეუმშია იგი დაცული დღესაც და როგორი საშუალებებით შეიძლება მისი მოძიება.

აუცილებლობა მოითხოვს ითქვას ის გარემოება, რომ 2003 წლის აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ერთ-ერთ რადიო-ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს ქვეყნის დროშა არ შეიცვლებოდა.

საქართველოს ისტორიული, ტრადიციული სიმბოლოების აღდგენის საკითხი კვლავ შეჩერდა, რასაც განსაკუთრებულად 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო მოახლოებულმა არჩევნებმაც შეუწყო ხელი. 4 ნოემბერს თბილისის საკრებულოსა და “ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადა და ოპოზიციის გამარჯვების აღიარება პრეზიდენტ შევარდნაძესა და მთავრობას მოსთხოვა. აქციას საარჩევნო ბლო-



კი “ბურჯანაძე-დემოკრატებიც” შეუერთდა. გაროულებული პოლიტიკური ვითარების შემდეგ 14 ნოემბერს საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოცხადდა, ოუმცა მიუხედავად ამისა, 22 ნოემბერს ახალი პარლამენტის პირველ სხდომას პროტესტის ნიშნად სამი პოლიტიკური ორგანიზაცია არ დაესწრო, ქვორუმი მაინც შესდგა და მისასალმებული სიტყვით პრეზიდენტი ეღუარდ შევარდნაძე გამოვიდა. 5 საათზე დარბაზში, სხდომის მიმდინარეობისა და პრეზიდენტის გამოსვლის დროს, შევიდა მიხეილ სააკაშვილი და პრეზიდენტს გადადგომისაკენ მოუწოდა. შედეგად შევარდნაძემ დარბაზი დატოვა, ხოლო სხდომა წინა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გააგრძელა, რომელმაც არჩევნების შედეგები გაუქმებულად გამოაცხადა. გამარჯვების ნიშნად მიხეილ სააკაშვილის თაოსნობით საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის თავზე სამფეროვანი სახელმწიფო დროშის გვერდით ისტორიული “ხუთჯვრიანი” დროშაც აფრიალდა. მომდევნო დღეს პეტიონი ედუარდ შევარდნაძე გადადგა და მისი მოვალეობის შემსრულებლად, საქართველოს კონსტიტუციის ძალით, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაინიშნა. ქვეყანაში მიმდინარე პროცესი “ვარდების რევოლუციით” მოინათლა, რადგან მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის დარბაზში სწორედ ვარდებითა და საქართველოს ისტორიული ხუთჯვრიანი დროშებით შევიდა, და ამ სახელით მოიხსენიებოდა მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო სააგანტოების მიერ.

2004 წლის 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით დასრულდა. საპრეზიდენტო ინაუგურაცია იმავე თვის 25 რიცხვში გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ინაუგურაციის მოავარი აქტი პრეზიდენტის მიერ ახალი ცხოვრების დაწყების ნიშნად, ისტორიული ხუთჯვრიანი დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადების ოფიციალურ პრანებულებაზე ხელის მოწერა იყო.



ზაქარია ფალიაშვილი

ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში მიხეილ საძაგაშვილი ჩაუდგა, თავიდანვე ისტორიულ ხუთჯვრიან დროშას მიენიჭა უპირატესობა. დროშის ის ვარიანტი მოქანდაკე ჯუნა მიქატაძესა და მხატვარ ვახტანგ რურუას ეკუთვნოდათ. 2004 წლის ცნობილმა მოვლენებმა დადებითად იმოქმედა სახელმწიფო სიმბოლიკის მრავალწლიანი დებატების სასიკეთოდ დამთავრებაზე. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე დროშას წმ. გიორგის დროშად მოიხსენიებდნენ, მაგრამ ჰერალდიკის ასოციაციის წევრებმა განმარტეს, რომ ხუთი ჯვარი ტრადიციულად მაცხოვარი და ოთხი მახარებელი არის, რომელთაც ქრისტიანობა ქვეყნიერების ოთხივე მხარეს იქადაგებს. ვარდების რეოლუციის შემდეგ ფორსირებული წესით გაგრძელდა მუშაობა სახელმწიფო დროშის შეცვლასთან დაკაგშირებით. დაგალება მიეცა იუსტიციის სამინისტროს, რომელთანაც თანამშრომლობდა ჯ. მიქატაძე, ვ. რურუა, ი. ბიჭიკაშვილი და ხელოვნებათმცოდნები. ჰერალდიკოსები ვთვლიდით, რომ დროშა უცვლელი სახით, ანუ სწორი ჯვრებით უნდა აღმდგარისეთ და ამიტომაც სამინისტროში ასოციაციის მოსაზრება მამუკა გონგაძემ და მირიან კიკნაძემ

საქართველოს
ეროვნული პიმინი
“თავისუფლება”
მუსიკა
ზაქარია ფალიაშვილის
დამუშავება
ოოსებ კაჭაყმაძის
ლექსი
დავით მაღრაძის

Moderato maestoso

f

ჩა- ბა - ბი- ა ხა- მო - მო - ხა- ხა -

ბა მო- მო- ხა - ხა - ხა ბა - ხა - მო - ხა - მო -

ბა - ხა ხა - ხა - ხა - ხა - ხა - ხა - ხა -

გო - ხე- ყუ- ბა - ბა ხე- ხე - ხე მი - მა- ხე- გო- გო -

ხე - ბა, ი ხე - ი ხე -

გო - თო ხე- გო - ა ხე- გო - გო - ბა გო - გო - გო - თა- გო -

გო - ბა, თა - გო - ბა ხე - გო - ბა გო - გო - გო - ბა თა - გო -

გო - გო - ბა, თა - გო - ბა ხე - გო - ბა გო - გო - გო - ბა თა - გო -

წარადგინეს. სამსათოიანი შეხვედრის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ მიიღო, ასე ვთქვათ, კომპრომისული გადაწყვეტილება და „ბერძნული“ (სწორი) და „ბოლნური ჯვრების“ ნაცვლად ხელოვნებათმცოდნების დახმარებით შეიქმნა ე.წ. „ბოლნურ-კაცხური ჯვრები“, რომელიც გამოისახა კიდევ დროშაზე. დროშის ამ ვარიანტის ავტორებად ჯუნა მიქატაძე, ვახტანგ რურუა, ჰერალდიკის ასოციაცია და ხელოვნებათმცოდნები გამოცხადდა.

სახელმწიფო დროშის დაკანონების შემდეგ აუდიტურის სამინისტრომ პიმნის ტექსტის გამოვლენისათვის სპეციალური ჟიური ჩამოაყალიბდა. მასში შევიდნენ: 1. რევაზ თვარაძე; 2. რევაზ სირაძე; 3. ვახუშტი კოტეტიშვილი და 4. ბაჩანა ბრეგვაძე, რომელმაც ავადმყოფობის გამო მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღო და იგი მანანა ახმეტელმა შეცვალა. ჟიურის მუშაობას, ხმის უფლების გარეშე, იოსებ კეჭაფაძე ესწრებოდა. პიმნის ტექსტის კონკურსი 19 მარტს გამოცხადდა, რომლის პირობის თანახმად საქართველოს სახელმწიფო პიმნის ტექსტი უნდა დაიწყოს სიტყვით „თავისუფლება“. ჟიურიმ შემოტანილი 210 ტექსტიდან კონკურსში გამარჯვებულად პოეტ დავით მალრაძის ლექსი გამოაცხადა, რომელიც აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის სიტყვებით იწყებოდა:

“ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მოელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია დმუროთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმდერს დიდებას.
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის,
ამოდის და ორ ზღვას შეა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება”.

საქმე ისევ სახელმწიფო გერბზე მიღა. შეიქმნა სახელმწიფო სიმბოლიკის კომისია, რომელსაც კონკურსი უნდა გამოეცხადებინა. კომისიას სათავეში ახლა უკვე თავად ელდარ შენგელაია ჩაუდგა, 2004 წლის მაისში კომისიამ გერბის ჟიური დაამტკიცა, რომელშიც შევიდნენ: 1. ელდარ შენგელაია; 2. დავით მუსხელიშ-



იოსებ კეჭაფაძე



დავით მალრაძე



მამუკა გონგაძე



საქართველოს
ეროვნული გერბის
პონქურსში
გამარჯვებული ვარიანტი
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე



საქართველოს
ეროვნული გერბის
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე

ვიღი; 3. იოსებ ბიჭიკაშვილი; 4. მირიან კიკნაძე; 5. მალხაზ აფრიდონიძე; 6. მამუკა წურწუმია; 7. მიხეილ სამსონაძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი) და 8. გიორგი გეწაძე (იუსტიციის მინისტრის მოადგილე). ჟიურის მდივნად ნინო მეოფარიანი დაინიშნა. კონკურსზე წარმოდგენილი იქნა 31 გერბისა და 12 დევიზის საკონკურსო ვარიანტები, რომელთაგან 15 გერბი და 3 დევიზი თბილისის ცისფერ გალერეაში 17-19 მაისს იქნა გამოფენილი. ჟიურის მთავარი მიზანი იყო, რომ ახალ გერბში ქართულ სახელმწიფო პერალდიკაში მანადმე არარსებული თოთქმის არცერთი სიმბოლო არ შესულიყო და გერბი კანონიკური პერალდიკის ჩარჩოებში ყოფილიყო მოქცეული. გამარჯვებულად მამუკა გონგაძის მიერ შესრულებული ის ვარიანტი გამოცხადდა, სადაც დიდ გერბს მაცხოვრის ოქროს ჯვრით ერთხელ გაკვეთილი და ერთხელ გადაკვეთილი ფრანგული ფარი წარმოადგენდა, რომლის პირველ და მეოთხე მეწამულ გელგაზე გამოსახული იყო გველეშაპის შუბით განმგმირავი წმიდა დიდმოწამე გიორგი, მეორე ოქროსფერ ველზე, ცეცხლისმფრქვეველი და ორი ისრით განგმირული “იძერიის” მთა, ხოლო მესამე ლაჟვარდოვანზე კი ოქროს საწმისი იყო გამოსახული. ფარის ცენტრში მცირე ფარაგზე მაცხოვრის კვართი თავსდებოდა. ფარისმცვირთველებად მცენარეულ (ვაზის) ორნამენტზე მდგომი ქართლ-კახეთის სამეფოს პერიოდის ორი ოქროს ლომი იყო გამოყენებული. ფარი “ივერიის გვირგვინით“ იყო დაგვირგვინებული. გერბის დევიზის ვერცხლის ლენტზე ქართული წარწერა – “ძალა ერთობაშია”, რომლის აკტორი თავად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

სამწუხაროდ, გერბის ამ ვარიანტმა არა-ერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია ქართულ სახოგადოებაში. მიუხედავად კომისიის მიერ წარდგენილი არგუმენტებისა პარლამენტის მიერ არ იქნა გაზიარებული და დამტკიცებული არჩეული პროექტი. მის მიერ შემოთავაზებული იყო ისეთი ფიგურები (ხარი, ეკლესია და სხვა), რომლებიც არასოდეს ქოფილა ქართულ პერალდიკაში. დავის შემდეგ მიღწეული იქნა

შეთანხმება. ელდარ შენგელაიას თხოვნით მა-
მუკა გონგაძის მიერ შესრულებული იქნა გერ-
ბის ახალი ვარიანტი – წითელ ველზე ოქროს
შარავანდებიანი ვერცხლის წმ. გიორგი. ეს იყო
კომპრომისი – პრიორიტეტული ფიგურა ანუ
საქართველოს მცირე გერბი ხდებოდა ქვეყნის
გერბი და ერთგვარად აგრძელებდა სამარ-
თალმეტკვიდრეობას ვახუშტი ბატონიშვილის
მიხედვით.


სახელმწიფო გერბი და სწორედ ეს ვარიან-
ტი იქნა დამტკიცებილი 2004 წლის 20 მაისს
საქართველოს პარლამენტის მიერ. ამავე დღეს
დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ახ-
ალი პიმინი (მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა,
რომელიც განიმნა იოსებ კეჭაუმაძემ) და ტექს-
ტი (ავტორი დავით მაღრაძე). იმავე წლის 15
აგვისტოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა
საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონის
უერად ვარიანტს მოაწერა ხელი.



საქართველოს
ეროვნული მცირე გერბი
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე



საქართველოს ეროვნული გერბი
(ახალი რედაქცია)
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე



საქართველოს
პრეზიდენტის შტანდარტი
2004 წელი
ავტორი მ. გონგაძე

ლანართი



ქოტე
მაჟაშვილის
სიტუა
საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის
პარლამენტი
1918 წლის
17 სექტემბერს

მოქალაქენო! პარლამენტის წევრნო!

საქართველოს სახელმწიფო გერბის საკითხი, რომელიც საკანონმდებლო პროექტის ჩვეულებრივ პროცესში იყო, მომენტის კატეგორიულის მოთხოვნით, სასწრაფოდ გადასაწყვეტი შეიქმნა. თქვენ, ალბათ მოგეხსენებათ მიზეზი ამ სისწრაფისა. ამიტომაც ამაზედ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია საგნის არსებითად გარჩევამდე. საჭიროდ ვთვლი შევეხო საკითხის მოპლეს, მაგრამ მნიშვნელოვან ისტორიას. გერბის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას დაგბადა ქართული ფულის შემოღების იდეასთან ერთად. ქართულ ფულს ესაჭიროებოდა რაიმე სახელმწიფოებრივი ემბლემა ანუ გერბი და ამიტომაც მთავრობამ მოიწვია ჩვენი პროფესორები, მხატვრები და მცოდნე პირები ამ ემბლემის გამოსარგევად. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოწვეულებმა საუკეთესო ემბლემად მიიჩნიეს თეორი გიორგის შვიდი მნათობითურთ. მთავრობის კაბინეტის უმეტესობა იმუშავდ არ დაეთანხმა მათ და დაადგინა აღნიშნულ ემბლემად მიღებულ იქნას განთავისუფლებული ამირანი. იმ კრების შესახებ მასალა მე ხელო არა მაქვს და ამიტომაც ვერას ვიტყვი თრივე მხარის მიერ მოყვანილ საბუთებზედ. ამის შემდეგ გამოცხადებული იყო კონკურსი განთავისუფლებულ ამირანის გამოსახვის საუკეთესო ნახატზედ. განთავისუფლებულ ამირანის სახელმწიფოებრივ ემბლემად მიღებამ უკმაფოყილება გამოიწვია საზოგადოებაში და მხა-

გერბის ხაյოთხი
ჩვენი რესპუბლიკის
მთავრობას დაქმადა
ქართული ფულის
შემოღების იდეასთან
ერთად. ქართულ
ფულს ესაჭიროებოდა
რაიმე სახლმწიფო
პრივატული გმბლება ანუ
გერბი

ახრის გაცვლა-
გამოცვლის შემდეგ
მოწევულებას საუკუ-
თესო ემბლემად მიიჩ-
ნია თურქი გიორგი
შეიძლი

კოტე მაჟაშვილი

ტვრებში, ამ საქმეს უგულოდ მოეკიდნენ და
შედეგიც ის იყო, რომ ჩვენ მხატვრებს თითქმის
არ მიუღიათ მონაწილეობა კონკურსში და ეს
კონკურსი არ შედგა. დრომ განვლო და გერ-
ბის საკითხს შეუდგა ხელოვნების კომისია. 5
მარიამბისთვეს შესდგა ამ კომისიის კრება,
რომელსაც დაესწრებ განათლების მინის-
ტრი გ. ლასხიშვილი, ფინანსთა მინისტრი გ.
ურული, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარ-
მოამაღენელი დ. ხელმისამართის პროფესორი ივ.
ჯავახიშვილი, ექვთ. თავაიშვილი, მხატვრები გ.
გაბაშვილი, დ. შევარდნაძე, ზალცმანი, მოქან-
დაკე ი. ნიკოლაძე და სხვანი. კომისიამ მო-
ისმინა ვრცელი დასაბუთებული მოხსენება
ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა, და თაობირის
შემდეგ ერთხმად დაადგინა: საქართველოს
სახელმწიფო გერბის გამოხატულება უნდა
იყოს თეორი გიორგი შვილი მნათობითურთ.
ეს დადგენილება ეცნობა მთავრობას თხოვნით,
რომ გამოცხადდეს სათანადო კონკურსი. მთავ-
რობამ ყოფმანი დაიწყო და მხოლოდ გარეშე
პირობებმა აიძულეს გადაედგა სწრაფი ნაბიჯი.
და იგი ხელახლა სვაგს გერბის საკითხს ეხლა
უმარე ეროვნული საბჭოს წევროა კერძო კრება-
ზედ. ამ კრებაზედ მოწვეული პროფ. ჯავახიშვი-
ლი დაწვრილებით შეეხო საგანს და სავსებით
ყოველმხრივ დაასაბუთა ხელოვნების კომისი-
ის დადგენილება. კერძო თაობირმა ბოლოს
გამოაშკარავა ორი უმთავრესი მიმდინარეობა:
ერთი იყო მომხრე ამირანის გამოხატულებ-
ისა. ამირანისა, მაგრამ, უკვე მიჯაჭვულისა
და მეორე კი თეორი გიორგისა. კერძო თაო-
ბირმა საბოლოოდ არ გადაწყვიტა საკითხი.
შემდეგ ამისა შეიკრიბნენ ფრაქციათა წარმო-
მადგენელნი ხელოვნების კომისიასთან ერთად
და სხვ. ამგვარად სწორე და ჩვეულ გზებით
მავალი ეს საკითხი დგას ოქვენს სამსჯავროს
წინაშე ისევე გადაუწყვეტელი, როგორც თავის
დაბადების ქამს. ეხლა მე გვცდები შეძლები-
სდაგვარად აგისხნაო ის პოზიცია, რომელიც
უჭირავს ამ საკითხში ხელოვნების კომისიას.
მე არ შემწევს იმდენი ცოდნა, რომ თვალწინ
გადაგიშალოთ მოელი სურათი თეორი გიორ-

გერბში ზოგი
ეძგას სიმბოლოს ერის
სულის მისწრაფე-
ბისა, იდეალს, ზოგი მის
ხაუკოებო ტრადიციი-
სა, ზოგი კი მის ძვე-
ლასა და მფარველას.
უვალ შემთხვევაში
ერთ-ერთი ამ ელემენტ-
თაგანი გერბში უხაო-
შოდ უნდა იყოს.

კოტე მაგაშვილი

გისა და ამირანისა ისტორიულ პერსპექტივაში, ჰერალდიკითან არა მაქვს ისეთი მჭიდრო კავ-
შირი, რომ მხატვრის ავტორიტეტით აღვიჩურვო
და გიმტკიცოთ კილოთი უცოდველისა ამა თუ
იმ სურათის ავტორი გირგი აზრი, როგორც ჩვეუ-
ლებრივი, თქვენისთანა, უბრალო მოკვდავისა.
მე აქ არ შევუდგები გერბის მნიშვნელობის და
მის ფილოსოფიის გამოკვლევას. საკმარისია
აღვნიშნო, რომ გერბში ზოგი ექვს სიმბოლოს
ერის სულის მისწრაფებისა, იდეალს, ზოგი მის საუკეთესო ტრადიციისა, ზოგი კი მის მცველსა
და მფარველს. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი
ამ ელემენტთაგანი გერბში უსაოურდ უნდა
იყოს. შევუდგეთ ეხლა იმის გარჩევას თუ ჩვენი
გერბისთვის რომელი სახიერება უფრო შეეც-
ერება – ამირანისა თუ თეთრი გიორგისა.

ამირანი, ეს საზღაპრო გმირი, ნახევარლმერ-
თი ჩვენდამი მოდწეულ გადმოცემით, ქრისტეს
ნათლული, დაჯილდოვებულია ზებუნებრივ
დონით. ამირანს ქრისტემ დაანათლა სიქარე
და სიმარდე გაქანებულის ზვავისა, თორმეტ
უდელა ხარ-კამეჩის დონე და მგლის მუხლი.
ამირანი ებრძვის განუწყვეტელად დევებს ვეშ-
აპებს, ქვეყნაზედ მისი სწორი ფალაფანი არ
მოიპოვება. ბევრ სასახელო და საოცარ გმი-
რობას ჩაიდენს და ბოლოს იქამდინ გაკად-
ნიერდება, რომ თვით თავის ნათლიასთან,
ქრისტესთან ჭიდაობას მოინდომებს. ამ გულზ-
ვიადობისთვის იგი ისჯება: მას კლდეზე მი-
აჯაჭვავენ. სვანური გადმოცემა ამირანის დანა-
შაულზედ უფრო მკაცრია: თავის სიცოცხლეში
ამირანმა დმერთს ბევრი აწყენინა, მაგალითად,
სამჯერ უარპყო ქრისტეს თავდებობა და ამგ-
ვარი ქცევისათვის ღმერომა დასაჯა იგიო. აი,
ასე ვსოქვათ, ჩონჩხი უმთავრეს გადმოცემათა
ამირანის შესახებ. დასაშვებია ის აზრი, რომ
ამ გადმოცემაში წინანდელი წარმართული
წარმოდგენა ამირანზე შეცვლილია შემდეგ ში
ქრისტიანობის ზეგავლენით. მაგრამ ერთი
რამ ეჭვს გარეშეა, რომ ხალხი თუმც დიდი

თაყვანისმცემელია ამირანისა, თუმცა მის სულისკვეთებას და ტანჯვას თანაუგრძნობს და მოსურნეა იმის განთავისუფლებისა, მაგრამ მის დანაშაულზე გარკვეული აზრისაა: ამირანის ღმერთოან შეჯიბრება მას სასახელოდ არ მიაჩნია, პირიქით, იგი მას პგმობს. კარგია ეს თუ ავია, ჩვენის თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში ხალხის ამგვარ შეხედულებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს უნდა გვქონდეს ჩვენ მხედველობაში.

(თეორი გიორგი) ცხოვრების ფარგალები რჩევას აძლევს, აფრთხილებს და იყარავს არამც თუ მავნე სულებისაგან, არამედ ჩშირად განრისხებულ ღმერთის და წმინდანების შურისძიებებისაგან. იგი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის და ამ შუამავლობაში მას აშკარად უჭირავს ადამიანის, ნამეტურ დაბუჩვებულ გლეხის მხარე. გიორგი სპეტაკი რაინდია, რომელიც განუწვებლად ებრძვის ხალხის ყოველგვარ შემხუთველ პირობებს, რომელიც პყენს თავის გარშემო სადაც კი გამოჩნდება მზის სხივებს და კმაყოფილებას, თუ მაღალმა სასულიერო კასტამ, ასე ვთქვაო, სასულიერო არისტოკრატიამ გამოიგონა ღმერთი ხან შურის მაძიებელი, უბრალო რამესოვის სასტიკად დამსჯელი და მწყალობელი მხოლოდ მართალთათვის. მდაბიო ხალხმა, დემოსმა თავის მხრივ გამოიგონა თავისი მცარველი, კეთილი, ნათელი, ქვრივობლების შემბრალებელი, ჭირში და ლხინში მასთან მყოფი. ამით აიხსნება ის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც უკმევს გიორგის ქართველობა ყველა ტომნი; განურჩევლად სარწმუნოებისა თეორ გიორგის თაყვანს სცემენ როგორც ქრისტიანები, აგრეთვე მაჟადიანებიც. ამგვარად თეორი გიორგი როგორც ხალხის გულიდან წარმოშობილი სახიერება ჰკარგავს თავის ინდივიდუალურ თვისებებს და თვის ხალხის განსახიერებად ხდება. იგი შედის ქართველის სისხლხორცში, ქართველი უგიორგოდ წარმოუდგენელია და ამიტომაც სამართლიანად ეძახიან უცხოელნი საქართველოს Georgia, გიორგის ქვეყნად. და მათ ძლიერ გაუკვირდებათ თუ დამოუკიდებელ

მდაბიო ხალხმა, დემოსმა თავის მხრივ გამოიგონა თავისი მცარველი, ქვრივობლების შემბრალებელი, ჭირში და ლხინში მასთან მყოფი. ამით აიხსნება ის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც უკმევს გიორგის ქართველობა ყველა ტომნი; განურჩევლად სარწმუნოებისა თეორ გიორგის თაყვანს სცემენ როგორც ქრისტიანები, აგრეთვე მაჟადიანებიც. ამგვარად თეორი გიორგი როგორც ხალხის გულიდან წარმოშობილი სახიერება ჰკარგავს თავის ინდივიდუალურ თვისებებს და თვის ხალხის განსახიერებად ხდება. იგი შედის ქართველის სისხლხორცში, ქართველი უგიორგოდ წარმოუდგენელია და ამიტომაც სამართლიანად ეძახიან უცხოელნი საქართველოს Georgia, გიორგის ქვეყნად. და მათ ძლიერ გაუკვირდებათ თუ დამოუკიდებელ

კოტე მაკაშვილი

ბევრი რამის
ახალის და კარ-
გის გამოვთხება
შეიძლება, მაგრამ ეს
იმას აღნიშნავა, რომ
ჩვენ, როგორც ხალხს
არავითარი დამაზანი და
ძლიერი ტრადიცია არ
მოგვეყოდია და საჯა-
ვო ძირულას თვლის
ძებნაში დაგეარვეთ
მარგალიტი.

კოტე მაფა შეიძლო

საქართველოს გერბზედ არ იქნება გამოსახუ-
ლი ეს საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ
ხალხის თვისებებისა, ბოროტების და ჩაგვრის
წინაამდეგ ამხედრებული, თეორი რაინდი, სან-
ატრელი გმირი და საქართველოს მომავლის
ნათელი გზის გამკაფავი.

კიდევ ვიმეორებთ, რომ თეორი გიორგი არ
არის საეკლესიო წმინდანი ამ სიტყვის ჩვეუ-
ლებრივი შინაარსით. იგი გააქრისტიანეს და
ჩვენი საქმე არის აღვადგინოთ მისი პირვან-
დელი სახე, მოვაშოროთ წმინდანის ატრიბუტები
და დავსახოთ იმათ, რითაც ის იყო უცხოვარ
დროიდან და არის დდესაც ხალხის, საქართ-
ველოს გამომხატველად. ამ ერთი საუკუნის
წინ ჩვენ დავპარგეთ საქართველო, დავკარგეთ
მისი გამომსახველიც. დღეს ჩვენ საქართველო
აღვადგინეთ და მაშასადამე უნდა აღვადგინოთ
ჩვენი თეორი რაინდი და ამით ვამცნოთ ქვეყა-
ნას, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო
დღეს კი არ დაიბადა, არამედ მძიმე მონობის
შემდეგ კვლავ განაგრძობს თავის არსებობას
თავის ძველ და მძლავრ მფარველოთან ერთად.
ჩვენ აღვადგინეთ საქართველო, მაშასადამე აღ-
ვადგინოთ მისი მეორე სახე – თეორი გიორგი!

კომისიის პროექტით თეორი გიორგისთან
ერთად უნდა იყოს გამოსახული შვიდი მნათო-
ბი. შვიდი მნათობი, რომელიც გამოსახული იყო
ძველად დროშებზედ და ზოგიერთ სახელმწიფო
რეგალიებზედ, სიმბოლოა საქართველოს გერ-
თიანების, მთლიანობისა. ძველთა წარმოდგენ-
ით ქართველი ერი შედგებოდა შვიდი თემისა-
გან. შესაძლოა რომ შვიდი მნათობი ნიშნავდა
საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, სამთავ-
როებს. ყოველ შემთხვევაში სიმბოლო ლამა-
ზია და თავისი პოლიტიკური მნიშვნელობაც
აქვს. ერთი მნათობითაგან მოვარის გამოსახ-
ულება თეორ გიორგისთან ერთად სიმბოლუ-
რად აღნიშნავს სამაჲმადიანო და საქრისტიანო
საქართველოს მმურ განწყობილებას. არაფერს
ვიტყვი იმაზედ, თუ რატომ ახალს რამეს არ
გამოვიგონებო ემბლემად. ოცნებას საზღვარი
არა აქვს. ბევრი რამის ახალის და კარგის
გამოგონება შეიძლება, მაგრამ ეს იმას აღნიშ-

ნავდა, რომ ჩვენ, როგორც ხალხს არავითარი ლამაზი და ძლიერი ტრადიცია არ მოგვყოლია და საეჭვო ძვირფას თვლის ძებნაში დაგვარგეთ მარგალიტი.

ვსტოვებ კათედრას სრულიად დარწმუნებული, რომ საქართველოს პირველი პარლამენტი, დემოკრატიის მიერ შექმნილი, მხარს დაუჭერს ქართველ დემოსის სანატორედ რაინდს თეორიულგიოს და სახელმწიფო გერბზედ დაგვანახვებს მის საყვარელ სახეს.

* * *


საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო დროშის და გერბის შეცვლასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ განხილული იქნეს ის წერილობითი და ვიზუალური ისტორიული წყაროები, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ გაერთიანებული საქართველოს ისტორიული დროშა. ამ დროშის ფერის განსაზღვრას შემდეგი წაყაროები იძლევა:

— სვეტიცხოვლის ტაძრის (XI ს.) სამხრეთი კედლის ფრესკაზე გამოსახული იალქნიანი გემის ყველაზე საპატიო ადგილას თეორიული ფერის ალამი ფრიალებს.

— თამარ მეფის ისტორიკოსის (XII ს.) გადმოცემით სახელმწიფო „დროშა სვიანად მოხმარებული, ბაგრატონული და უფროსდა გორგასლიანური“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდებოთი“, ქ.ც. ტ. II, თბ. 1959წ. გვ. 68), „სინდელის შესლევითან მოსპეტაკდებოდა“ (იქვე, გვ. 71). სულხან-საბა თობელიანის განმარტებით სპეტაკი — თეორი ფერია.

— XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობით („სივნიერის ისტორია“) ქართველ მეფეებს პქონდათ „თეორი ალამი წითელ დროშაზე (ბუნებები“ (სარა ბარნაველი. „ქართული დროშები“, თბ. 1953წ. გვ. 16).

— ”გარიგება ხელმწიფის კარისას“ (XIV ს.) ტექსტში გვითხულობთ, რომ სახელმწიფო ზარდახანში სხვა საბრძოლო იარაღებთან



ელდერ
შენგვლაიას
სიტუა
სახელმწიფო
სიმბოლიკის
კომისიის
სხდომაზე
1997 წლის
23 იანვარი

ის, რომ ქართული სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა იყო ბაგრატ III-დან მოყოლებული ქვეყნის სამეფო-სამთავროებად (XVს.) და შლამდევ, ქვებს არ იწვევს. თეთრი ფერის დროშას რომ შემდეგაც განსაკუთრებული, საპატიო ადგილი ეკაგა ქართულ დროშებში, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებში მეწინავე სადროშოები თეთრი ქსოვილი იყო, ბაგრატიონისად ჩანს, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებში მეწინავე სადროშოები თეთრი ქსოვილი იყო, გ.ი. ქართველები მტერს პირველად თეთრი დროშებით ხვდებოდნენ (საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ობ.1991წ. თ.კიკნაძის რედაქციით).

— კატალოგნიელი ბერის მიერ 1375 წელს პარიზში გამოცემულ მსოფლიო ატლასში (გამოსცა კ.ა. ივანოვმა, მოსკ. 1971წ.) შეტანილია ქართული დროშებიც — თეთრ ქსოვილზე ხუთი წითელი ჯვრით. ჯვრების კონფიგურაცია იმეორებს იერუსალიმის ჯვარს. 1367 წლის იტალიურ რუკაზე, რომლის ავტორები ფრანცისკო და დომენიკო პიციგანები არიან, აღნიშნულია ქალაქი თბილისი სამკრძანი ციხე-სიმაგრით, რომლის თავზეც თეთრი ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს (გამოსცა ფ.ბრუნმა, თდესა 1872წ.).

როგორც ვხედავთ, ქართულ სახელმწიფო დროშას (თეთრ ქსოვილზე ხუთი წითელი ჯვრით) ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო მეზობელი ქვეყნებისათვის, არამედ უკრაპაშიც. დროშაზე გამოსახული ხუთი ჯვარი იერუსალიმის ცნობილი ჯვრის კომპოზიციას იმეორებს. იქიდან გამომდინარე, რომ ქართველები ამ დროშის ქვეშ იბრძოდნენ ჯვაროსნულ ომებში, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო იერუსალიმთან; ასევე ქართველი მეფები, ბაგრატიონები, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას ბიბლიურ მეფეებს დაგითხა და სოლომონს უკავშირებდნენ, ბუნებრივია, ასეთი დროშის ტარგების უფლებაც პქონდათ.

კლდარ შენგელაძა

ერთად ინახებოდა “დიდი დროშა, დაბარჩამნი თრნი თავგადაჭერილნი ერთი თეთრი და ერთი შავი” (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ობ.1965წ. ი.დოლიძის რედაქციით, გვ.87).

ის, რომ ქართული სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა იყო, ბაგრატ III-დან მოყოლებული ქვეყნის სამეფო-სამთავროებად (XVს.) დაშლამდევ, ეჭვს არ იწვევს. თეთრი ფერის დროშას რომ შემდეგაც განსაკუთრებული, საპატიო ადგილი ეკაგა ქართულ დროშებში, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებში მეწინავე სადროშოები, შესაბამისად საბარათიანოსა და ქიზიყის დროშები თეთრი ქსოვილი იყო, გ.ი. ქართველები მტერს პირველად თეთრი დროშებით ხვდებოდნენ (საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ობ.1991წ. თ.კიკნაძის რედაქციით).

— კატალოგნიელი ბერის მიერ 1375 წელს პარიზში გამოცემულ მსოფლიო ატლასში (გამოსცა კ.ა. ივანოვმა, მოსკ. 1971წ.) შეტანილია ქართული დროშებიც — თეთრ ქსოვილზე ხუთი წითელი ჯვრით. ჯვრების კონფიგურაცია იმეორებს იერუსალიმის ჯვარს. 1367 წლის იტალიურ რუკაზე, რომლის ავტორები ფრანცისკო და დომენიკო პიციგანები არიან, აღნიშნულია ქალაქი თბილისი სამკრძანი ციხე-სიმაგრით, რომლის თავზეც თეთრი ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს (გამოსცა ფ.ბრუნმა, თდესა 1872წ.).

როგორც ვხედავთ, ქართულ სახელმწიფო დროშას (თეთრ ქსოვილზე ხუთი წითელი ჯვრით) ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო მეზობელი ქვეყნებისათვის, არამედ უკრაპაშიც. დროშაზე გამოსახული ხუთი ჯვარი იერუსალიმის ცნობილი ჯვრის კომპოზიციას იმეორებს. იქიდან გამომდინარე, რომ ქართველები ამ დროშის ქვეშ იბრძოდნენ ჯვაროსნულ ომებში, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო იერუსალიმთან; ასევე ქართველი მეფები, ბაგრატიონები, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას ბიბლიურ მეფეებს დაგითხა და სოლომონს უკავშირებდნენ, ბუნებრივია, ასეთი დროშის ტარგების უფლებაც პქონდათ.

რაც შეეხება საქართველოს სახელმიწოდებლის გერბს, იგი XVII ს-დან არის ცნობილი. 1672 წელს რუსეთში გამოცემულ “დიდ სახელმიწოდებლის წიგნში” შეტანილია საქართველოს სახელმიწოდებლის გერბები. 1900 წელს პ.პ. ფონ ვინკლერის მიერ სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში, რუსეთის იმპერიის სამიწაწყლო გერბებზე, განხილულია რუსეთის ძველი ბეჭდებიც. პეტრე I დიდის 1698 წლის სახელმიწოდებლის ბეჭდებზე ამოტვიფრულია ქართული გერბები, ხოლო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის დროიდან მოყოლებული, ქართული გერბები შეტანილია რუსულ სახელმიწოდებლის “გერბოვნიკებში”. ამ გერბების განხილვისას ირკვევა, რომ საქართველოს სახელმიწოდებლის მთავარი ფიგურა ყოველთვის წმ. გიორგია. იგივე შეიძლება ითქვას მ. ვალდებოლსკის წიგნში “ქართული პერალდიკური სიმბოლიკა” (ობ. 1980წ.) – მოცემულ ქართულ სახელმიწოდებლებზე. წმ. გიორგის ემბლემური გამოსახულება საქართველოში XII ს-დან არის ცნობილი. იგი, როგორც საქართველოს მფარველი წმიდანი, ამოტვიფრული იყო მეფე გიორგი III-ის (1156-1184წ.წ.) ბეჭდებზე (სარაბარნაველი. “საქართველოს საბეჭდაოები და სხვა გლიპტიკური მასალები”, ობ. 1965წ.).

რა ფიგურები იქნება გამოყენებული ახალქართულ სახელმიწოდებლის გერბზე, ეს პროფესიონალების საერთო გადასაწყვეტია. ხოლო, რაც შეეხება თვით გერბის აგების წესს, იგი დამყარებული უნდა იყოს ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი ტრადიციული გერბების მკაცრად განსაზღვრულ პერალდიკურ კანონებზე. ასევე გერბში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის წარსული და სახელმიწოდებლის დღევანდველი ორიენტაცია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთსეთისადმი.

და ბოლოს, ის გარემოება, რომ ჩვენი XXVI საუკუნოვანი სახელმიწოდებრიოების მქონე ქვეყანა უფლებამოსილია საკუთარი ისტორიული დროშა და გერბი აღადგინოს, თუნდაც სახელველილი, გამართლებულად მიმაჩნია. იმიტომ რომ ყოფილი სოციალისტური სივრცის წარმომადგენელმა რესპუბლიკური წყობის ქვეყნებმა

გერბის აგების
წესი დამყარებული
უნდა იყოს ევროპაში
საყოველთაოდ ცნობი-
ლი ტრადიციული გერ-
ბების მკაცრად განხაზ-
ღვლულ პერალდიკურ
კანონებზე.

ის გარემოება, რომ
ჩვენი XXVI საუკუნო-
ვანი სახელმიწოდე-
ბრიობის მქონე ქვეყ-
ანი უფლებამოსილია
საკუთარი ისტორიული
დროშა და გერბი აღ-
ადგინოს, თუნდაც სახ-
ელველილი, გამართლებუ-
ლად მიმაჩნია.

კლდარ შენგელაია

(შუა აზის ქვეყნების გამოკლებით) საკუთარი
ისტორიულ-ტრადიციული სახელმწიფო სიმ-
ბოლიკა – დროშა და გერბი დაიბრუნეს.

* * *

ელდერ
შენგელაია
სიტევა
პარლამენტის
სხდომათა
დარბაზში
1999 წლის
9 ივნისი

სიტყვა “გერბი” (პოლონურად Herb; გერ-
მანულად erbe) ნიშნავს “მემკვიდრეობას”.
გერბი გადმოსცემს მემკვიდრეობას, სხვადასხ-
ვა თაობებს შორის კავშირს. ასეთი მიღებმა
კრელდება სახელმწიფო ატრიბუტიკის სხვა
ელემენტებზე დროშაზე და ჰიმნზე.

ქართული ისტორიული სახელმწიფო
ატრიბუტიკის დაბადება და შექმნა სისხლხორ-
ცეულდად დაკავშირებულია ქრისტიანულ რწმუ-
ნასთან.

აღსანიშნავია რომ, განსაკუთრებული რო-
ლი ქართულ სახელმწიფო ატრიბუტიკის ჩამოყ-
ალიბებაში ითამაშა წმინდა გიორგის კულტმა.

ქრისტიანულ სამყაროში არ მოიძებნება
წმინდანი, მოწამე, რომელიც თავისი პოპულა-
რობით წმინდა გიორგის შეედრებიდეს. საფ-
ოველთაოდ წმინდა გიორგი მიწნეულია ადამი-
ანის მფარველად, ყოველგვარი ბოროტებისა
და უბედურებისაგან მხსნელად. წმინდა გიორ-
გის სიკვდილი და აღდგომა ისესნიენა მაპმადი-
ანთა წმინდა წიგნის, ყურანის კომენტარებშიც
და სხვა რელიგიურ მუსულმანურ წყაროებში.

განსაკუთრებით პოპულარულია წმინდა
გიორგი ჩვენში, საქართველოში. ამ მხრივ მას
ალბათ ვერც ერთი ქრისტიანული ქვეყანა ვერ
შეედრება. დასავლეთის ერთ-ერთ ისტორიულ
წყაროში ნათქვამია: “ამ ხალხს Georgian-ებს
უწოდებენ, რადგანაც ეთაყვანებიან წმინდა
გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედრო-
შედ მიაჩნიათ”

წმინდა გიორგის კულტის საქართველოში
გავრცელება VI საუკუნის მომდევნო პერიოდს
ეპუთვნის, როცა გიორგის წამების ბიზანტი-
ური ოხულებები თარგმნეს ქართულად. ამ
დროიდან გიორგის სახელი მკვიდრდება ქართ-
ველ მეფეთა სახელების სიებში. თეთრ ცხენზე

ამხედრებული წმინდა გიორგი, სიმართლისა და გამარჯვების სიმბოლო, ქართველი კაცის იდეალის გამოხატულებად იქცა. არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. არც თუ ძალზე გადაჭარბებულია ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები, რომ “არა არიან ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეპლუ-სიანი წმინდისა გიორგისანიო”. ფაქტია, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ “თიოქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა”.

ყოველწლიურად ტარდებოდა და ტარდება წმ. გიორგის ხსენების დღეს, 23 ნოემბერს და სხვა დღეებშიც საეკლესიო და სახალხო დღესასწაულები. წმინდა გიორგის ცხოვრების, სასწაულების, წამების ფრესკული გამოსახულებები ამშვენებს მრავალი ქართული ეპლუ-სის კედლებს. წმ. გიორგის ხატება აგრეთვე ამშვენებს ოქროვერცხლით მოჭედილ უნიკალურ ხატებს და ჯვრებს.

უძველესი დროიდან დაწყებული სულ ბოლო ხანებამდე გრძელდებოდა წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ლიტერატურული თხზულებების შექმნა. წმინდა გიორგის ცხოვრება, წამება და აღდგომა ასახულია ქართულ წერილობით წყაროებში და ზეპირსიტყვიერებაში, სადაც ბიზანტიური წყაროებიდან მომდინარე მისი სასწაულები შეცვლილია აღგილობრივ სასწაულებით, ქართულად არის გადაკეთებული დენის ტოპონიმები, ადამიანთა ქართული სახელები ცვლიან დენისეულ სახელებს, გადმოცემულია აღგილობრივი ყოფა. თვით ქართველებსაც შეუქმნიათ წმ. გიორგის შესახებ ორიგინალური პოეტური და პროზაული თხზულებები.

ზემოდ თქმულის შემდეგ რა გასაკვირია, რომ შეა საუკუნეების ეკროპულ თუ სხვა ქვეყნების ლიტერატურულ და სხვა დოკუმენტურ წყაროებში საქართველო ასახულია როგორც წმინდა გიორგის ქვეყანა. სახელწოდება ჯორჯია, ჟორჟია, გიორგიენ და სხვა

არა არიან ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანიო”. ფაქტია, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ “თიოქმის ყველა უმთავრესი ეკლესი და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის ხატების სახელობაზეა.

ვახუშტი ბაგრატიონი

დიდგორის ბრძოლაში “წმიდა მოწამე გორგი განცხადებული და ყოველთვის სახილებული წინაურ-დოდა მას (ქართველთა ლაშქარს) და მკლავითა თვისითა მოხვრიდა ზემოწევებულთა უსჯულოთა მათ წარმართა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს“.

“ქართლის ცხოვრება“

დღემდე წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას. საქართველოს სახელწოდების ასეთ განსაზღვრაში უთუდ განსაკუთრებული როლი შეასრულა პერალდიკამ.

წმინდა გიორგი რომის წარჩინებული გვარის მოქალაქე იყო. წარჩინებული გვარის წარმომადგენელი გამოწყობილი იყვნენ თეორიული მოგებები (წარმოსასხამებში), რომელთა ქვედანაწილი მორთული იყო წითელი ზოლით. ასეთ ტოვას ატარებდა წმინდა გიორგიც და სწორედ ამ ორი ფერიდან შეიქმნა წმინდა გიორგის სიმბოლო – წითელი ჯვარი თეორ მინდორზე. წმინდა გიორგის, თეორ მინდორზე წითელი ჯვრის გამოსახულება შეითვისა ჯერ იკონოგრაფიამ, შემდეგ კი გაგრცელდა პერალდიკაში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ნათქვამია:

“წმინდა გიორგი გწყალობდეს
სახე მაგისი ჯვარია...”

სწორედ ეს პერალდიკური ნიშანი – წითელი ჯვარი დატანებული თეორ მინდორზე აირჩია შეა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო თავის მთავარ სიმბოლოდ და ამ სიმბოლოთი წარსდგა მსოფლიოს წინაშე, ამას მოწმობენ ლიტერატურული, კარტოგრაფიული და სხვა წყაროები.

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დიდგორის ბრძოლაში “წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილებულად წინაურდოდა მას (ქართველთა ლაშქარს) და მკლავითა თვისითა მოსვრიდა ზედმოწევებულთა უსჯულოთა მათ წარმართოა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს“. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დიდგორის ომში ქართველებს წინ უძლოდათ წმ. გიორგის დროშა. ამ ცნობას ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი საკრალური ცნობიერებით განიხილავდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებოთ იმ გარემოებას, რომ ლაშქარს წინ მუდამ დღროშა მიუძღვდა, მაშინ მივხდებით, რომ აღნიშნულ ადგილზე სწორედ წმ. გიორგის დროშაზეა ლაპარაკი.

აღნიშნულ მოსახრებას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ XI-XII საუკუნის ლათინი ის-

ტორიკოსი გოტიე თავის “ანტიოქიის ომებში” დიდგორის ომის აღწერისას “წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილ“ ქართველთა ლაშქარს იხსენიებს.

1180 წ. შავ დე ვიტრი, იერუსალიმის ლათინი პატრიარქი წერს: “აღმოსავლეთში არის აგრეთვე კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდი მებრძოლი, ომში მამაცი, ტანად ძალოვანი და ძლევამოსილია, პყავს ურიცხვი მეორმარი, შიშის ზარს სცემს სარკინოზებს, თავდასხმებით ხშირად ზიანს აყენებს საპარსელებს, მედიელებს და ასირიელებს, რომელთა საზღვრებზეც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული. ამ ხალხს Georgian-ებს (ქართველებს) უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა და ეთაყვანება წმინდა გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნია ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს სცემს ყველა სხვა წმინდანზე მეტად. წმინდა ქალაქში დროშებაშლილი შემოდიან.”

ქართველები რომ ბრძოლის დროს წმ. გიორგის შესთხოვდნენ შემწეობას, დასტურდება გიორგი მესამის (1156-1184 წ.წ.) სახელმწიფო ბეჭდის ლეგენდიდან: “წმიდაო გიორგი, მმოსავი შენი გიორგი ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა“. თავად ბეჭდის გამოსახულებაც წმ. გიორგის სრულ ფიგურას წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილი ამ ოქრობეჭდეს “დიდ სასიგელე ბეჭედს“ უწოდებს.

თამარ მეფის ისტორიკოსის თანახმად, სახელმწიფო “დროშა სვიანად მოხმარებული, ბაგრატიანური და უფროსდა გორგასლიანური.. სინდეთს შესვლითგან მოსპერაკდებოდა“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით “სპეტაკ“ თეორი ფერია.

მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობით: “...განწევებულ იყო მეფესა (ქართველთა) ქონებად თეორისა ალმისა და წითლისა ნიშნისა..“. სომხურ ენაში ნიშანი და ჯვარი იდენტური ცნებებია.

საარქივო მასალების მიხედვით: “მონადოლთა ხანმა ყაზანმა გაილაშქრა თავრიზიდან

“წმიდაო გიორგი, მმოსავი შენი გიორგი ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა“.

გიორგი III-ის ბეჭდის ლუგუნდა

“...განწევებულ იყო მეფესა (ქართველთა) ქონებად თეორისა ალმისა და წითლისა ნიშნისა..“.

ხევანოს ორბელიანი, XIII საუკუნე

“1300 წელს იერუსალიმის ქრისტიანებმა შეძლეს კდლებასწაულათ აღდგომა. ყაზანმა თავის ძმას ხირია მიხცა, ხოლო ქართველებს – იერუსალიმით”.

ოქტავ გაიფანელი XIV საუკუნე

“არის კიდევ ერთი ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები, რომლის სამეფოც კასპიის მოქამდებ გადაჭიმულია. ეს მამაცი და მძღვრი მოდგმაა. პეტერ რაინდები და მრავალი მეომარი

— ომის დროს... მათ Georgian-ებს (ქართველებს) უწოდებენ, გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ. ბერი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთას მთას და ნაბრალს, ხადაც ჯვარი იდგა...”

ხოლმის გრაფი იოანი

1483 წელი

ეგვიპტელთა წინააღმდეგ 1299 წ.”. “ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ”.

1300 წ. ოქტავ ეპიფანელი აღნიშნავს: “1300 წელს იერუსალიმის ქრისტიანებმა შეძლეს ედდესასწაულათ ადდგომა. ყაზანმა თავის ძმას სირია მისცა, ხოლო ქართველებს – იერუსალიმი”.

ივანე ჯავახიშვილი მოგვაწოდებს ცნობას რომ, პოლონელი მოგზაური კოტოვიჩი, რომელსაც იერუსალიმში გიორგი V ბრწყინვალის (1314-1346 წ.წ.) მხედრობა უხილავს, პირდაპირ ასახელებს ქართველთა წმ. გიორგის დროშას.

1483 წ. იოანი, ხოლმის გრაფი მიუთითებს: “არის კიდევ ერთი ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები, რომლის სამეფოც კასპიის მოქამდებ გადაჭიმულია. ეს მამაცი და მძღვრი მოდგმაა. პეტერ რაინდები და მრავალი მეომარი — ომის დროს... მათ Georgian-ებს (ქართველებს) უწოდებენ, გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთას მთას და ნაბრალს, სადაც ჯვარი იდგა...”

ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილია, რომ ქართველი მეფეები ბაგრატიონები საკუთარ წარმომავლობას ბიბლიურ დავით და სოლომონ მეფეებს უკავშირებენ. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი მათი სწრაფვა წმინდა ქალაქისაკენ.

X საუკუნის ბოლოს დავით III კურაპალატმა, იერუსალიმის მიმართულებით აქტიური მოძრაობა დაიწყო.

XI საუკუნის ცნობით: “1050 წ. გოლგოთას ნაწილი მიიღო ქართველთა მეფემ ბაგრატ კურაპალატმა, რომელმაც იქ ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა”.

“ქართლის ცხოვრებისა” და “ძეგლი ერისთავთას” მიხედვით გიორგი V ბრწყინვალებ “კლიტენი იერუსალიმისანი” მიიღო. არაბი მემატიანების თქმით, გიორგი V ბრწყინვალე “... რაინდთა სამწევოს დამცველისა, წინაპარო ტახტ-გვირგვინის მემკვიდრისა... ქრისტიანობის

განმტკიცებლისა, იქსოს სარწმუნოების შემწისა, საქრისტიანოს გმირთა მკურთხველისა, ოავის განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა... რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მე- გობრისა...” მეცე იყო.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს გამაფ- რთიანებელი მეცეს გიორგი V ბრწყინვალეს ცხოვრება და მოღვაწეობა (1314-1346 წ.წ.), ან- ჯელინო დულჩერის რუკა (1339) და მეტი პიციგანების რუკა (1365) ისტორიის ერთ მონ- აკვეთს ეკუთვნის. სწორედ ამ რუკებზე გამოსახ- ულია საქართველო, ხოლო მისი დედაქალაქის თბილისის თავზე გამოხატულ თეორ დროშაზე გამოსახული არის მართკუთხა წითელი ჯვარი – წმ. გიორგის სიმბოლო, კუთხებში მოხილ- ივტივტივე პატარა ჯვრით. აღნიშნულ რუკე- ბზე ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილ- იეთ აფრიკის, კავკასიის იმ დროს არსებული ყველა სახელმწიფო არის გამოხატული. მათ ტერიტორიაზე აღნიშნულია მნიშვნელოვანი ქალაქები და დედაქალაქები, რომელთა თავზე სახელმწიფო დროშებია გამოხატული. მათ შორის საქართველოც, თბილისის თავზე კი მოჩანს ჩვენს მიერ აღწერილი დროშა, რომელ- იც არიგინალობით აღინიშნება და არცერთი სახელმწიფოს დროშას არ წააგავს. XVI საუ- კუნები ქართლის მეცე გიორგი (1525-1534 წ.წ.), იმერეთის მეცე ბაგრატი (1510-1565 წ.წ.) და მეცე კახეთისა დევანი (1520-1574 წ.წ.) ერთობლივად იღაშქრებენ იერუსალიმს: “...მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლეჟი, ჯუარის მონ- ასტერი და სხუანი მონასტერი ყოველნივე ხონიქარმან მათ სიგელითა მტკიცითა. ხოლო განიხარა მეცემან გიორგი და ბატონმან ბაგრატ და ლევან, და წარმოვიდნენ თვისსა ადგილსა და მოვიდნენ მშვიდობით გამარჯვებ- ული და განიხარეს”

XVI საუკუნეში
“მოსცა ქრისტეს ხა-
ულავი, გოლგოთა,
ბეთლეჟი, ჯუარის
მონასტერი და სხუანი
მონასტერი ყოველ-
ნივე ხონიქარმან მათ
ხილითა მტკიცითა.
ხოლო განიხარა მეცე-
მან გიორგი და ბატონ-
მან ბაგრატ და ლევან,
და წარმოვიდნენ თვისსა
ადგილსა და მოვიდნენ
მშვიდობით გამარჯვებ-
ული და განიხარეს”

“ქართლის ცხოვრება”.

გრიგოლ ფერაძე ასკვნის: “პალესტი- ნაში ჯგაროსანთა ჭეშმარიტი მეტკვიდრეები ქართველები იყვნენ, მითუმეტეს, რომ XIV-XV საუკუნეებში წმინდა ქალაქის გასაღებები ქართველთა მეცენების ხელშია”.

დღევანდელი საქართველო სწორედ ქართ-

რადგანაც ბაგრა-
ტიონები საქართველოს
მეფები – უზენაესი
შპართველები იყვნენ,
მათი საგვარეულო

გერბი – საქართველოს
სახელმწიფო გერბიც
იყო.

დღეს კი, ისტო-
რიულ ტრადიციაზე

დაყრდნობით, ჩვენ უნდა
გამოიყენოთ ბაგრა-
ტიონთა გერბი და შევი-
ტანოთ მასში ზოგიერ-
თო სახეცვლილება.

კლდარ შეგვლაია

ველი ერის ზეობის წლების სამართალმემკვი-
დრედ მიგვაჩნია, რაც უმთავრესად სახელმწიფო
ატრიბუტიკაში უნდა აისახოს. სწორედ ამიტომ
გვმართებს სახელმწიფო დროშად ადგადგინოთ
დროშა “გორგასლიან-დავითიანი”.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო
ისტორიულ გერბს, იგი XVII საუკუნიდან არის
ცნობილი. ეს გახდავთ ბაგრატიონთა საგვა-
რეულო გერბი ”კვართიან-დავითიანი”, რომელ-
იც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო გერბიც იყო.

თუ ადგადგენო ისტორიულ გერბს, აუცილე-
ბელი იქნება მისი ტრანსფორმირება. კერძოდ,
ფარის სეგმენტებში იმ სიმბოლოთა შეცვლა,
რომლებშიც ბაგრატიონთა ბიბლიური და-
ვითისაგან წარმომავლობა არის აღნიშნული.
საქმე ის გახდავთა, რომ ეს გერბი უპირველე-
სად იყო და ეხლაც არის ბაგრატიონთა საგ-
ვარეულო გერბი. მაგრამ, რადგანაც ბაგრა-
ტიონები საქართველოს მეფები – უზენაესი
მმართველები იყვნენ, მათი საგვარეულო გერბი
– საქართველოს სახელმწიფო გერბიც იყო. თუ
ჩვენ ადგადგენო ამ გერბს სახეცვლილების
გარეშე და დავაკანონებო მას, როგორც თანა-
მედროვე საქართველოს სახელმწიფო გერბს,
გამოვა, რომ ჩვენ, კველანი – საქართველოს მო-
ქალაქები, ბიბლიური დავითის შთამომავლები
ვართ, რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. გარდა
ამისა, გამოვა, რომ დღევანდელმა საქართველოს
სახელმწიფომ “წართვა” ბაგრატიონებს საგ-
ვარეულო გერბი. საქართველოში თუ როდისმე
აღდგა მონარქია – ბაგრატიონთა ხელისუ-
ფლება, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი
და აუცილებელიც ბაგრატიონების საგვარეუ-
ლო გერბის აღდგენა და დაკანონება, როგორც
საქართველოს სახელმწიფო გერბის.

დღეს კი, ისტორიულ ტრადიციაზე დაყრდ-
ნობით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ბაგრატიონთა
გერბი და შევიტანოთ მასში, როგორც ზემოთ
ავლიშნეთ, ზოგიერთი სახეცვლილება. გვაქვს
კი ამის უფლება? თამამად შეგვიძლია ვთქვათ,
რომ გვაქვს. პერალდიკაში უამრავია ასეთი
შემთხვევები, მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, რომ
პერალდიკის კანონების შესაბამისად, სულ უმ-

ნიშვნელო – ოუნდაც ერთი შტრიხის შეცვლა არსებულ გერბში, ნიშნავს, რომ შეიქმნა ახალი გერბი. ამისი არ უნდა შეგვეშინდეს. ბაგრატიონთა გერბის საერთო სახე-იერი, მისი შინაარსის ქვაპუთხედი, რომელიც გამოიხატება მაცხოვრის კვართის სიმბოლოთი, წმ. გიორგის ხატით და სხვა სიმბოლოებით, დარჩება უცვლელი. მხოლოდ ზემოთ მითითებული ბაგრატიონთა წარმომავლობის სიმბოლოების მაგივრად ჩაიხატება დღევანდელი გადასახუდიდან გააზრებული ახალი სიმბოლოები.

სამი წლის მუშაობის შედეგად ინტერფრაქციული ჯგუფისათვის უდაოა, რომ სახელმწიფო ატრიბუტიკის სფეროში უნდა ვიაროთ ქართული ჰერალდიკის ტრადიციების კვალდაკვალ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ სიტყვა გერბი შინაარსობრივად ნიშნავს მემკვიდრეობას. სხვა მოსაზრებებთან ერთად სწორედ ამიტომ არის შესაცვლელი დღევანდელი ჩვენი სახელმწიფო ატრიბუტიკა, რომელიც ვერავითარ მემკვიდრეობას ვერ ასახავს და ოუზოგიერთი ელემენტი ჩვენი მემკვიდრეობისა საკმარი ბუნდოვნად არის მინიშნებული დროშაში და გერბში – ეს ვრცელ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. სახელწიფო ატრიბუტიკა მაშინ არის სრულყოფილი, როდესაც მასში გაერთიანებული სიმბოლოები ყველასათვის ნათელია, უკამათო, ადვილად „წასაკითხია“.

სწორედ ამ მიდგომამ განაპირობა ჩვენი პოზიცია: უნდა აღვადგინოთ დროშა „გორგასლიან-დავითიანი“ და გერბის საფუძვლად გარკვეული სახეცვლილებით ავიდოთ გერბი – „კვართიან-დავითიანი“.

გმირული ისტორიული წარსულისადმი ჩვენი ხალხის განსაკუთრებულ მოწიწებასაც თუ გავითვალისწინებო, ამ დროშისა და გერბის აღდგენამ ქვეყნის კონსოლიდაციასაც უნდა შეუწყოს ხელი. მცდარად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკის აღდგენით მოხდება რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის თუ ეთნიკური ჯგუფის იგნორირება. გარანტად ჩვენი ხალხის

სიტყვა გერბი შინაარსობრივად ნიშნავს მემკვიდრეობას.

სახელწიფო
ატრიბუტიკა მაშინ
არის სრულყოფილი,
როდესაც მასში
გაერთიანებული ხით-
ბოლოები ყველასათ-
ვის ნათელია, უკამათო,
ადვილად „წასაკითხია“.

კლდარ შენგელაია

იხტორიული
სახელმწიფო ატრიბუ-
ტიკის აღდგენით
საქვეყნოდ, ნათლად,
საბოლოოდ უნდა
ვამცნოთ ქვეყნიერებას,
საიდან მოგდივართ,
ვინ ვართ, რა ზნეობით
ვაპირებთ ცხოვრებას,
როგორი იხტორიული
წარსული და პოლიტი-
კური თრიუმბაცია გაგ-
ვაჩნია და საით გვაქვს
მტკიცედ გადაწყვეტი-
ლი განვითარება.

კლდარ შენგელაია

ადამ-წესებისა და ტრადიციების გარდა, ამჟა-
მად მოქმედი კონსტიტუცია გვევლინება.

ასეთი არჩევანი სახელმწიფო ატრიბუ-
ტიკაში, რომელშიც ნათლად არის გამოსახული
ქრისტიანული სიმბოლოები, სულაც არ ნიშნავს
ვინმესთან დაპირისპირებას. დიდი დაგითის თუ
სხვა ქართველ მეფეთა დროიდან დღემდე ჩვენი
რწმენა გვიძიგვებდა გვეცხოვრა სხვათა რწ-
მენის პატივისცემით და მიმტევებლობით. ამაზე
მიუთითებს თუნდაც ერთ პატარა მიწის გოჯზე
მართლმადიდებელი ტაძრის, სინაგოგის, მეჩე-
თის, თუ გრიგორიანული ეკლესიის თანაარსე-
ბობა. ეს თანაარსებობა ყოველთვის ჭეშმარი-
ტი ურთიერთობანადგომით იყო გამსჭვალული
და საქართველოს სახელმწიფო გერბისა და
დროშის ქვეშ არსებობდა, რომელზედაც ქრის-
ტიანული სიმბოლოები იყო გამოსახული.

გავიხსენოთ, რომ კარს მომდგარია 21-ე
საუკუნე, 2000 წელი ქრისტეს შობიდან. ჩვე-
ნი წინაპრები სწორედ ამ დროიდან ირჩევენ
ქრისტეს გზას და მთავარ სიმბოლოდ აღიარე-
ბენ ჯვარს. სწორედ ამ არჩევანმა განაპირობა
საქართველოს ისტორია და ჩამოაყალიბა მისი
კულტურა.

დღეს საქართველო დაუბრუნდა თავის
ბუნებრივ მდგრამარეობას და გახდა ევრო-
საბჭოს წევრი. გაწევრიანების პროცესში
არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო უძვე-
ლესი ქრისტიანული ქვეყანაა და რადგან ეს
მართლაც ასეა, ისტორიული სახელმწიფო
ატრიბუტიკის აღდგენით საქვეყნოდ, ნათლად,
საბოლოოდ უნდა ვამცნოთ ქვეყნიერებას, საიდ-
ან მოვდივარო, ვინ ვართ, რა ზნეობით ვაპირებთ
ცხოვრებას, როგორი ისტორიული წარსული და
პოლიტიკური ორიენტაცია გაგვაჩნია და საით
გვაქვს მტკიცედ გადაწყვეტილი განვითარება.

* * *

სულ ბოლო წლებამდე ჩვენ არ ვიცოდით თუ როგორი იყო ფეოდალური ხანის ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა. ეს განპირობებული იყო, ცხადია, სათანადო წყაროთა სიმწირით. ის, რაც იყო ცნობილი ამის შესახებ, ფაქტობრივად შემოიფარგლებოდა იმით, რომ ამ დროშის ალამი უნდა ყოფილიყო თეორი ფერის, ზედ დატანილი წითელი ფერის რაღაც გამოსახულებით.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის რაგვარობის შესახებ კონკრეტული საუბარი, არსებითად, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ვენეციელი ძმების, ფრანცისკო და დომინიკო პიციგანების მიერ 1367 წელს გამოხაზულ საზღვაო კომპასურ რუკაზე ანუ პორტულანზე გამოსახულ ევროპის, ჩრდილო აფრიკის და მახლობელი აღმოსავლეთის ნაწილის მონაკვეთზე ანუ მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს იმ ტერიტორიაზე, რომელიც, პირველ რიგში, ევროპელ ვაჭარ-კომერსანტთა ინტერესების სფეროში შედიოდა, დატანილია კავკასიის რეგიონიც და კერძოდ, საქართველოც თავისი დედაქალაქით, თბილისით.

საქმე ის არის, რომ ზემოხსენებულ რუკაზე საქართველოს (Georgiania) დედაქალაქი (civitas Tifilis) ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ქალაქები, გამოსახულია გალავანშემორტყმული ციხე-კოშკის სახით, რომლის თავზე აღმართულია დროშა. დროშის თეთრ ალამზე დატანილია წითელი ფერის დიდი ჯვარი, რომელიც ალამს ოთხ სექტორად ყოფს, ხოლო თითოეულ სექტორში დამატებით მოთავსებულია წითელი ფერისავე პატარა ჯვარი. ამ კარტოგრაფიული მონაცემის შეთანაპირება ქართულ ისტორიულ წყაროებთან და ნუმიზმატიკურ მასალებთან იძლევა იმის საფუძველს გვემდებინა, რომ 1367 წლის პორტულანზე გამოსახულია ერთიანი საქართველოს მონარქიის სახელმწიფო დროშა (იხ. ჩემი წერილი, ”საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, გაზეთი ”ტფილისის უწყებანი“, №5, 1996; აგრეთვე ”პარლამენტის უწყებანი“, №27-28, 1997).



**დავით
მესხელიშვილის
სიტყვა
პარლამენტის
სხდომათა
დარბაზში
1999 წლის
9 ივნისი**

*XIV საუკუნის
ევროპულ პორტუ-
ლანგებზე მხრდლოდ
საქართველოს
დედაქალაქის, თბილი-
სის თავზე ფრიალებს
თეთრი დროშა შემ-
აქცილ ხუთი წითელი
ჯვრით. გიორგი ძრ-
წყინვალისა და მისი
ძემკვიდრეების დროს,
სწორებ ასეთი იყო
საქართველოს სახელმ-
წიფო დროშა.
დაგით მუხელი შეიძლი*

ამ მოსაზრებამ იმთავითვე კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია ისტორიკოსთა და არა-ისტორიკოსთა მხრივმაგრამ ისინი საბუთიანად იქნა უარყოფილი (იხ. ჩემი წერილი ”ერთიანი საქართველოს სახემწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, გაზეთი ”ლიტერატურული საქართველო“, 13-30 მარტი, 1998), რის შემდეგ კრიტიკოსები პრესაში აღარ გამოჩენილან.

დღეს საშუალება გვაქვს შევამოწმოთ ჩვენი მოსაზრება. საქმე ის გახლავო, ჩვენ ხელთა ხმელთაშუა ზღვის მეორე პორტულანი, რომელზედაც პიციგანების რუკის მსგავსად შავი და კასპიის ზღვების არეალიცაა გამოსახული. იგი შესრულებულია კუნძულ მაიორგაზე 1339 წელს და ხელმიწერილია ვინმე ანჯელინო დელჩერის მიერ.

ევროპის, დასავლეთ აზიის და ჩრდილოეთ აფრიკის კონტინენტები, რომლებიც ამ რუკაზეა გამოსახული, მოფენილია ქალაქების აღმნიშვნელი ვინიეტებით, რომელთა უმეტესობაზე სხვადასხვა ფერის და სხვადასხვაგვარი დროშებია აღმართული. ისინი მიუთითებენ სუვერენულ სახელმწიფოებზე. შავსა და კასპიის ზღვებს შორის არეალზე აღნიშნულია საქართველო (Georgiania) და მისი დედაქალაქი თბილისი (Tifilis), რომლის თავზეც ფრიალებს ჩვენთვის უკვე ცნობილი თეთრი დროშა ხუთი წითელი ჯვრით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უცილობელს ხდის, რომ საქმე გვაქვს ერთიანი საქართველოს დროშის გამოსახულებასთან. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ დუღჩერისა და პიციგანების რუკები სხვადასხვა კარტოგრაფიული ტრადიციების ამსახველია. კერძოდ, დუღჩერის 1339 წლის რუკა კატალონიის ანუ ესპანური კარტოგრაფიული სკოლის ნიმუშია, ხოლო პიციგანების 1367 წლის რუკა – იტალიურისა და ამდენად ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

ამრიგად, XIV საუკუნის ევროპულ პორტულანებზე მხოლოდ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის თავზე ფრიალებს თეთრი დროშა შემცილი ხუთი წითელი ჯვრით. ეს მაძლევს საფუფულს იმის სამტკიცებლად, რომ XIV საუკუნეში, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალისა და მისი მემკვიდრეების დროს, სწორედ ასეთი

იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა. ამას ამოწმებს ამდროინდელი ბიზანტიური ისტორიკოსის, პახიმერის ცნობაც, რომ ქართველების „ჯვრიანი დროშა“ ჰქონდათ.

საკიონხავია, გვაქვს თუ არა საფუძველი ვივარაუდო, რომ იგივე დროშა იგულისხმება ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშად უფრო ადრეც, მაგალითად, თამარ მეფის დროს, როდესაც მან ქართული ლაშქარის ირანში გაგზნის წინ ”მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი, და შეავედრა მასვე ვარძიისა დმრთისმშობელსა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს“. ”სვიან დროშას“ თამარ მეფის ისტორიკოსის გარდა უამთაადმწერელიც იცნობს, რომელიც მას აგრეოვე ”სეფე დროშას“ ანუ სახელმწიფო დროშას უწოდებს. ერთგან იგი, როდესაც მონაბეჭდოთა საქართველოში პირველი, 1220 წლის შემოსევაზე და ქართველთა დამარცხებაზე საუბრობს, ხაზგასმით აღნიშნავს: ”და იქმნა უპუქცევა სუესვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ ვინაოგან მიეცა დმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯვება, აქა უამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არასადა ძლევულ იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა არღარა მიეცა ძლევა თაოთართა ზედა ვიდრე უამთაადმე ჩეუნოა“. ცხადია, ეს მემატიანე აქ სწორედ იმ დროშაზე საუბრობს, რომელზედაც თამარ მეფის ისტორიკოსი მიგვითოვდა.

ჩვენი საკიონხისაოვის ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ უამთაადმწერელი, XIV საუკუნის ისტორიკოსი, გიორგი ბრწყინვალის უმცროსი თანამედროვე, მომსწრე ქვეყნის მონაბეჭდოთაგან თავის დახსნისა და საქართველოს ხელახლი გაერთიანებისა, ეჭვი არ არის, კარგად იცნობდა იმჟამინდელ ქართულ სახელმწიფო დროშას ანუ სწორედ იმ ჯვრიან ალამს, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ამიტომ, როდესაც იგი მოგვითხოვთ, რომ “აქა უამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი“ 1220 წელს პირველად იქნა ძლევული და ამიერიდან ამ დროშას “არღარა

თამარ მეფებ
”მოიღო დროშა სვი-
ანად ხმარებული, გორ-
გასლიანი და დავითიანი,
და შეავედრა მასვე ვარ-
ძიისა დმრთისმშობელ-
სა. დროშა და ლაშქარი
დალოცა და წარავლინა
სპარსეთს“.

„ქართლის ცხოვრება“

მონაცემთა
საქართველოში
პირველი, 1220 წლის
შემოსევისას “და იქნა
შექცვა ხუსკიანისა
ბერისა, მაღლისა და
საჩინოსა დავითიანისა
დროშისა გამარჯვებუ
ლისა, რამეთუ კინათგან
მიეცა დმურთსა დიდ-
ხუსკა და დიდბერისა
დავითისძა გამარჯვებუ
აქს გამამდე ხვიანი
იგი ბრძოლათა შინა
დროშა დავითიანი და
გორგასლიანი გამა-
რჯვებული არასადა
ძლეველი იყო. ხოლო აქ,
ვთარ იქნა ცვალება
ბერისა ქართველთა
ნათესავისა არღარა
მიეცა ძლევა თათართა
ხელი კიდრე ჭამთადმე
ჩეუნთა”.

“ქართლის ცხოვრება”

მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე
ჩეუნთა“-ო, ცხადია, იგი სწორედ მისი დროის
ერთიან საქართველოს, გიორგი ბრწყინვალის
მიერ კვლავ ადგენილს, და მის თანამედროვე
სახელმწიფო დროშას გულისხმობს, რომელიც
გამოსახულია ობილისის თავზე XIV საუკუნის
ეკვრეკულ პორტულანებზე. ეს კი აუცილებლად
მიგვითოთებს, რომ ემთააღმწერელის აზრით,
XIII საუკუნის ოციან წლებშიც იგივე სახელმ-
წიფო დროშა უნდა ჰქონოდა საქართველოს.
არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ
ემთააღმწერელის კომპეტენტურ აზრს და ამ-
დენადვე თავისოვად ნათელია, თამარ მეფის
ისტორიკოსის ზემომოტანილი ტექსტის შემდეგ,
რომ სწორედ ასეთი იყო ეს დროშა თამარის
დროსაც. კიდევ მეტი, ემთააღმწერელის ცნო-
ბით იგულისხმება, რომ სწორედ ასეთი, “მაღალი
და საჩინო დავითიანი დროშა” ჰქონდა “დიდ-
ხუსკა და დიდბერისა დავითს“ აღმაშენებელს.
ამ კონტექსტში ახლებტურ იტერპრეტაციას
იძენს და ჩემი ზემოხსენებული მოსახრების
დამატებითი არგუმენტის ლირებულება აქვს
შესანიშნავი სომეხი ისტორიკოსის, გიორგი ბრ-
წყინვალის უფროსი თანამედროვის, სტეფანოს
ორბელიანის ცნობას. სტეფანოსი, გასომხებუ-
ლი ქართველი იყო ორბელთა საგვარეულოდან
და კარგად ერკვეოდა ქართულ სინამდვილეში.
ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ
მისთვის არ უნდა ყოფილიყო უცნობი საქართ-
ველოს სახელმწიფო დროშაც ანუ ის ხუთჯვრ-
იანი ოეთრი ალამი, რომელიც მის დროს დოკუ-
მენტურად არის დამოწმებული.

ორბელთა დიდი ფეოდალური გვარის
აღზევება სწორედ დავით ალმაშენებლის დროს
იწყება და, როგორც სტეფანოსი მოგვითხრობს,
მათ საქართველოს სამეფო კარზე მხედართ-
მთავრობის პატივს მიაღწიეს. ამასთან დაკავ-
შირებით ისტორიკოსი დასძენს, რომ საქართ-
ველოში “წესად იყო ხელმწიფის ალამი ოეთრი
ყოფილიყო, ხოლო ნიშანი წითელი ჰქონდა“.
სომხეური სიტყვა “ნშან“ (ნიშანი, გამოსახ-
ულება) ამავე დროს “ჯვარს“ ნიშავდა და
სომხეურიდან ქართულად თარგმნილ წერი-
ლობით ძეგლებში იგი კონტექსტის მიხედვით
სწორედ ასეც ითარგმნებოდა. ამგვარად, არ

არის გამორიცხული და ძველქართული წყაროების მონაცემების ზემომოტანილი იტერპრეტაციის მიხედვით მოსალოდნელიცაა, რომ სტეფანოს ორბელიანის ტექსტი სწორედ ამას გულისხმობდეს: საქართველოს სამეცნ კარზე “წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალამი ოქტორი ყოფილიყო, ხოლო (ზედ) წითელი ჯვარი ჰქონიდა“. რამდენადაც თვით სტეფანოს ორბელიანის დროს, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე სწორედ ასეთი იყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა, ამდენად ცხადი ხდება, რომ ამ ისტორიკოსის აზრითაც, გამოადგმერელისა არ იყოს, ეს ძველისძველი ტრადიციაა, რომელიც უკვე დავით აღმაშენებლის დროს არსებობდა საქართველოში. ის, რომ სტეფანოს ორბელიანთან სიტყვა “ნშან“ (გამოსახულება, ჯვარი) მხოლობით რიცხვშია ნახმარი, არ არის არსებითი მნიშვნელობისა სწორედ იმიტომ, რომ ეს ცნება “გამოსახულებას“ ნიშნავს, რაც ობიექტთა მრავლობასაც გულისხმობს და ამდენად სომხურ “ნშან“ ალამზე გამოსახულ ხუთივე ჯვარს უნდა მოიცავდეს.

ზემოთქმულის შემდეგ ვყიქრობ, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ არა მხოლოდ XIV საუკუნეში, არამედ, მაიცდამაინც, XIII-XIV საიკუნეებშიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის თეთრ ალამზე წითელი ფერის ჯვარი (ჯვრები) იყო გამოსახული (დაწვრილებით იხ. ჩემი ზემოაღნიშნული წერილი გაზე “ლიტერატურულ საქართველოში“).

ამგვარად, ჩემი დასკვნა ასეთია:

- სხვადასხვა ხასიათის პირდაპირი მონაცემებით (XIV საუკუნის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პორტულენები, თანადროული ბიზანტიური წყარო), მტკიცდება, რომ XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნეებში ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამზე ჯვარი (ჯვრები) იყო გამოსახული.

- სხვადასხვა პირველწყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შესაძლებელია საბუთიერი ვარაუდის გამოთქმა, რომ ასეთივე იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა XII-XIII საუკუნეებში.

დასასრულს ნება მომეცით მოგახსენოთ ჩემი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის

ცხადია, ვამთააღმერებ სწორედ მისი დროის ერთიან საქართველოს, გიორგი ბრწინებულის მიერ კვლავ აღდგენილს, და მის თანამდებობები სახელმწიფო დროშას გულისხმობას, რომელიც გამოსახულია თბილისის თავზე XIV საუკუნის უკრავდა პორტულენებზე. ეს კი აუცილებლად მიგვითოვებს, რომ მისი აზრით, XIII საუკუნის ოციან წლებშიც იგივე სახელმწიფო დროშა უნდა ჰქონიდა საქართველოს.

დავით მუსხელიშვილი

ჩვეულებრივი მოქალაქის, აზრი იმის თაობაზე თუ როგორი, მგონია, ჩვენი, დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ქვეყნის, სახელმწიფო დროშას: დღეს, როდესაც ვაპირებო სახელმწიფო ებრიობის 3000 წლისთვის აღნიშვნას, ყველაზე უპრიანი იქნება ერთიანი საქართველოს ათასწლოვანი ისტორიის მქონე ეროვნული, „სვიანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი“ დროშის აღდგენა სახელმწიფო სიმბოლოდ, რომელმაც, როგორც დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროს, ეგების, ახლაც – მესამედ და საბოლოოდ – დაგვიძრუნოს ერთიანობა, შინაგანი სიძლიერე და საერთაშორისო პრესტიჟი თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში.

* * *



დავით
 კლდიაშვილის
 სიტქი
 ჸარლამენტის
 ინტერიურაქციულ
 ჯგუფთან
 შეხვედრის დროს
 1998 წლის
 25 თებერვალი

საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არცერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია იმდენი აჟორტაჟი პრესის, ტელევიზიისა თუ სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორც სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლის საკითხმა გამოიწვია. ეს არც არის გასაპვირი, რადგან ეროვნულმა დროშამ თუ გერბმა უნდა წარმოაჩინოს ქვეყნის ძირითადი, გლობალური პოლიტიკური ორიენტაცია. მისი სახე უნდა იყოს ყველასათვის გასაგები და კითხვადი.

ისტორიაში ცნობილია ჯვრიანი დროშების წარმოშობის ორი ძირითადი ვერსია. პირველი არის ზმანებით, გამოცხადებით ან უფრო ზუსტად უფლის მინიშნებით შექმნილი დროშები. ასე შეიქმნა ევსები კესარიელის (IV ს.) ცნობით აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე I დიდის დროშალაბარუმი, ქრისტეს მონოგრამიანი ან, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ, ადრეული ჯვრიანი ფორმის დროშა. ასევე შეიქმნა დანიელი ერის სიამაყე „დანებროგი“, როცა დანიის მეფე ვოლდემარ II მდლეთამდებეს 1219 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებში ბრძოლის დროს ჩამაგალი მზის სხივებში ქრისტეს ოეთრი ჯვრის გამოსახულება ეჩვენა. ანალოგიური ვითარება

გვაქვს შვედეთის დროშასთან დაკავშირებითაც, რომელიც მართალია XVI საუკუნიდან არის ცნობილი, მაგრამ ასევე ჩვენების საფუძველზე იღებს სათავეს. ლეგენდის თანახმად შვედეთის მეფე ერიკ IX-ს (1150-1160 წ.წ.) წინასაბრძოლო ლოცვის დროს ტაძრის სარკმლიდან ლურჯ მოწმენდილ ცაზე ოქროსფერი ჯვრის ხილვა პქონდა. აქვე უნდა ადინიშნოს ისიც, რომ სამივე აღწერილ შემთხვევას საერთო ისიც აქვთ, რომ ჩვენებას უფლის ხმაც ახლდა – “ამით გაიმარჯვება...”

ჯვრიანი დროშების შექნის მეორე ვარიანტი ეფუძნება მეფისა და ქვეყნის მფარველი წმიდანის პერალდიკურ გამოსახულებებს. ვიცით, რომ ცერისა და ჯვრის კონფიგურაციის მიხედვით არსებობს წნიდათა სხვადასხვა გამოსახულებები. ამგვარი დროშის შესანიშნავ მაგალითს დიდი ბრიტანეთის “იუნიონ ჯეკი” წარმოადგენს რომელშიც სამი ჯვრიანი დროშა გაერთიანებული. კერძოდ ინგლისის მფარველი წმ. გიორგის, შოტლანდიის მფარველი წმ. ანდრიასა და ირლანდიის მფარველი წმ. პატრიკის ჯვრებით. აქვე შეიძლება ითქას ქვეყნის მფარველ წმიდათა სახიდან შექმნილ უჯვრი დროშებზეც. კერძოდ, უელსის დროშაზე დრაკონის გამოსახულებაა, რომელიც, ლეგენდის თანახმად, ამ ქვეყნის მცველად არის მიჩნეული. საფრანგეთის ისტორიულ დროშაზე – ლურჯი, ქვეყნის განმანათლებლის წმ. მარტინის ფერია, ხოლო შროშანები (ლილიები) ქვეყნის მფარველი დვოისმშობელის განსახიერება.

როგორც ვხედავთ, ჯვრიანი დროშების შექმნის ორი ძირითადი ვერსია არსებობს – ერთი ლეგენდარული, მეორე კი მფარველობითი. უნდა ვთქვათ, რომ ქართული ისტორიულ “გორგასლიინ-დავითიან“ დროშაზე ეს ორივე ვერსია ასახული. კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად არის ცნობილი IV საუკუნის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის სიზმარი, როცა მას ციდან ჩამოშვებული ცეცხლოვანი ჯვარი ეჩვენა. V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალს უკვე მოხუცი “ზეწრიოა სპეტაგითა“ და ფრთხოების ჯვრიანი დროშაზე ეზმანა. ეს ვითარება შემდეგ დროშაზე იქნა ასახული.

ჯვრიანი დროშების შექმნის ორი ძირითადი ვერსია არსებობს – ერთი ლეგენდარული, მეორე კი მფარველობითი. უნდა ვთქვათ, რომ ქართული ისტორიულ “გორგასლიინ-დავითიან“ დროშაზე ეს ორივე ვერსია ასახია ასახული.

V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალს მოხუცი “ზეწრიოა სპეტაგითა“ და ფრთხოების ჯვრიანი გამოსახულებები. ამგვარი დროშის შესანიშნავ მაგალითს დიდი ბრიტანეთის “იუნიონ ჯეკი” წარმოადგენს რომელშიც სამი ჯვრიანი დროშა გაერთიანებული. კერძოდ, უელსის დროშაზე დრაკონის გამოსახულებაა, რომელიც, ლეგენდის თანახმად, ამ ქვეყნის მცველად არის მიჩნეული. საფრანგეთის ისტორიულ დროშაზე – ლურჯი, ქვეყნის განმანათლებლის წმ. მარტინის ფერია, ხოლო შროშანები (ლილიები) ქვეყნის მფარველი დვოისმშობელის განსახიერება.

დაგით კლდია შვილი

წმ. გიორგის, ოქონებულის წითელი ჯვრის გამოსახულება შეითვალისწინა ჯერ იკონოგრაფიაში, შემდეგ კი აქედან გაგრცელდა პერალდიაში. ეს კითხულია, რომ შესანიშნავად იკითხება ჩვენი ქვეყნის წმ. გიორგის მფარველობითი ვერსია. ოთორ ქსოვილზე წითელი მართი სრული ჯვარი პერალდიაური და ვექსილოლოგიური კანონიზაციით სწორედ წმ. გიორგის განსახიერებაა. ეს ფორმა მიღებული იქნა შემდეგნაირად: ცნობილია, რომ წმ. გიორგი, როგორც ისტორიული პიროვნება, რომის იმპერიის მოქალაქე წარჩინებული გვარისა იყო. ქვეყნის დაწინაურებული კლასი კი წითელი ზოლით შემოვლებულ თეთრი ფერის ტოგებს ატარებდა. წმ. გიორგის, ოთორზე წითელი ჯვრის გამოსახულება შეითვისა ჯერ იკითხოვთ მათ, შემდეგ კი აქედან გაგრცელდა პერალდიკაში. ეს ვითარება, რომ შესანიშნავად იცოდნენ საქართველოში, ჩანს ხალხური ფოლკლორიდანაც – “წმიდა გიორგი გწყალობეს, სახე მაგისი ჯვარია“:

დაგით ქლდია შვილი

თარება შემდეგ დროშაზეც იქნა ასახული. მცხეთის ჯვრის მონასტრის მთავარი შესახვლელის თავზე სწორედ მისი, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს ამაღლების სცენაა მოცემული. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ქართულ დროშაზე შესანიშნავად იკითხება ჩვენი ქვეყნის წმ. გიორგის მფარველობითი ვერსია. ოთორ ქსოვილზე წითელი მართი სრული ჯვარი პერალდიაური და ვექსილოლოგიური კანონიზაციით სწორედ წმ. გიორგის განსახიერებაა. ეს ფორმა მიღებული იქნა შემდეგნაირად: ცნობილია, რომ წმ. გიორგი, როგორც ისტორიული პიროვნება, რომის იმპერიის მოქალაქე წარჩინებული გვარისა იყო. ქვეყნის დაწინაურებული კლასი კი წითელი ზოლით შემოვლებულ თეთრი ფერის ტოგებს ატარებდა. წმ. გიორგის, ოთორზე წითელი ჯვრის გამოსახულება შეითვისა ჯერ იკითხოვთ მათ, შემდეგ კი აქედან გაგრცელდა პერალდიკაში. ეს ვითარება, რომ შესანიშნავად იცოდნენ საქართველოში, ჩანს ხალხური ფოლკლორიდანაც – “წმიდა გიორგი გწყალობდეს, სახე მაგისი ჯვარია“.

როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა სახეობის ჯვრები: მალტის, ავსტრიული, ლიტვური, ჩეხური, იერუსალიმის, საპატრიარქო, ბიბლიური, წმ. ანდრეას და სხვა. ანალოგიურ რეესტრს მიეკუთვნება მისი მცირეაზიური ვარიანტიც, სადაც ჯვრის ოთხივე კუთხეში მკლავებს შორის ოთხი ნიშანი ისმება, რომელიც შეიძლება იყოს უბრალოდ წერტილები ან ასოები. ანალოგიური ჯვრის ფორმები დაფიქსირებულია ადრეული შუასაუკუნეების ქართულ ყოფაში. მას ვხედავთ X-XI საუკუნეების ქართულ მონეტებსა და ხელნაწერებში. ასევე შეინიშნება საეკლესიო მხატვრობასა თუ ბარელიეფებზე. ჯვრის ამგვარი ფორმა განსაკუთრებით თვალშისაცემია გვიანდელი შუასაუკუნეების ქართულ ფარდაგებსა და ხალიჩებზე. როგორც ვხედავთ, “გორგასლიან-დავითიან“ დროშაზე კუთხეებში დამატებული მცირე ზომის მოტივზივე ჯვრები – სწორედ ჯვრის მცირეაზიული ვარიანტის გამოძახილია.

“ჩვენს მაერ
ცნობილ ერთა შორის
უკლასე ერთგული
ქრისტიანები იძერი-
კლები არიან”.

პროკოფი კესარიული,
VI ხაუკუნე

ჩვენთვის ცნობილია, რომ პერალდიკური იერუსალიმის ჯვარიც ასევე ხუთჯვრიან კომპაზიციას წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ მასზე მთავარი ჯვარი აბსოლუტურად სხვა ფორმისაა. ამასთან ერთად იგი წარმოადგენს თეორზე ყვითელ, ანუ ვერცხლზე ოქროს ჯვარს, რომელიც შემდეგ პერალდიკაში მიჩნეული იქნა, როგორც ქრისტეს სახე. იერუსალიმის ჯვრის განხილვა საჭიროებს ერთ განმარტებას: იერუსალიმის სამეფოს დამაარსებელი გოტფრიდ ბულონელი სამეფო ტახტზე უფლის საფლავის მცველის ტიტულით იქნა აყვანილი. მისი გერბის ფორმა კი, ლათინებმა ჯვრის მცირეაზიული ვარიანტის მიხედვით შეიმუშავეს. ფაქტობრივად გერბის შექმნის დროს მათ ადგილობრივი რეალობით იხელმძღვანელებს და, უბრალოდ რომ ვოქვათ, სადაც იყვნენ იქაური ქუდი დაიხურეს. ამის ნათელი დასტურია თვით ბიზანტიისა და კილიკიის სომხეთის დროშებიც, რომლებიც ჯვრის მცირეაზიული ვარიანტით არის შექმნილი.

ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად არის ცნობილი ლეგენდა ქართველ მეფეთა, ბაგრატიონების შესახებ, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას ბიბლიურ დავით და სოლომონ მეფეებს უკავშირებენ. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ სწორედ დავით ფსალმუნთგალობელმა აქცია იერუსალიმი იუდეის სამეფოს დედაქალაქად. ბაგრატიონთა პირადი შავი დროშის საცუმველიც, რომელიც მოიხსენიება XIV საუკუნის ძეგლში “გარიგება ხელმწიფის კარისა”, სწორედ ბიბლიური დავითის ფერია. აქედან გამომდინარე, არც არის გასაპირი მათი სწრაფვა წმიდა ქალაქისაკენ. ცნობილია, რომ პირველი ქართველი მეფე, რომელმაც აქტიური მოძრაობა დაიწყო იერუსალიმის მიმართულებით, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მამობილი დავით III კურაპალატი იყო. ვიციო, რომ ჯერ გიორგი V ბრწყინვალე და შემდეგ გიორგი IX “კლიტენი იერუსალიმისანის” მცლობელები და უფლის საფლავის მცველები იყვნენ. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ VI საუკუნეში პროკოფი კესარი-

მას შემდეგ, რაც
დიდგორის ომში
ქართულმა ლაშქარმა
ჯვაროსნებთან ერთად
მაჭადიანთა კოალიცი-
ური ლაშქარი დაამა-

რცხა, ევროპულებმა
დავით აღმაშენებელი
მთიურ ძეფე იოანე
ხუცესთან გააიგივეს.

დავით კლდიაშვილი

ელი აღნიშნავდა, რომ “ჩვენს მიერ ცნობილ
ერთა შორის ყველაზე ეროგული ქრისტიანები
იძერიელები არიან“. ანალოგიურ ცნობებს შემ-
დებ საუკუნეებშიც გვაწვდიან ევროპელი სხვა
ჟამთააღმწერლები თუ ქრისტიანი პილიგრიმე-
ბი.

როგორც ვიცით, პალესტინის წმიდა მი-
წაზე პირველი ქართული მონასტრების მშენ-
ებლობა V საუკუნეს მიეკუთვნება. ამ დროს
მოდგაწერობდა “დიდ პეტრედ“, “მეორე პავლედ“
თუ “ივერთა მანათობელად“ შერაცხეული პეტრე
იძერი. სწორედ ამავე დროს ხდება ვახტანგ
გორგასლის სალოცავად შესვლა იერუსალ-
იმში და ქართული ეკლესიების უფრო ინტენ-
სიური მშენებლობა წმიდა მიწაზე. მიუხედავად
იმისა, რომ XII-XIII საუკუნეებში წმიდა მიწის
გასათავისუფლებლად ჯვაროსნებთან ერთად
ქართველთა რაზმებიც იბრძოდნენ, უნდა ვთქ-
ვათ, რომ ამ ომში საქართველოს გლობალური
მონაწილეობა არ მიუღია. ამის მთავარი მიზეზი
ის იყო, რომ ჩვენ ქვეყანას, ესპანეთის სამეფოს
მსგავსად, რომელიც მავრებს ებრძოდა, ეს ბრ-
ძოლა საკუთარ ტერიტორიაზე უნდა ეწარმოე-
ბინა, ჯერ თურქი-სელჩუკების, ხოლო შემდეგ
მონდოლების წინააღმდეგ. მიუხედავად ყოვე-
ლივე ამისა, ჯვაროსნებისათვის ქართველები
რომ დიდ იმედს წარმოადგენდნენ ნათლად ჩანს
იმდროინდელი ევროპული წყაროებით. ცნო-
ბილია, რომ XI ს.-ის ევროპაში გავცელებული
იყო მითი იოანე-ხუცესად წოდებულ აზიელ
ქრისტიან მეფეზე, რომელიც შემწედ უნდა მოვ-
ლინებოდა მათ. მას შემდეგ, რაც დიდგორის
ომში ქართულმა ლაშქარმა ჯვაროსნებთან ერ-
თად მაჭადიანთა კოალიციური ლაშქარი დაა-
მარცხა, ევროპელებმა დავით აღმაშენებელი
აღნიშნულ მითიურ მეფესთან გააიგივეს.

ასევე კარგად არის ცნობილი ლეგენდა
გრაალის შესახებ. ლეგენდის თანახმად იგი
წარმოადგენდა ქრისტეს სისხლით საგსე თასს,
რომელიც იოსებ არიმათიელმა შეაგროვა და
რომლის მცველიც საქრისტიანოს ყველაზე
ძლიერი მეფე იყო. წმიდა თასი ძლიერ სუზერ-
ენთა ხელიდან ხელში გადადიოდა და გადმო-

ცემით, გარკვეული დროით, გრაალის თასის მცველად „მესიის მახვილად“ წოდებული მეფე დავით აღმაშენებელიც გვევლინება. ალბათ, არ იქნება არსებობას მოკლებული თეორია „მესიის მახვილისა“ და „გრაალის მცველის“ ტიტულადურებს შორის გარკვეული პარალელურის ძიების შესახებ, თუმცა ეს შემდგომი კალეგის საგანია და ახლა ამაზე ყურადღების შეჩერება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

მას შემდეგ, რაც 1187 წელს იერუსალიმი ეგვიპტის სულთანმა სალადინმა ჯვაროსნებს წართვა, ქართველები ყოველ დონეს ხმარობენ საქრისტიანოსაოვის მის დასაბრუნებლად დიპლომატიური თუ სამხედრო ხერხებით. თამარისა და ლაშა-გიორგის მიერ მიღწეული წარმატებების შემდეგ „ქართველები განუმტკიცებენ ჯვაროსნებს გამარჯვების რწმენას. ამ გამარჯვებების შესახებ ძლიერი ხმები შორეულ ხალხებშიდაც კი გავრცელდა. სარკინოზები შიშით აღივსნენ, ხოლო ქრისტიანები – აღუწერელი სიხარულით“ – ნათქვამია საეკლესიო ანალებში. ჯვაროსნებმა პალესტინაში გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწიეს, რადგან, როგორც იორდანუსი აღნიშნავს – „ქართველები ეპისტოლებით მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლისაკენ, ადაფროთვანებდნენ მათ საბრძოლო სულისკვეთებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები“. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგ საუკუნეებში ქართველთა დამოკიდებულება წმიდა მიწისადმი და უფრო იერუსალიმისადმი. აი რას წერდა 1483 წელს სოლმის გრაფი იოანანი: „ქართველები მამაცი და მძლავრი მოდგმა. ჰყავთ რაინდები და მრავალი მეომარი – ომის დროს, ამიტომ მეზობლებს: სარკინოზებს, საპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს მათი ეშინიათ. თუმცა ამ ხალხს გარშემო ურწმუნობი არტყია, ეს არ აშინებს; პირიქით, მეზობელი ხალხები ცდილობენ არ გააღიზიანონ. მათ გიორგიანებს უწოდებენ, გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად და მედროშედ აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმიდა ადგ-

“ქართველები მამაცი და მძლავრი მოდგმა... მეზობლებს: სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს მათი ეშინიათ. თუმცა ამ ხალხს გარშემო ურწმუნობი არტყია, ეს არ აშინებს; ისინი დროშებგაშლილი მიემართებიან იერუსალიმში და უკან ისე ბრუნდებიან, ხარჯს არავის უხდიან”.

სოლმის გრაფი იოანანი,
1483 წელი

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგ საუკუნეებში ქართველთა დამოკიდებულება წმიდა მიწისადმი და უფრო იერუსალიმისადმი. აი რას წერდა 1483 წელს სოლმის გრაფი იოანანი: „ქართველები მამაცი და მძლავრი მოდგმა. ჰყავთ რაინდები და მრავალი მეომარი – ომის დროს, ამიტომ მეზობლებს: სარკინოზებს, საპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს მათი ეშინიათ. თუმცა ამ ხალხს გარშემო ურწმუნობი არტყია, ეს არ აშინებს; პირიქით, მეზობელი ხალხები ცდილობენ არ გააღიზიანონ. მათ გიორგიანებს უწოდებენ, გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად და მედროშედ აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმიდა ადგ-

გვმართებს აღ-
გადვინოთ “დროშა
სკიანად მოხმარუ-
ბული“ “გორგასლიანი“,
“ბავრატოანური“, “და-
გიოთიანი“, “თამარიანი“,
რომლის წინაშეც ფიცე
ხდებდა ქართველი
კაცი დამერთის, მფის
და ერის წინაშე და მას
არახოდეს გაუტეხია ეს
ფიცი.

დაჭით კლდია შვილი

იღს... ისინი დროშებგაშლილი მიემართებიან იერუსალიმში და უკან ისე ბრუნდებიან, ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები ვერ ბედავენ ხე-
ლყოფას, რადგან შიშობენ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ქართველები შურს იძიებენ მათ მეზობელ სარკინოზებზე“. მსგავს ცნობებს ბევრი სხვა ავტორებიც გვაწვდიან, რომლებიც XII-XVI საუკუნეებს მოიცავს. ისინი შეგიძლი-
ათ ამოიკითხოთ გრიგოლ ფერაძის ახლახან
გამოცემულ წიგნში “ეცხოლ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“. აღნიშნუ-
ლი ცნობების განხილვისას ავტორი ჩვენთვის მეტად საინტერესო დასკვნამდე მიდის: “პალეს-
ტინაში ჯვაროსანოა ჰეშმარიტი მემკვიდრეები ქართველები იყვნენ“, მითუმეტეს, რომ, როგორც ვოქვით, XIV-XV საუკუნეებში წმიდა ქალაქის გასაღებები ქართველი მეფეების ხელშია.

ასეთი არის ოვალის ერთი გადავლებით ერთიანი საქართველო და ქართველი ერი თავ-
ისი ზეობის წლებში. ბუნებრივია, დღევანდელი ჩვენი ქვეყანა, სწორედ მის სამართალმეტკვი-
დრედ მიგვაჩნია, რაც, უმოავრესად სახელმწი-
ფოს სიმბოლიკაში უნდა აისახოს. მოგეხსენ-
ებათ, რომ ქართველები დიდად ვაფასებო ჩვენს ტრადიციებს და არა მგონია დღეს მოიძებნოს ადამიანი, რომელიც საქართველოს ოქროს ხანაზე არ ლაპარაკობდეს. არ ლაპარაკობ-
დეს ერის განეტიკაში ჩადებულ წინაპართა პოლიტიკურ ალიანსა და დიპლომატიკურ გამოცდილებებზე, იმ ხანაზე, როცა ჩვენს ქვეყა-
ნაში სიკვდილით დასჯა ოფიციალურად გაუ-
ქმდა და წარჩინებულთა ერთი ნაწილი ისანში “კარვის“ დადგმას აპირებდა, გაცილებით ადრე, ვიდრე ეს ინგლისში მოხდა.

დღეს საქართველოს პყავს პარლამენ-
ტი, აქვს კონსტიტუცია, სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ფაქტობრივად, ქვეყანა იმყოფე-
ბა პოლიტიკური აზროვნების იმ საფეხურზე, რომელიც შექმნა საქართველოსა და სხვა ცივილიზებული ქვეყნების ინტელექტუალურ-
მა პოტენციალმა. სწორედ ამიტომ გვმართებს აღვადგინოთ “დროშა სვიანად მოხმარებული“

“გორგასლიანი”, “ბაგრატოანური”, “დავითიანი”, “თამარიანი”, რომლის წინაშეც ფიცს სდებდა ქართველი კაცი ღმერთის, მეფის და ერის წინაშე და მას არასოდეს გაუტეხია ეს ფიცი. ამასთან ერთად, “გორგასლიან-დავითიანი” დროშის აღდგენით საქართველო ევროპაში ყველაზე ძველი, საუკუნეებგამოვლილი ეროვნული დროშით წარდგება მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე.

* * *

ქალბატონებო და ბატონებო,
მოკლედ მოგახსენებო იმ ვითარებას, თუ როგორ ხდებოდა საქართველოს 1918-1921 წ.წ. ეროვნული საბჭოსა და მთავრობის მიერ ეროვნულ-სახელმწიფო დროშისა და გერბის მიღება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ. 6 სექტემბრის სხდომაზე, ეროვნულ-სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით, მოხსენებით გამოვიდა ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე კოტე მაფაშვილი, რომელიც ამბობდა: “საქართველოს უძველესი დროიდანვე ჰქონდა დროშები, რომლის აღწერილობა არ სებობს ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებზე. შარშან, წინანდელმა ეროვნულმა საბჭომ მოიწვია სპეციალისტები და მცოდნე პირები და მათ მიიღეს საქართველოს დროშათ სამფეროვანი დროშა: წითელი, თეთრი და შავი. კომისიამაც ეს სამფეროვანი დროშა მიიღო”. ამასთან ერთად მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ “რა თქმა უნდა, ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ რადგან ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზედ, რადგან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და, გარდა ამისა, ეს დროშა უკვე მოინალდა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იგი იქცა ისტორიად და, მე მგონია, ახლა ჩვენ ვალდებული ვართ, რომ კანონით დავადასტუროთ მისი არსებობა”.

კანონ-კროვექტის განხილვის დროს სოციალ-რევოლუციონერების სახელით ბარბაქაძე აცხადებდა, რომ მათ აქვთ ერთი დროშა,

დავით
კლდიაშვილის
სიტკა
პარლამენტის
სხდომათა
დარბაზში
1999 წლის
9 ივნისი

“რა თქმა უნდა, ეს
დროშა არის ერთგვარი
კომპოზიცია, მაგრამ
რადგან ეს დროშა
იყო გაშლილი შარშან
ხოქმბერში ეროვნულ
ურილობა ზედ, რადგან ამ
დროშის ქვეშ გამოცხ-
ადდა საქართველოს
დამოუკიდებლობა და,
გარდა ამისა, ეს დროშა
უკვე მოინათლა პრი-
ლის ცეცხლში, ამგვარ-
ად იგი იქცა ისტორიად
და, მე მცონია, ახლა ჩვენ
გალდებული ვართ, რომ
კანონით დავადასტურ-
ოთ მისი არსებობა”:

კოტე მაყაშვილი,
1918 წელი

რომლის ქვეშაც დგანან და ამიტომ სამფერო-
ვანი დროშის კენჭისყრაში მისი ფრაქცია თავს
შეიკავებს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის
სახელით კი, რ. არსენიძემ მხარი დაუჭირა სამ-
ფეროვან დროშას, რადგანაც მათი პარტიული
დროშა წითელი იყო. ამით გამომსვლელმა გამო-
ჯნა ერთმანეთისაგან პარტიული და ეროვნულ-
სახელმწიფო დროშები, რითაც ძლიერი ტაშიც
კი დაიმსახურა. რევოლუციონერ-დემოკრატების
სახელით გამოსულმა რ. ჩიქოვანმა გააკეთა
განცხადება, რომ მათი ფრაქცია გამოოქვამს
სურვილს რათა საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო დაწესე-
ბულების წინ გამოყიდებული წითელი დროშა
შეეცვალათ ეროვნულ-სახელმწიფო სამფერო-
ვანი დროშით.

რატომ იქნა არჩეული საქართველოს
ეროვნულ-სახელმწიფო დროშის უერად –
შინდისცერი;

1904 წელს პავლე კარბელაშვილი წერდა
– “აგერ ასი წელიწადია მხოლოდ, რაც წვე-
ნი პოლიტიკური არსობა შესწყდა, რაც უკა-
ნასკნელი მეფე გიორგი საფლავში ჩაეცვენა –
და დღეს საძგნელად გაგიხდა ჩვენი საერო
დროშის აღწერილობაც კი... ქართლის სამეფო
დროშა და სხვა სამკაულნი ვახტანგ VI გა-
დაიტანა რუსეთში. ამიტომ 1746 წ. 1 ღვინო-
ბისოვეს ოეიმურაზ მეფემ ხელ-ახლა შექმნა
ქართლის სამეფო დროშა და ოთხი სხვა სარდ-
ლის დროშები. გიორგი მეფე რომ მიიცვალა
1800 წ. 27 ქრისტეშობისოვეს და საქართ-
ველოს სამეფო დროშაც რუსეთში გადაიტანეს. ამიტომ საქართველოს სამეფო დროშის სრულ
აღწერას უნდა მოველოდეთ პროფესორის ბ-ნ
ხახანაშვილისაგან”. ალ. ხახანაშვილმა კი
ქართულ საზოგადოებას საგარეო საქმეთა
სამინისტროს მოსკოვის არქივში მიკვლეული
ვახტანგ VI-ის შინდისცერი დროშა გააცნო,
რომელიც დღეს საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმში ინახება.

როგორც ვხედავთ, საუკუნის დასაწყისში
ქართულ საზოგადოებას წითელი (შინდის-
ცერი) მიაჩნდა ისტორიულ დროშად, რადგან
არა ერთიანი საქართველოს, არამედ XVIII საუ-

კუნის ქართლ-კახეთის სამეფოზე იდებდა ორი-ენტირს. აქედან გამომდინარე, სწორედ ვახტანგ VI-ს ცნობილი დროშის ფერი დაედო საფუძვლად 1918-1921 წ.წ. საქართველოს ეროვნულ დროშას, რომელიც, თავის მხრივ, არა ეროვნულ, არამედ სამეფო, იგივე სახელმწიფო – ხელმწიფის დროშას წარმოადგენს.

რაც შეეხება სახელმწიფო გერბს, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გადაწყვეტილებით სახელმწიფო გერბად უნდა დაკანონებულიყო ირაკლი (კაკი) წერეთლის მიერ შემოთავაზებული “ცალი ფეხით და ცალი ხელით განთავისუფლებული ამირანის” ემბლემური გამოსახულება. ეს ვითარება დაფიქსირდა კიდეც, როცა მთავრობამ 11 ივლისს “ფულის ნახატის კონკურსი” გამოაცხადა. კონკურსის პირობები გამოქვეყნდა იმდროინდელ პრესაში და მისი მეორე პუნქტის მიხედვით “ნახატში ჩართული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის ემბლემა, გამომხატველი მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებისა“.

სახელმწიფო გერბის მიმართ მთავრობის ამგვარმა დამოკიდებულებამ ქართული საზოგადოების უკურვაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება ხელოვნების კომისიაში. მათ მოიწვიეს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც წაიკითხა კიდეც მოხსენება და მიიღეს მისი წინადაღება “სახელმწიფო დერბად უნდა იყოს თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, რადგან ეს გამოხატულება ისტორიულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის არსებობისთვის“.

ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება წაიკითხა მთავრობის წინაშედაც. მან შესანიშნავად იცოდა მენშევიკების დამოკიდებულება რელიგიასთან (მათი თაოსნობით 1917-18 წლებში სამჯერ გამოიცა კანონი სკოლებში საღვროო რჯულის სწავლების აკრძალვის შესახებ) და ამიტომაც პროფესორმა განმარტა, რომ თუ თეთრი გიორგის მოვაცლით სახის ირგვლივ შარავანდედს და შებზე ჯვარს, მაშინ სავსებით აღმოიფხვრება რელიგიური ჩანასახი სახელმწიფო გერბზე.

“აგერ ახი წელი-წადია მხოლოდ, რაც ჩვენი პოლიტიკური არსობა შეხვდია, რაც უკანასკნელი მეცნ გიორგი საფლავში ჩაეცენა – და დღეს ხაძებნება დაგვიხდა ჩვენი საერთო დროშის აღწერილობაც კი... ქართლის სამეფო დროშა და სხვა სამეცნიერო გახტანგ VI გადაიტანა რუსეთში...“

პავლე კარბეგლაშვილი,
1904 წელი

საკიონი მაინც არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი და 11 აგვისტოს ხელოვნების კომისიის მასალები ეროვნული საბჭოს ფრაქციებს გადაეცა განსახილველად. ამავე დროს გაზეთი “საქართველო” გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ “სამწუხაროდ, დამტკიცდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო უფლებრივ საკიონთა გადაწყვეტაში სარგებლობს ყოველივე საზომიო, გარდა ეროვნულისა... სადარის გარანტია, რომ სოციალ-დემოკრატების წყალობით ეროვნული საბჭო არ დააკანონებს დერბის ნახატს, რომელშიაც ყველა ადვილად ამოიკითხავს: “უბედური საქართველო!” (მოჯაჭვული ამირანის გამო – დ.კ.).

“ქართველი საქართველოს Georgia, გიორგის ქვებად. და მათ ძლიერ გაუკირდებათ თუ დამოუკიდებელ საქართველოს გამოხატვისა, ბოროტების და ჩაგვრის წინამდლევე ამხედრებული, თუ თეთრი რაინდი, სანატორელი გმირი და საქართველოს მომავლის ნათელი გზის გამკაფავი”.

კოტე მაკაშვილი,
1918 წელი

1918 წლის 17 სექტემბრის საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ხელოვნების კომისიის ოავმჯდომარე პოლიტიკ. მაყაშვილი კითხულობს კანონპროექტს საქართველოს რესპუბლიკის გერბის შესახებ და აცხადებს, რომ “ქართველი უგიორგოდ წარმოუდგენელია და ამიტომაც სამართლიანად ემახიან უცხოელნი საქართველოს Georgia, გიორგის ქვებად. და მათ ძლიერ გაუკირდებათ თუ დამოუკიდებელ საქართველოს გერბზედ არ იქნება გამოსახული ეს საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ ხალხის თვისებებისა, ბოროტების და ჩაგვრის წინამდლევე ამხედრებული, თეთრი რაინდი, სანატორელი გმირი და საქართველოს მომავლის ნათელი გზის გამკაფავი”. ამასთან ერთად, კ. მაყაშვილი აღნიშნავდა, რომ “არაფერს ვიტავი იმაზედ, თუ რატომ ახალს რამეს არ გამოვიგონებთ ემბლემად. ოცნებას საზღვარი არა აქვს. ბევრი რამის ახალის და კარგის გამოგონება შეიძლება, მაგრამ ეს იმას აღნიშნავდა, რომ ჩვენ, როგორც ხალხს არავითარი ლამაზი და ძლიერი ტრადიცია არ მოგვყოლია და საქვემდებარებას თვლის ძებნაში დავკარგეთ მარგალიტი”.

კანონ-პროექტის განხილვის დროს კაპი წერეთელმა ფრაქციის უმრავლესობის სახელით წინადადება შემოიტანა, რომ რესპუბლიკის გერბად ამირანის გამოსახულება ყოფილიყო. მისი მოთხოვნით კანონპროექტს ფეხზე ადგომით ეყარა კენტი. 33 ხმით 16 წი-

ნააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა) არ იქნა მიღუბული კაკი წერეთლის წინადადება და კანონპროექტი სარედაქციო კომისიას გადაეცა. 20 სექტემბერს, კანონი “საქართველოს რესპუბლიკის დერბისა“ წაიკითხა შალვა ამირეჯიბმა, რომლის მიხედვითაც “დერბად არის თეორი გიორგი შვიდი მნათობით“.

გერბმა შვიდი მნათობი წარმართული დროის ქართული დკანებებიდან შეითვისა. ლეონტი მროველი წერს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ მოუწოდა აზონს “პატივსცემდნენ მზეს და მოვარესა და ვარსკვლავთა ხუთოა“. ამასთან ერთად, ეს მნათობები გამოსახულია მეცე ვახტანგ VI-სა და კახეთის მოურავის პაპუა ანდრონიკაშვილის 1758 წლის დროშებზე.

ხელოვნების კომისიის 30 სექტემბრის სხდომაზე კი, რომელსაც ქართული ხელოვნების წარმომადგენელთაგან, მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე და დავით კაკაბაძეც ესწრებოდნენ, მიღწეული იქნა საკონკურსო პირობებზე შეთანხმება. მისი 1-ლი პუნქტის მიხედვით “დერბზე უნდა იქმნეს გამოსახული თეორი გიორგის სახე, ცხენზედ მჯდომარე, გველეშაპიო“, მაგრამ საქართველოს მთავრობამ პირველ პუნქტში მაინც შეიტანა პრინციპული ცვლილება და მთავარი ატრიბუტი – გველეშაპი ამოიღო, რითაც თეორი გიორგის მოსწყვიტა ის მთავარი ფუნქცია, რასაც ბოროტების დათრგუნვა და მასზე გამარჯვება ჰქვია.

ამასთან დაკავშირებით, ნოე ქორდანია იგონებდა: “სოც. დემ. ფრაქციაში პირველად დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლემის შესახებ. ირ. წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭვული პრომეთეის ნაციონალურ ემბლემათ გამოცხადება; მე ეს არ მომეტონა, შევადავე. მთავარი ჩემი არგუმენტი იყო ის, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთე სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ ქართველ ერს. მე წამოვაჭენე ამ აზრის გამომხატველი თეორი გიორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლათ მარდათ მფრინავი. ბევრი კამათის შემდეგ გავიდა ეს წინადადება. მისი მოწინააღმდეგენი ასაბუთებდენ თავის აზრს იმით,

გერბმა შვიდი
მნათობი წარმართული
დროის ქართული და-
თაგებიდან შეითვისა.
ლეონტი მროველი
წერს, რომ ალექსან-
დრე მაკედონელმა
ქართლის დაპყრო-
ბის შემდეგ მოუწოდა
აზონს “პატივსცემდნენ
მზეს და მოვარესა და
ვარსკვლავთა ხუთოა“.
ამასთან ერთად, ეს მნა-
თობები გამოსახულია
შეფე ვახტანგ VI-სა და
კახეთის მოურავის პაპ-
უა ანდრონიკაშვილის
1758 წლის დროშებზე.

დავით კლდია შვილი



“სოც. დემ. ფრაქ
ციაში პირველიად
დიდი დავა აგვიტებდა
რესპუბლიკის ეჭ-
ბლების შეხახებ. ირ.
წერეთელმა წამოაუ-
ენა მიჯაჭველი პრო-
მეთების ნაციონალურ
ემბლემათ გამოცხა-
დება; მე წამოუაყენე ამ
აზრის გამომხატველი
თეორი ვიორგი, ცხენებუ
კოხად შემჯღარი და
ცის სივრცეში თავისუ-
ფლათ მარდათ მცირინა-
ვი. მისი მოწინააღმდეგუ-
ნი ასაბუთებდებ თავის
აზრს იმით, რომ თეორი
ვიორგი ივივე წმინდა
გიორგია, ეს კლერიკალ-
იზმია, უკან დაბრუნებაა,
საკლეინო
რესპუბლიკის ეჭ-
ბლების შეხახებ. ირ.
წერეთელმა წამოაუ-
ენა მიჯაჭველი პრო-
მეთების ნაციონალურ
ემბლემათ გამოცხა-
დება; მე წამოუაყენე ამ
აზრის გამომხატველი
თეორი ვიორგი, ცხენებუ
კოხად შემჯღარი და
ცის სივრცეში თავისუ-
ფლათ მარდათ მცირინა-
ვი. მისი მოწინააღმდეგუ-
ნი ასაბუთებდებ თავის
აზრს იმით, რომ თეორი
ვიორგი ივივე წმინდა
გიორგია, ეს კლერიკალ-
იზმია, უკან დაბრუნებაა,
საკლეინო
რესპუბლიკის ეჭ-
ბლებათ გამოცხადება
და სხ. ამათი აზრიც
მივიღეთ სახეში და
თეორ ვიორგის წმინდა
გიორგის უკედა ნიშანი
ჩამოვაშორეთ”.

ნოე ქორდანია
“ჩემი წარსული”

რომ თეორი გიორგი იგივე წმინდა გიორგია, ეს
კლერიკალიზმია, უკან დაბრუნებაა, საკლეინო
ემბლემის რესპუბლიკის ემბლემათ გამოცხა-
დებაა და სხ. ამათი აზრიც მივიღეთ სახეში და
თეორ გიორგის წმინდა გიორგის უკედა ნიშანი
ჩამოვაშორეთ”.

1918 წლის 12 ოქტომბერს თრკვირიანი
კონკურსის შემდეგ მთავრობამ გამარჯვებუ-
ლად იოსებ შარლემანი გამოაცხადა.

კონკურსის დროს, ჟიურის შემადგენ-
ლობაში არ იყვნენ მიწვეული მხატვრები და
ჰერალდიკის მცოდნები, რის გამოც საქართ-
ველოს ხელოვანობა საზოგადოება უცმაყ-
ოფილებას გამოიქვამდა. მისი სახელით დიმი-
ტრი შევარდნაძე საქართველოს პარლამენტის
ხელოვნების კომისიის აღყობინებდა: “გამგეო-
ბამ განიხილა ის გარემოებანი, რომელშიაც
მოხდა დერბის პროექტის მიღება. პრინციპი-
ალური თვალსაზრისით შეხედა საკითხს და
სცნო, რომ დარღვეულია კონკურსის მთავარი
პირობები. იურიდიულის თვალსაზრისითაც
შელახეულია კონკურსში მონაწილე მხატვართა
უფლებანი. რადგანაც ასეთ მოვლენებს გავლე-
ნა აქეს მხატვრებზე და ამ შემოხვევაში არამც
ოუ მხატვართა პრესტიჟია შელახეული, არამედ
ხელოვანობა საზოგადოების აზრიც აბუჩადაა
აგდებული – დაადგინა: აცნობოს მთავრობას
და ხელოვნების სექციას გამგეობის აზრი, რათა
მომავალში მაინც თავიდან ავიცილოთ ასეთი
პრეცედენტები”.

პარლამენტის მიერ გერბის დამტკიცებამ
კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედა ქართველ
ხელოვანებზე და ამჯამად, დ. შევარდნაძესთან
ერთად ივ. ჯავახიშვილიც აწერდა ხელს საპ-
როტესტო წერილს, რომელიც საქართველოს
რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას
გაეგზნა.

მხატვარი დავით კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ
გერბში არ ჩანდა ქართული სტილი. კერძოდ,
“გიორგის პირისახე, მისი საზოგადო მოხაზუ-
ლობამისი ხელების მოძრაობა შესრულებულია,
ეგრეთწოდებული, შეერთებული “მოსკოვის“
და “ნოვგოროდის“ მე-XV-XVI ს.ს. მხატვრო-
ბის რიგზე... ცხენის ქვევით კი, მოთავსებულია



არაბული კამარის მსგავსი მოხაზულობა... სახელმწიფო ებრივი დერბი არის სიმბოლური გამოხატულება სახელმწიფო არსებობისა... სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი დერბი... არ შევერება თავის დანიშნულებას. ამ მიღვ- ბული სახით დერბის ცხოვრებაში გატარება ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლად“.

რეზო გაბაშვილი იგონებდა: “დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მენტევიაქებმა პკლავ მისცეს უფლება თავის მრევლს, — ინდივიდუალურად მიეცათ ხმა, ჩვენ გავიტანეთ “ოეთრი გიორგი”, მაგრამ დაგვიმახინჯეს, რასაკვირველია, და, ვეშაპის დათოგუნვის მაგიერ შუბით გმირისა- გან, ვიდაც ჯამბაზი გადაახტუნეს... გუმბათზე და შუბს ტარიდანაც მოხსნეს ჯვარი. სწორედ ესეც ნამდვილი სიმბოლო გახდა მენტევიაქ- ებისა: ბოლშევიკურ ვეშაპს ვერ მოერივნენ და დიდი სიტყვიერი ჯამბაზობით გადააფრინდნენ, გადაახტნენ სტამბოლის გუმბათებს“.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმ- წიფო გერბის შეცვლა, რასაც ასე ლამობდა ქართული სახოგადოება ჯერ კიდევ საუ- კუნის დასაწყისში, დღეს აუცილებლობას წარმოადგენს.

“დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მენტევ- იაქებმა პკლავ მისცეს უფლება თავის მრევლს, — ინდივიდუალურად მიეცათ ხმა, ჩვენ გავიტანეთ “ოეთრი გიორგი”, მაგრამ დაგვიმახინჯეს, რასაკვირველია, და, ვეშაპის დათოგუნვის მაგიერ შუბით გმირისა- გან, ვიდაც ჯამბაზი გადაახტუნეს... გუმბათზე და შუბს ტარიდანაც მოხსნეს ჯვარი. სწორედ ესეც ნამდვილი სიმბოლო გახდა მენტევიაქ- ებისა: ბოლშევიკურ ვეშაპს ვერ მოერივნენ და დიდი სიტყვიერი ჯამბაზობით გადააფრინდნენ, გადაახტნენ სტამბოლის გუმბათებს“.

რეზო გაბაშვილი
“რაც მახსოვებ”

David Kldiashvili
Heraldry of modern Georgia

Давид Кладиашвили
Геральдика
современной Грузии



სააღმისავო-საგამომცემლო ობახი – 7(1/16)
ტირაჟი: 500
გამომცემლობა „ცოტნე“
ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №21°